

ოლე

მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა

The Literary Magazine OLE

ჟურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა
სულხან საბა

ოლე – ახომი საჩრდილობლად დატოვებული
ხე
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედეგები

მთავარი რედაქტორი
აკაკი დაუშვილი

რედაქტორები:
ფარნა რაინა
ნუნუ ქამუკაშვილი

მისამართი: 2200 თელავი
ერეკლე II-ის გამზირი №6
III სართული
მობ: 555 46 44 29
მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთი“
მობ: 558 48 24 80

„ოლეს“ რედაქციაში შემოსული მასალა
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ
ელექტრონული ფოსტით
E-mail: akakidau@mail.ru

ჟურნალ „ოლეს“ წინა ნომრების წაკითხვა
შეგიძლიათ საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე www.nplg.gov.ge —
ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“
ვებგვერდზე.

ჟურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუ-
ნიციპალიტეტის მერიის (მერი ბატონი **შოთა
ნარეკლიშვილი**, მერის პირველი მოადგილე
ბატონი **გიორგი თუშიშვილი**) მხარდაჭერით.



მარტი, ივნისი, სექტემბერი, დეკემბერი №4, (39), 2018



გამოდის სამ თვეში ერთხელ



„ოლე“ ლიტერატურული ჟურნალი



შინაარსი

ქსესა

4. **რაზომ ალამია.** გოდება და ვედრება ყოველთა

ქრისტიანული პოეზიის VIII ფესტივალი
„წმინდა ნინოს ჯვარი“

12. **საფესტივალო ლექსები**

მხატვრული ლიტერატურა

27. **როლანდ გიორგაძე.** დისო, დისო... რომანი

38. **შოთა კობიაშვილი.** ლექსები

40. **ლალი ფრუიძე.** ლექსები

42. **ლანა მანველი.** სტრასბურგელები. მინიატურები

46. **თინათინ მრალაშვილი.** ლექსები

50. **მანია ღიაკონიძე.** ადამიანების გეშინოდეთ, ადა-
მიანებო! მოთხრობა

52. **ნუნუ ქამუკაშვილი.** საბავშვო ლექსები

53. **მარიამ კოზმანიშვილი.** ერთი ლექსი

იუვილი

54. **ჯუმბარ უთრუთაშვილი** – 80

წერილი რედაქციას

55. **რომიო ფირცხალანი.** წერილი – საქართველოზე
შეყვარებულ ადამიანებს

თარგმანი

57. **დოროთი პარკარი.** რესპუბლიკის ჯარისკაცები.
მოთხრობა

SOS!

59. **ამირან ბასილაშვილი.** ერთი სოფლის სამი
მუზეუმი

წერილები

60. **ნუნუ ქამუკაშვილი.** ნუნუ ბებოს თოჯინების
ზღაპარი

ლიტერატურული ღონისძიება

61. **ფარნა რაინას შპოქმედაპითი საღამო**

64. **„ცოცხალი ნიბნები“ თელავში**

64. **ლიტერატურულ აღმანახ „ამერიკის“
წარდგინება**

გარეკანის პირველ გვერდზე

გივი თორაძის ნახატი

დაიბეჭდა

გამომცემლობა „მერიდიანში“



ჩვენი თანაქაცემები ღიებხატუხედი ქონჯეხსების გამაჩჯეებულები

ლიტერატურული კონკურსი „შოთაობა“

22 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მარო მაყაშვილის სახელობის დარბაზში გაიმართა ლიტერატურული კონკურსის „შოთაობა“ გამარჯვებულთა (*I პრემია – ნათია ჭინჭარაული, II პრემია – კობა არაბული, III პრემია – ფარნა რაინა, III პრემია – ეთერ თათარაიძე, სპეციალური პრემია – ეკა კვანტალიანი*) საზეიმო დაჯილდოების ცერემონიალი. კონკურსი, ტრადიციულად, გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქციის ორგანიზებით ჩატარდა.

კონკურსის გამარჯვებულებსა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა უნივერსიტეტის რექტორი ბატონი **გიორგი შარვაშიძე**. დაჯილდოების ცერემონიალი მიჰყავდა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მთავარ რედაქტორს ბატონ **ავთანდილ ბერიძეს**. **ფარნა რაინას** გამარჯვებულის დიპლომი და ფულადი ჯილდო გადასცა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა ქალბატონმა **მანანა კაკაბაძემ**. შემდეგ ფარნა რაინამ ნაიკითხა საკონკურსო ლექსები. ავთანდილ ბერიძემ ფარნა რაინას უსახსოვრა ახლახან გამოცემული წიგნი „მესხეთი ქართულ პოეზიაში“, სადაც ბატონ ფარნას ლექსებიცაა წარმოდგენილი.

„ოლეს“ მკითხველს ვთავაზობთ ფარნა რაინას კონკურსში გამარჯვებულ ლექსთაგან ერთ-ერთს.

საქართველოს, – ანუ და... უკვდავებაც შენა ხარ!..

ესაა —
უფლის წყალობა, —
სამოთხე ჩვენთვის ენახა,
ჯერ იყავ
ვაზის მტევანი,
მერე...
გაქციეთ ვენახად...
შემოგვრჩი ზღაპრად,
ლეგენდად,
სანთლით ვლოცავდით
ყველა ხარს,
გვეხნა, გვეთესა, გველენა,
მინა მსუბუქად გველახა!
ვინა ხარ? —
სიბრძნე დავითის,
შოთას გრძნეული ენა ხარ,
„მხოლოდ გმირს ჰქვია
ქართველი“, —
ჩამოგვძახოდა ზენა ხმა...
ეჰე! —
ბევრს სურდა ეგ ხატი
ფეხქვეშ გართხმული ენახა,




ეჯიფგნა, ეჭრა, ეკუნა,
ენამა, ენვა, ელახვრა...
მახვილით, სულით ლაჟვარდი
მაცნე ვერავინ შელახა...
შენა ხარ
ჩვენი ცრემლები,
და...
უკვდავებაც შენა ხარ!..

ქურნალ „ოლეს“ ყოველწლიური პრემიაჟი „ოლე“-ში 2018 წელს გამოქვეყნებული საუკეთესო პუბლიკაციებისთვის მიანიჭათ:

- რეზონანსი** – ესსეებისთვის („ოლე“ №2, №4);
- ხალ გოტკოველს** – წერილებისთვის („ოლე“ №1, №2);
- წელი ზურგში** – წერილისთვის („ოლე“ №2);
- თინათინ მრალაშვილს** – ლექსებისთვის („ოლე“ №2, №4);
- ლანა მანველს** – მინიატურებისთვის („ოლე“ №4);

- მარიამ კამუკაშვილს** – მოთხრობისთვის („ოლე“ №2);
- მანა კაკაბაძეს** – მოთხრობისთვის („ოლე“ №3);
- ზვიად ნაზარაძეს** – პიესისთვის („ოლე“ №2);
- ნინო კამუკაშვილს** – ჯულია დონალდსონის „პრინცესა მირორ ბელი და მფრინავი ცხენი“ თარგმანისთვის („ოლე“ №1, №2).



ლიტერატურული კონკურსი „პოეტური მინიატურები“

3 ნოემბერს საჩხერის მუნიციპალიტეტში სახალხო დღესასწაული მუხრანობა იზეიმეს. დღესასწაული, ქალაქ საჩხერეში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე მუხრან მაჭავარიანის სახელობის სკვერში პოეტის ბიუსტის პატივმიგებით დაიწყო და სოფელ არგვეთში გაგრძელდა.

მუხრან მაჭავარიანის სახელობის სახლ-მუზეუმის ეზოში კი გაიმართა მუხრან მაჭავარიანის სახელობის ლიტერატურული კონკურსის – „პოეტური მინიატურები“ გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი.

ჟიურიმ (ლევან ბრეგაძე, თეიმურაზ დოიაშვილი, ზურაბ თურმანიძე, იოსებ ჭუმბურიძე) პირველი პრემია მინიჭა **მარიამ კოზმანიშვილს**.

„ოლეს“ მკითხველს ვთავაზობთ მარიამ კოზმანიშვილის კონკურსში გამარჯვებულ პოეტურ მინიატურას.

* * *

აშრიალებდა ცელქი სიო პანია ფოთოლს,
მზეც ცის უბეში ალბათ ისევ ეძინა ტკბილად...
რალაცნაირად უსუსური, თბილი და თოთო,
დატანტალეზდა ფეხშიშველი, ქუჩაში დილა.



მარიამ კოზმანიშვილი დაჯილდოებისას

ლიტერატურული კონკურსი „ერთგულება“

16 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა გოდერძი ჩოხელის სახელობის ლიტერატურული კონკურსის – მინიატურის ჟანრში – „ერთგულება“ გამარჯვებულთა დაჯილდოება.

ჟიურიმ (ლევან ბრეგაძე, თეიმურაზ დოიაშვილი, ზურაბ თურმანიძე, იოსებ ჭუმბურიძე) II პრემია მინიჭა **ლანა მანველს**.

I პრემია – **ზაზა ბიბილაშვილს**, III პრემია – **მარიამ სისვაძეს**.

„ოლეს“ მკითხველს ვთავაზობთ ლანა მანველის კონკურსში გამარჯვებულ მინიატურას.

უცხო ზამთარი

ძალიან ცივი ყოფილა ზამთარი სხვის მიწაზე. სიკვდილივით მზაკვარი სუსხი, სულამდე აღწევს. აცრემლებულ თვალებს მდინარიდან მონაბერი ქარი გიშრობს და მკერდიდან ამოვარდნილ კენესას უკან გიბრუნებს. ყოველი გადადგმული ნაბიჯი მძაფრად გაგრძობინებს უპატრონობას, უმისამართობას, არარაობას. მიდიხარ და ბრაზობ! საკუთარ თავს უბრაზდები. აბა, სხვას ვის...

სიცვიდან გაკანკალებს. პირს მაგრად კუმავ. ნაბიჯს უჩქარებ. რამდენი ხანია წნევა განუხებს. ექიმთან ვერ წახვალ – უსაბუთო ხარ! ის წამალი, რომ ისევ გქონოდა – საქართველოდან წამოღებული...

ადამიანები, შენთვის არაფრისმთქმელი მზერით მიმოდიან. სუსხისგან ლოყები გეწვის.

– „არ მინდა შენთან ლაპარაკი, აღარ მიყვარხარ დედა!..“ — ოთხი წლის ლილეს სკაიპში ნათქვამი სიტყვები, გულზე ბორკილივით გადავს.


ცხელი კურცხალი გიგორდება გაყინულ ლანვზე... ტირი...
– შენ ვინ ხარ ჩემი?

– შენი ძვირფასი გული ვარ, ჩემო დედიკო... – იცი, რომ ასეთი დიალოგი აღარასოდეს გაიმართება თქვენს შორის. ხელებსაც აღარ გაშლის „დედამინის ხელაზე“ და – აი, ამხელაზე მიყვარხარო! – არ გეტყვის.

გაუსაძლისი ყოფილა ზამთარი სხვის სამშობლოში...

მიდიხარ და იკარგები – წარსულშიც, აწმყოშიც და... მომავალშიც!





რეზო აბაშია

ბოღება და პედრება ყოველთა

ვარსკვლავითი სამყაროს ჭეშმარიტად მოაზროვნე, ქრისტიანული ზეპუმანური რელიგიის უფლისეული სიახლე მისიით, მაცხოვრის ოთხი თავდადებული მოსწავლე ერთდროულად დედამინის არც ერთ ქვეყანას არ ხლებია: ამ სახის მოციქულებობრივი მოვლენა მთელს საქრისტიანოში მართლაც რომ იშვიათობაა. პირველი საუკუნის მეორე ნახევარში დიდი და მრავალსარწმუნოებრივი ისრაელიდან, სამარადისოდ აღმდგარი იესოს ღვთიური მითითებით ყოველმხრივ დარწმუნებულნი და წინასწარმეტყველურად უძველეს კოლხეთს გულითადი და სულიერი ნდობით მსხნელად გამოეცხადნენ (სამშობლოდან განდევნილები კოლხეთ-იბერიაში ღვიძლ შვილებად გრძნობდნენ თავს). ღვთისგან განმანათლებლად მოვლენილებმა, შორეული წარსულის ლეგენდარულ მიწაზე თითოეულად უვნებლად და დამოუკიდებლად თავისუფლად იქადაგეს და წმიდად აღვლენილებმა საღვთო წერილი შეუფერხებლად უწყვეტ ქმნად განავრცეს. ღვთისგან მოწოდებულნი ეკლესიათა აღმართვის და ხატის შექმნის ხელოვნებით განაწვეს კოლხები, ძირძველი საქართველო, უფალ იესო ქრისტეს სარწმუნოებაზე სამუდამოდ დაამკვიდრეს. წარმართობისმიერი უმძიმესი კანონცხოვრებისგან განამებულმა ხალხმა მდუმარე შინაგანი სწრაფვა ზეიმით მიიღო ქრისტიანობა და ბნელეთურ-მწვანელებური სარწმუნოება, ბრძნული და გმირული შემართებით, უარყოფილ იქნა. ქალაქიდუმალ აიას, ჭყონდიდის, აკადემიად წარდგენილი ფაზისის, დიოსკურიის, პეტრას არქეოპოლისის, ბიჭვინთის, საკულტო ადგილმშვენიება ვანის და მრავალი უმნიშვნელოვანესი ქალაქისა თუ სოფლის კერპთაყვანისმცემლობა სამუდამოდ გაუქმდა. და, განგებ შერჩეულ, არქაულ ულამაზეს ვარდისფერ-მოცისფრო, უხსოვარდროინდელ ქვაზე ყოველთა სალოცავად, ლუკა მოციქულის მიერ უძველეს ფიცარზე შექმნილი, მაცხოვრის სასწაულმოქმედი მზეხატი დაასვენეს, სადაც იმ ადგილზე მალე პირველი ქრისტიანული სამების სახელობის მცირე ბაზილიკა აშენდა.

ისტორიული სიმართლე, „ქართლის ცხოვრება“ იუწყება, ვახტანგ გორგასლის წინაპარმა წარმართმა მეფემ, დიდი ამალით გაილაშქრა უდანაშაულო ქრისტიანულ ეგრის-კოლხეთზე და მართლმადიდებლურ მოსახლეობას წმიდა ხატები გადაამალინესო (რაც არ გვიკვირს).

სინმინდის გაჩენის დღიდან ღვთისნიერმა კოლხმა-ქართველებმა ოთხი მოციქულთაგანიდან ორის უპატიოსნესი ნეშტი, რომლებიც მზის სისტემის დროთა დაუთმობელმა დინებამ ფიზიკურად მოამწიფა და კეთილმსცოვანნი მიიცვალნენ, ვალმოხდილ-იმქვეყნიურნი მინას მიაბარა და მარადისობის მშობლიური ნისლ-საბურველი გადააფარა, წმიდად მოვლენა სვიმონ კანანელს და კეთილ მატათას: ხოლო ყოვლისშემძლე მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა კი ფეხით ქრისტესმიერად შემოიარა ჭეშმარიტების მომლოდინე ქვეყანა და ვინ იცის, რამდენი ქალამანი გაცვიოთა, კოლხი კეთილი მენაღებების მიერ ირმის ტყავისგან შეკერილი. მერმე კმაყოფილი და მადლიერი ზეციური შეგნებით დაუღლეული მასწავლებელი იბერიას და სხვა მეზობელ ქვეყნებს ეახლა, ყველა მათგანი წარმატებით გააქრისტიანა. მაცხოვრის უერთგულესი მიმდევარი სვიმონ კანანელი იმდენად ახლობელი და ღვიძლი გაუხდა კოლხ-იბერიელ ხალხს – თავისუფალ და უკვე ქრისტიან ქვეყანას, მარადიულ განსასვენებლად, როგორც მოგახსენეთ, მათი მითიური მიწა ირჩია, კერძოდ, ბიჭვინთის ზღვისპირეთი. იგივე ზეციური ბედი ეწია ერთგულ მატათას, რომლის საფლავი დრომ თუ ურჯულოთა შემოსევებმა პირისაგან მიწისა წაშალა, მაგრამ კოსმოსურ უკიდევანო მესხიერებაში, ქალაქ პეტრას ციხე და წმიდა სამარხ-სანახები ნათლად მოიხილვება; ზოგან ფანტასტიურ ადგილმდებარეობას კოსმოსასწაულ მხილველები ციხეგოჯის მიდამოებსაც ამსგავსებენ. ღრმად მორწმუნემ და მოკრძალებულმა ბართლომემ, დაულალავი შრომა-მეცადინეობით ყოველ მიყრუებულ მთის სოფელსაც ბეჯითად მიემასწავლებლა და თითქმის უკლებლივ მოაქცია ქრისტეს რჯულზე. მერმე აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძველეს ქვეყანას განმწმენდ-განმანათლებლად ეწვია, სადაც უმონყალოდ აწამეს. ყოველივე მათგან განეული ღვანლ-შენიროვა უფლისმიერია და პლანეტაზე ჭეშმარიტად ჰუმანური რჯულის ზეიმ-გამარჯვებაა.

სამწუხაროდ, დიდი ქრისტიანული ქვეყნების დამპყრობლური უღვთო მოლაღატური ხასიათიდან გამომდინარე, კოლხეთ-იბერიის ამ სახის რელიგიურ-სარწმუნოებრივ სიამაყე-ისტორიაზე თვალს ხუჭავენ.

ღვთიური ნატვრათა ამ ნაწარმოებში და ოცნება...



ზოგჯერ რა ძლიერი ყოფილა უსამართლობა და ბოროტება. პირდაპირი მტრული მოქმედებით მაცხოვრის უარყოფა – ჭეშმარიტებისა და წმიდათაწმიდა რელიგიის უკეთური დამახინჯებაა. ნუთუ ღმერთის მინც არ ემინათ, ან კოსმოსური ხელუხლებელი უბრძენის განძიმეფების. მაცხოვრის და თავისი უახლოესი მონაფეების რეალურ ისტორიას ხომ ვერავინ და ვერავითარი უკეთური შური ეშმაკეული ვერაგობითაც ვერ ამოშლის წმიდად დაწერილი თუ დაუნერული წიგნიდან.

ქრისტიანობის საზიანოდ სატანას ნუ ახარებთ, ბოროტზრახვებიანო ადამიანებო!

პლანეტის ახალმა რელიგიამ თანამიმდევრულად გაანადგურა უსასტიკესი წარმართობა და, სამწუხაროდ, მათგან შეუგნებლებმა იმ დროთა, შორეული უფლის, ზემოქმედებით შექმნილი ხელოვნების ნიმუშ-მედეგებიც მიაყოლეს.

რელიგიურად უძლიერეს იუდეველებს კი ვერაფრით ვერ გაეკარნენ, აქ რალაც კოსმოსურ კანონ-წონასწორობასთან გვაქვს შეხებები. საუბედუროდ, წარმართობის მოშლას მოჰყვა ადამიანების დიდი მსხვერპლი, ალბათ დადგენილია სამყაროში ღვთიური სიახლე – დიადური, გარკვეულ თავდადებას მოითხოვს: ამას მგონი ვერც ერთი ზეძალა ვერ გაითვალისწინებდა კოლხეთ-იბერიაში კი, როგორც მოგახსენეთ, ყოველივე სასტიკი შეწირვები შედარებით ნაკლებად მოხდებოდა. ჭეშმარიტებამ უფრო იბერიის წარმართული ბოროტი კერპები დაამსხვრია და მათ ადგილას სიკეთის, სიცოცხლის და სიყვარულის წმიდათაწმიდა ხეები აღმოაცენა.

დროთა დინებას შებერებული კაცობრიობის ცივილიზაცია – ლეგენდა-ქალაქი აია, ფაზისი, დიოსკურია, ციხეოჯი (არქეოპოლისი), პეტრა ჭყონდიდის საბრძანებელი, კოლხეთის რამდენიმე ქალაქი და სოფელი, წარმოგვიდგენია კოლხეთ-იბერიის ქრისტიანული სარწმუნოების სათაყვანებელ უძველეს აკვნად, რომელთაც მოგვიანებით ქალაქი მცხეთა მზის ამოსვლასავით გულლიად შეეგება, მოციქულთა სწორის, წმიდა ნინო კაბადოკიელის მეოხებით და ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად დაკანონდა.

ჩვენს მარტოსულ, სიცოცხლით სავსე პლანეტაზე ექვს მილიარდზე მეტი ადამიანი ცხოვრობს: ხუთი მილიარდი, თუ მეტი არა, ქრისტიანი არ გახლავთ, რამდენიმე ათი მილიონი კი ათეისტია. სამწუხაროდ, მრავალათასეული ანტიქრისტი და სატანისტია. ხოლო ნაღდი ქრისტიანები ვინც ვართ და სხვა უახლოესი აღმსარებლობის მრავალ უფლისმიერ ხალხს კბილებით და სიცოცხლის ფასად გვიკავია კაცთა შორის ჭეშმარიტება, სიყვარული და სიკეთის ზეცისგან განწმენდილი გრძნობები...

უსასრულო ოკეანიდან ხმელეთზე უმწეოდ გამორიყულივით, ბავშვობიდან ღრმად მორწმუნემ, ხატმწერმა წარმოსახვით მინც რომ ვინატრო და სიყვარულითა და სიკეთით სავსემ ვიოცნებო, რომ ზეუსასრულობის საუფლოს ლეგენდარულ კოლხეთ-იბერიაში მოევიდნა ნათელი იესო. ამით რა სარწმუნოებრივი დანაშაულია დაშვებული? წმიდა წიგნები, საღვთო წერილები, ლოცვები, სწავლებებიც ოდნავ ან საკმაოდ განსხვავებით შავი ზღვისპირეთში, ქალაქ აიაში, ფაზისში ან პეტრაში რომ დაწერილიყო, ხომ შეეძლო მათივე უსაზღვრო ზეციური ფანტაზია გავლენა ჭეშმარიტებიდან გამომდინარე, ყოვლისშემძლე ზეციურ დასს. კოლხი ხალხი, მრავალი ათასი წლიდან მოყოლებული, უთუოდ ქვეცნობიერად

მაცხოვრისეული თანდაყოლილი უძველესი რწმენით და სრულყოფილი ზნეობით ცხოვრობდა. ისე უბრალოდ და თვითდინებით არ შეიქმნებოდა ოქროს ვერძი და კოლხური ოქრომრავალი კულტურა-ცივილიზაცია... ჩვენ კი რატომღაც გვგონია ურყევ კანონად და დომებად ქცეული ყოველგვარი დღევანდელი რელიგიური აზროვნება კანონიკები რომ არა, თავზე დაგვექცევა ცა და მიწაო. რეალურად ასე ხომ არ გახლავთ კოსმოსი მონყობილი; ყოველგვარი ეჭვების გარეშე სამყარო აურაცხელი გალაქტიკებით შეუჩრებელი მოძრავია და სიახლეებითი უსაზღვრო გარდაქმნება, საერთო აზროვნებითაც მარად პროგრესულია და მისგან მაგნიტურად მოესხივება ყოველგვარი რელიგიური ზესიახლე-სწავლებები, ადამიანთა ზნეობრივ წარმართველი სულიერი ჰარმონია და ვარსკვლავეთური საოცრება საღვთო წერილისეული შეგონება. უზარმაზარი უსაზღვრო წარმოსახვებითი შემოქმედია თავად სამყარო, ვინ იცის, მართლაც მაცხოვრის მეორედ მოსვლა კოსმიურ გავლენა ულამაზეს მცხეთაში მოხდეს, ვარძიაში, უფლისციხეში, ზღვით განბანილ ფაზისში ან კავკასიის მთებისკენ მიმავალ მარტილში და მხოლოდ ქართულ ენაზე იქადაგოს მომავალი ათასწლეულების სიბრძნე, სიკეთე და სიყვარული. ჩვენ ხომ შორსა ვართ ამდგვარ ზეციურ-ღვთიურ მოულოდნელობათაგან. ეს აუხდენელი ნატვრაა? ჩემული ლოცვაა თავად. უჩვენოდაც უსასრულობის ღმერთისთვის ყველაფერი წინასწარ ნათელია. საუბედუროდ, ადამიანში ჩასახულ ეშმაკეულ ბოროტად შობილ თვისებებს ხშირად და საბოლოოდ არაფერი არ ჯაბნის. ეს უკვე კოსმიური მიუწვდომელი უღვთო მკაცრი ძალაა მარად უსაშველო და მეცნიერულადაც შეუხსნალებელი. თქვენ, ჩემზე ძლიერნო, ჯობია მას მიხედოთ და ღვთისნიერად გაანელოთ უკუღმართული თვისებები, ვინემ ღრმად მორწმუნის კეთილ და ალაღ ნატვრას, აღმაცერად უყურებდეთ, რათა ყოველივე ჩემული ისევ მართალი ცისარტყელას პლანეტარიუმის ანარეკლი ფერებიდან მოედინება შეუდარებელი მზიური და კეთილმოსიყვარულე ზრახვებით. ვის ჰკითხეს ან ვინ უთანხმდება ადამიანებს, სად უნდა მომხდარიყო ღვთის მოვლინება. შესაძლოა, კოსმოსური უთვალავი მოძრაობა-ბრძოლა წინააღმდეგობების ტალღურმა ცვლილებებმა მაგ დროს შემთხვევით ისრაელში ჩამოიარა, მაგრამ (მართალია, რელიგიურ სწავლებათა ეტაპებთან კი გვაქვს საქმე, ოღონდ) შედეგი? მთლიანობაში გაოგნებულმა ადამიანებმა რაც კი ვინწინეთ ტანჯვა-წამებით, სიკვდილის ყველა უსაშინლესი ფორმით, ისტორიულად სახეზეა; რასაც ჩაჟამულ ქარბორბალად მოჰყვა მომაკვდინებელი ჯვარცმა, წმიდანის (იოანეს) თავის კვეთა, ტანჯვა, პირადი და ხალხთა მასიური შეწირვები, წარმართთაგან საშინელი დასჯები, მკვლევობები, ჟლეტა, ხოცვა, სარწმუნოებათა უთანხმოება, დევნა და ასეთ უბედურებას, საქვეყნოდ ბნელ ტრადიციად ქცეულს, ბოლო არ უჩანს. რათა? რატომ? რისთვის? საბოლოოდ რას ფიქრობს ქვეყნიერების პატრონი? ყოველივე ცნებების, ფანტაზიების, მომავლის ოცნებების და უფრო უხილაობის იქითაა. ადამიანის თანდაყოლილმა უმძიმესმა ბუნებამ ხომ არ გაამძაფრა ის მოვლენები, ზემოთ სულიერი ტკივილებით რომ შეეგებ მარად შეუგუებელ, ჩვენულ ქვეცნელურ ხასიათს?

ველური ცხოვრების სინამდვილეში, დედამიწაზე თუ ქვეყნიერებაში, უთვალავი ფსიქოლოგიური, ზნეობრივი





და გონებრივი დინებები უმართავია. საუბედუროდ, უკეთურობებს სრულიად სხვა ბნელეთური ძალა განაგებს და, აქედან გამომდინარე, მრავალი ზეციურ-სტიქიურ-მომწამვლელი სულის სივრცობრივი ფანგი ადამიანშიც მძლავრობს და საშინელ ბოროტმოქმედად აყალიბებს. რა თქმა უნდა, ისევ ზნეამღვრეულ ვარსკვლავთა უარყოფითი მკვეთრი სხივები მოქმედებს და უკეთურთა ქსელს დღენიადგა აძლიერებს. ბევრჯერ დამინერია, რომ კეთილ და ავ პლანეტათა ქვეყნიური ქმედება, ჩვენდა საბედნიეროდ, უფლის კეთილი განგებლობითა დამუხტული, რითაც მუდმივად განონასწორდებ-განინმინდება კაცობრიობა...

ხოლო ნატრული მშვიდობიანი, მორჩილი, უფლისეული სულიერების გარემოცვაში აღვლენილი სარწმუნოება მარად პროგრესულ, კეთილ და ურთიერთსიყვარულის გარემოცვაში იქნებოდა. ხალხთა, ეროვნებათა და მრავალ პიროვნებათა განადგურება-ხოცვა-უღელტეგებს როგორც სრულიად საქრისტიანოში, ასევე ყველგან უთუოდ ავიცდენდით და არ დაიბადებოდნენ კულტურა-ცივილიზაციის და ხალხთა გამანადგურებელი, ბელადად წოდებული დემონები. ამ შემთხვევაში თბილისის ასი ათასი წმიდანის ისტორია ხომ ყელაფრის მთქმელია! რა თქმა უნდა, როგორც მოგახსენეთ, კოსმოსმაც დედამიწაზე თავისი უარყოფითი სხივებიც მრავლად ჩაყარა და უაზრო-უადგილო მარტილობა ეშმაკულ ტრადიციად იქცა... კოლხეთ-იბერიასა და საბერძნეთში, მაცხოვარს, შესაძლებელია, ას ოც წლამდე ან ბევრად მეტიც ღვთიური სელა-დიდებით პლანეტის მანათობლად ეცხოვრა, მსოფლიოს უამრავი და ყოველგვარი ნამყვანი რელიგიები ოცნება-კაცთმეგობრობაში მოექცია და მართლაც, უფალს ხელს ვერ შეუშლიდა ფუჭი ადამიანური დაუნდობელი ბოროტი ძალა და მორჩილ ნებად დაჰყვებოდა უზენაესის უკეთილშობილეს მიუწვდომლობას. ამჟამად?! თვალს ნუ ვხუჭავთ, კრიტიკულად განწყობილი საზოგადოებავ, და კარგად გადავხედოთ პლანეტის რელიგიურ მარად კონფლიქტურსა და ხშირად დამლუპველ ნერვიულ შავბნელ მოზაიკას.

უხსოვარი დროიდან ადამიანის უკეთურობა და ბოროტება ყელაფერს მისწვდა და უკუნეთური კვალი დატოვა, მაგრამ ზეციურ ანგელოზებს ავი ქმედებით ვერასოდეს მიუახლოვდა: მხოლოდ გამუდმებითი თხოვნა-მუდართით და მორჩილებით იმედის თვალ-გონებით შესციმციმებს. გვიკვირს და ისმის კითხვა, რაშია მდგომარეობა? რა კოსმოსურ უტყხ სულიერ იდუმალ უფლისეულ ზეენერგიულ ფენომენთან გვაქვს სიახლოვე? როგორც დედა მზესთან არიან მიუდგომელ-მიუწვდომელნი ცოცხალი არსებანი, ასევე არიან ყოველთა მფარველ ანგელოზებთანაც, თავისი ვარსკვლავთური განსხვავებული სულიერი თუ სივრცობრივი სიშორით. ამ ფორმის შეუძლებლობაზე, მოკრძალებით, ნუთიერად მაინც ვიფიქროთ და ვითომდა მთავარანგელოზიც რომ განკაცებულყო, მაშინვე წიოკით დაუპირისპირდებოდნენ უღვთო-უკუდმართად დაბადებულნი, საშინელი შურით, ბოღმით და ბოროტულ-მოლალატობრივი ზრახვებით?..

ვაჟა-ფშაველას ხევსურეთისეული საკვირველი გამონათქვამია: გველს დაუჩვილია, კბენა ადამიანმა მასწავლაო... (ერთ-ერთმა განაწყენებულმა მისტიკოსმა საშინელება ბრძანა თურმე, სატანა ადამიანის ტყუპისცალიაო!!)

უძველესი რელიგიებიდან, უფრო წარმართობიდან,

მოყოლებული, დედამიწაზე, სამწუხაროდ, ადამიანებთან ერთად, ღმერთებიც დაუნდობლად ებრძვიან ერთმანეთს: გადის მნიშვნელოვანი საუკუნეები და გონებრივ-ზნეობრივი წინსვლის მაგიერ, სამკედრო-სასიცოცხლოდ ახალი და ძველი რელიგიები უფრო დაუპირისპირდა ერთ-ერთს. აღმაშფოთებელ ღვთიურთაგან ისმის კითხვა, საიდან იბადება ამდაგვარი უთანასწორო საშინელებაო?! ჯიუტი ფაქტია, რომ ყოველივე ადამიანის უძიმესი და უნდო ბუნებიდან მომდინარეობს. ადამის მოდგმის გადამრჩენელად უსასრულობიდან ებოძა მას წმიდა უფლისმიერობა, მაგრამ თავისი შეუთავსებელი ხასიათ-თვისება ყველგან ბოლომდე ბნელ ფორმად ჩადო. თანვე სრული მინიერი კაცთა არსება ხომ მარადიულ წვალეზაშია და ცხოვრებისეული უმკაცრესი გამოცდაა. ამდაგვარი არსებობიდანაც გამოუმუშავდა მწარე საპირისპირო თვისებები.

ადამიანი რომ ბოროტია, ამაშია ჩემი ნუგეში, რადგან ის ძალას წარმოშობს. ნიცმე უთუოდ დიდ ნებასაც მოაბრძანებს, მაგრამ... საკვირველ და უმნიშვნელოვანეს ვარსკვლავთურ მოვლენა მოძრაობათა გაქრობა-აღდგენა თუა სამყაროს სივრცეში, მაშინ საოცარი სანყისი, შუა და ბოლოცა მისი; აგრეთვე მარადიული ფენომენალური საიდუმლო ხაზიც არსებობს უკიდველობაში, რომელსაც დანყება-დასასრული არ გააჩნია. ჩვენ უთუოდ სივრცობრივი იმ გზა ელემენტ-ხაზთ მოძრაობის მავალნი ვართ, რა თქმა უნდა, აზროვნების, სულიერი და შინაგანი განწყობილების სხვადასხვა სფეროთი. ამქვეყნიური ცხოვრება თითქოსდა მინიერი თვისებებითა შემოფარგლული და იქვე ჩამაფიქრებლად ცხოველურ-ფიზიოლოგიური პირდაპირი თანხმობით, ფიზიკურად მრავალი ბუნებრივი თვისებებიდან გამომდინარე; ხოლო შემდეგი სხვა იდუმალი, სულიერ-ფსიქოლოგიური საფეხურები ურთულესია და მის წინაშე ნებისმიერთა რეალური შეგონებები უსუსურია... პიროვნება – ადამიანი, უწყვეტად მოდის სივრცის მიუწვდომელი მდიდარ-უკვდავი უჯრედოვანი საგანძურიდან და შეუწყვეტლივ გადის ზეცის საცხეობის გაგრძელების უსასრულობაში. რატომღაც ბევრს ჰგონია, ყოველივე ჩვენეული მხოლოდ მინიერი პროცესიაო. აგრე რომ არაა, მეგობრებო (ფაქტია, კოსმოსური ინსტინქტი, სიმართლესთან ბინადრობს). თვით დედამიწა, ქვეყნიერების უმცირესი შემადგენელი მორჩილი კონტაქტ-პლანეტათაგანია. ხოლო ადამიანის მთლიანი ფსიქო-სულიერი გონ-გულის გამოუკვლევე სირთულეები იმაში მდგომარეობს, რომ მუდმივად პირადული – გაუცხოებული თავის მეობის ძიებაშია, აქვე რაც მთავარია, ყოველთა მსხნელი და მიუწვდომელი ღმერთისა: ოდითგანვე იმიტომაც დაინყო ადამიანმა უფლისკენ მოუსვენარი ლტოლვა, ქვეყნიურთან ერთად პირადი, ყოველგვარი სულიერ-გონებრივი განზომილებებით, თითქოსდა ხილული ნაწილობრივ დაემორჩილებინა მას, მაგრამ უკლებლივ ყველა მათგანს, თურმე, გარემოსგან უამრავი პირობები და ყველაფერი ზედმეტადაც სჭირდება, დღენიადგა ეძებს, უკმაყოფილოა მუდამ, ალუფსებელია, ქმნის, იგონებს სიახლეებს, იბრძვის, ბოროტობს, სულ კონფლიქტშია და იწვის. საბოლოოდ თავისი შინაგანი უმთავრესი ბუნება როგორმე უნდა შეიცნოს, დაიურვოს, მაგრამ ისმის კითხვა: აგრე რატომ უჭირს – ეძნელება ყველაფერი და წამებაშია?.. უეჭველად მასში მისი გაჩენის და არსებობის შეუცნობადი უფლის მიუწვდომე-



ლი და ურთულესი ფენომენია ჩასახული. ან, შესაძლოა, რომ ის, თავად იყოს ყოველივეს და ყველაფრის სანყისი (ზოგჯერ კითხვასაც ვსვამ: – სატანა ადამიანით ხომ არ გაჩნდა?), კოსმოსურ უწყვეტ სხივ-მაგნიტს დაქვემდებარებული, ანუ სამყაროს სიმბოლური უიშვიათესი მეტეორული მუქი ლურჯი ქვისგან გამოჩორკნილი სიცოცხლის თასისმიერი (რაზეც მე ხშირად ვსაუბრობ).

მილიონობით და ათასწლეულთა დაგროვილი, მაღალგონიერი აზროვნება დასჭირდა ადამის მოდგმას, ბიბლია – ნიგნ-შედევრი რომ შეექმნა; ებრაელთა უძლიერესი თორა და შესანიშნავ-ნააზრევი ყურანი. აგრეთვე სივრცობრივი სულთჰარმონია ბუდისტური მოძღვრებისა. სიყვარულის, სიკეთის და ჭეშმარიტება-ზნეობის დროშა „ახალი აღთქმა“ და, კიდევ რამდენიმე შედარებით მცირე, მაგრამ ნათელ-თეორიული სწავლა-ქადაგებანი და ამათგან იშვა საოცრება ვარსკვლავებით მოვარაყებული ღვთიური ნიგნები, ურთულესი მინიერ-ზეციური განძთსიმდიდრე ზნეობრივ ჭეშმარიტებათა გამოხატვისა. კოსმოსური უზარმაზარი მომავლის ადამიანებს ისევე ათასეული წლები დასჭირდებათ, მათივე დროების სრულყოფილი რელიგიური სიახლეების მოსვლის ლოდინში, რის შემდეგ გაუმთლიანდება უფლის, ურთულესი შეუსწავლელი სულის და სრულიად უცხო ზეციურ ახლად აღმოჩენილ უხილავ სამყაროს, ანუ უთვალავ გალაქტიკათა მარად ურღვევ ჰარმონიულ ანსამბლს. ამ სახის შორეული მომავლის გარდაუვალი საღვთო სწავლებანი უფრო კეთილ განსხვავებული იქნება ამჟამინდელ მყარად არსებულთან შედარებით. ხოლო უბრძენისი „ათი მცნებიდან“ დაწყებული, ასევე წმიდათაწმიდა უამრავი ჭეშმარიტებანი მიმდინარე ტოტემდახუნძლული ათასწლეულისა, ოქროს მოქნილი ზამბარასავით გაჰყვება სამარადისოდ უკიდურესად განსხვავებული სიახლე რელიგიური მოძღვრებებისა; ასევე აურაცხელ წელთა მერმეც, ნებისმიერ ახლად გამოცხადებულ სამყაროსეულ სარწმუნოებრივ ჰარმონიას, ოდნავ გაუმჯობესებული ფორმით გაჰყვება მცნება „გიყვარდეს მტერი შენი“... „რათა არ იციან რასა იქმნიან“. მარადიული და უზარმაზარი კოსმოსური ფილოდოფია მზის სხივით ნათელი... დიას! მომავლის საუკუნეები და ათასწლეულები, უფლისეულ ამოუწურავ გენიათა საოცრება ქმნილებების ჭეშმარიტ და თვითმყოფად წმიდა რელიგიების ეპოქათა ღალადი იქნება, პლანეტის უმთავრეს და სრულიად სიახლე აღმსარებლობათა გვერდით...

ადვილად შესაძლებელია, მომავალში სიტყვა ტერმინ-განმარტება რელიგიური, შეიცვალოს მოსული მცნება კოსმოსური მოძღვრებებით, რათა ან მომდინარე უსასრულობის ათასწლეულები სამყაროსეული დაუსრულებელი და მრავალმხრივი ვარსკვლავთური ფორმა-ძიებებით იქნება სავსე...

წუთით წარმოვიდგინოთ, ადამიანი რომ არ არსებობდეს ჩვენს პლანეტაზე, თავისი მრავალი ხასიათ-ურთულესი ფსიქოლოგიით რა ზნეობის და შინაარსის იქნებოდა გაძარცვული დედამიწა? უფალი ქვეყნიერების მიმართებაში ზენარული ძალა ფუნქციებით როგორ იმოქმედებდა, ამ თემაზე მიახლოებითი გააზრებაც კი ძნელია. სრულიად ვამართლებ ბრძენ მეცნიერს – „ადამიანი ციდან ჩამოგდებული ღმერთიაო“. აგრეთვე სიღრმისეულად რომ გვმოდვრავენ, – „ადამიანს ზეცა ახსოვსო“, მაგრამ მას დახვდა ულამაზესი მიწა, წყალი, ჰაერი და აურაცხელი ცოცხალი არსებანი. რა თქმა უნდა, ის

თავიდანვე ზეციური სრულყოფილებით ვერ ეწვეოდა დედამიწას და გარდაუვალი ევოლუციური განვითარებაც ბუნებასთან სიახლოვით თანადროულად მიიღო, მაგრამ, როგორც თავის დროზე მოგახსენეთ, ზეციდან უმთავრესი – ვარსკვლავების კეთილი და უხიაგი თვისებები უკლებლივ ჩამოჰყვა, რომელთაგან უმთავრესი სიყვარული და ბოროტქმედებიანობაა. დედამიწაზე ღმერთი და ადამიანი ერთად გამოჩნდა და სამარადისოდ დამკვიდრდა, მაგრამ კაცთა მოდგმა, თავისი ბრმა და გონებრივი სისულეებიდან გამომდინარე, მარადიულად დაეძებს თავის გვერდით მყოფ უფალს და ხშირად ღალატობს კიდევაც. დადგენილი ვერსიაა, როგორც ხშირად ვწერ, მხოლოდ სამყაროს ახალმა უკეთილშობილესმა დინება-ნაკადმა უნდა უშველოს მათ... უფლისმიერად ძირფესვიანად გააძლიეროს და თავადვე გაანმენდინოს, თავისი კუთვნილი, სულიერი გარემო წმიდათაწმიდა ზნეობრივი ფორმიდან დაწყებული, თუ არადა, დედამიწაზე ადამიანის ტანჯვა-წამებას დასასრული არ ექნება

მზის სისტემის სანიმუშო მინიერმა მასპინძლებმა შხამს ამოვლებული სულით აწამეს მაცხოვარი და ყაჩაღის დონეზე მოკლეს. მერე სიბრძნისეულად იტყვა, ასე უნდოდაო მხსნელს რათა ადამიანები დიდიან-პატარიანად, მისივე მკვლევებითურთ, თანდაყოლილი ბინძური ცოდვებისგან გამოესყიდა. მერმე?! მინც არ დაადგა საშველი და სხვა ფორმით უფრო მძაფრად გაგრძელდა მორჩილ მორწმუნეთა გაუთავებელი დასჯა, ტანჯვა და მკვლელობები. მხოლოდ ასეა საჭირო, თუ არადა სამოთხეში ვერ მოხვდებითო. ალბათ გულუბრყვილო ფანატიკოსები მალე უბოროტეს დამნაშავეებსაც გაამართლებენ მიტევების ფონზე, ის საშინელი უკეთურობა ხომ, ფაქტიურად, კანონმდებლებმაც განახორციელეს.

ამქვეყნიურობა უწყვეტი წინააღმდეგობაა და სიცოცხლე ჟამთა სვლით ურთულესია, კოსმოსური თუ უახლოეს მინიერ მოვლენათა ჩახლართული ხვეულებით. უპატიებელ შემთხვევაშიც გვეუბნებიან, ყოველივე მაგ სახის მოქმედებები აუცილებელ-ჩვეულებრივია თურმე. აქ დავძენ უმძაფრეს მოვლენას:

„მამა, რატომ მიმატოვე?!“ – ჯვარზე გაკრული და უკიდურესად ნანამები, დასისხლიანებულ-სხეულდაღლევილი მომაკვდავი იესო, მარტოდ დარჩენილი, მინასა და ცას შუა ჯვარს ცმული, შესთხოვს უფალს და ზეციდან პლანეტის წონის ბრილიანტ-ცრემლი გადმოვარდა. მაცხოვრისეული ასეთი უმძიმესი გარემოების შემთხვევაში მიუწვდომელი ფსიქოლოგიურ-მართალი ფიქრ-ვედრებაა და უკიდურესობისას მაცხოვარი რეალურობით გაიხსნა და იდუმალ მკვებავმა, ღვთიურმა გონ-სულით სინათლის უშორესმა მართალმა გონიერმა ფორმამ ათქმევინა: რატომ მიმატოვე, მამა?! საუბედუროდ, უსაზღვრო სამყაროს მთავარ-უფალიც ვერ უმკლავდება თურმე ავსულსხივოსან პლანეტებს და დედამიწაზე მისი გავლენისაგან ბოროტად მცხოვრებთ, რათა უმეტესობათაგანი სიკვდილამდე გამოუსწორებელი სიავის საშოა...

წარმართობიდანაც უსაშველოდ ცოდვილიანთ, კეთილი და მოსიყვარულე, ბრძენთაბრძენი, ზეციური მოვლენა მხსნელი როგორც იქნა გვეახლა გადამრჩენად, ჩვენ კი ჯვარცმა, წამხდარი ძმარ-შხამწურწუფა შევავედრეთ.

შხამისფერ მრავალფეხა უკიდურესად მონდომებულმა ეშმაკმა ვერაფერი ვერ დააკლო იესო ქრისტეს, ჭეშმარიტების მოძულეებმა კი დაუნდობლად აწამეს





და სიკვდილით განიშორეს. სათაყვანებელი წიგნი „ახალი აღთქმა“ ჩვეულებრივი მომუშავე პიროვნებებიდან უფალ იესოს მიერ მოციქულებად ნაკურთხებმა დაწერეს მაშინ, როდესაც მაცხოვარი დედამინიდან ამაღლებით გასული იყო. წმინდა ოთხთავი უთუოდ, აწმყო-მომავლის წარმოუდგენელი იმედით სავსე, ბრძნული და კეთილზროვნებითი რელიგიურ-ქრისტიანული სწავლებაა, რომელშიც შესწორებების შეტანის უფლება მხოლოდ ღმერთ იესოს ექნებოდა და აქვს, მაგრამ...

დრო უსასრულობიდან მოედინება უწყვეტად და დაუსაბამობაში გადის.

სიბრძნე-სიმართლის ამქვეყნიურ თუ იმქვეყნიურ სრულ ქმმართველობაზე, უფალი მხოლოდ გენიოსებს ააზროვნებს. როგორც თქვენ ნებისმიერნი, მეც ხომ უფლის და სამყაროს უმცირესი ნაწილაკი ვარ და ჩემდა უნებურად ზოგჯერ ნაწილობრივ სიმართლეზე ავლავარაკები: რატომ?! მიუბრძანეთ ზეუზენაესალებო, მკვლევებად შობილ უბოროტეს არსებებს, სიკეთე, სიბრძნე, სიყვარულისა და ზნეობრივი ბედნიერების მომტანი და სიცოცხლის უფლისეული სიმბოლო – ძე ღვთისა, მამაზეციერი იესო?!

სწავლებაში მტკიცედ ჩაკეტილნი დამაჯერებლად გვმოძღვრვენ, ამდაგვარად წერია საღვთო წერილშიო. ნებისმიერი მოძღვრებათაგანი ხომ კაცთა მიერ დაწერილია, მრავალმხრივი ზეციური შეგონება-ცნობიერებიდან გამომდინარე. უფალს და ძე ღვთისას ერთი წინადადებაც არა აქვთ ჩვენთვის შექმნილი წერილ-წაანდერძევი. ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, მაცხოვრის უსაზღვროდ სპეტაკმა შეგნებამ, მიმდობმა სულიერმა დაყოლამაც განსაზღვრა მთავარ-შემადრწუნებელი და ქვეყნიურ უმძიმესი სისხლიანი ჯვარ-ტრაგედია.

დედამინელების შავი ძალებისგან მხსნელი, თითქმის უმეტესობისაგან მიტოვებული, უარყოფილი, განწირული პირადი ზეციური ზნეუმართებით, ყველაფერზე და ყველაზე აღმატებული აღმოჩნდა. ეჭვს გარეშეა, კოსმოსური უარყოფითი ურთიერთში გადაბურდული სხივებიც გარემო სივრცეში ხომ უხილავ ხავსისფერ კაპილარებადაა დაქსაქსულ-ჩასახული. ჩვენი კი მცირედ დარჩენილნი მოულოდნელი ზეციური მრუდ მკვლევებისგანაც წინდაუხედავად და საცოდავად შემცდარნი ურთიერთგანმწირავ გადაბრალებებზეც ვართ გადართულნი. ამდაგვარი დაუსრულებელი მდგომარეობით დაღონებულნი, სამართლიანად ვკითხულობთ: – რა ხდება ჩვენს ირგვლივ და სამყაროში?! თქმაც არ უნდა, მიუწვდომელი განზომილების და უმკაცრესი უდრეკ, დაუმორჩილებელ კოსმოსურ უმძაფრეს გარდამავალ წესრიგთან გვაქვს საქმე-შეხებები, რომელიც ჯეროვნად აღაზევებს ცოდვილიანობისკენ გადახრილ კაცთ-ემშაკეულთ.

ჩვენგან, ყველას ხომ არ ძალგვიძს თვალ-გონების დახუჭვა და გულლიად ვალიარებთ, რომ გონ-სულიერი მოთმინებით უნდა ველოდით შენუხებულ პლანეტაზე უფლისმიერ უკეთილშობილეს ზნეობრივ-განმმნდავი ქმმართველის ჰარმონიის მეორედ მოსვლას...

უსასრულოა სამყარო, მაგრამ უფრო ბევრად მეტი დაუსრულებლობაა ქვეყნიური გონდამბინდველი იდუმალი სავსეობის უხილაობა.

საოცრებათა სიმრავლის უძირო საკვირველება-ნია ყოველივე, რომლითაც გადაცხებულ-გადატენილია ხილული ვარსკვლავეთის უხილავი უკიდევანობა. აქვე მოვიყვან ფიქრმიუწვდომელ მაგალითს: მაგრე რომ არა,



საიდან გამოგვეცხადებოდა დედამინაზე მეცნიერულად შეუსწავლელი, ცოცხალი ოქროს ფონდი, ორი ათას ხუთასი, ერთმანეთისგან ძირფეხვიანად განსხვავებული ენა და მეტყველება?

მართალია, ბუნების მრავალფეროვან ლანდშაფტს, ოკეანეთა – ზღვა და მდინარეთა სიახლოვეს: განსაკუთრებულმა კლიმატმა გარემოს უწყვეტმა ხმამ – ქარმა, დაფანტულმა სივრცის მუსიკამ და ზეციურ სხივთა იდუმალმა ზეგავლენამ, საკუთარი მეტყველება შესძინა ადამიანთა ჯგუფებს და ხანგრძლივ დროთა ჟამში გამოუმუშავა თვითმყოფადი არქაული ბგერა და გაუმართავი სიტყვა, შემადარ ამყოლი მიმიკით და სხეულის მრავალმხრივი მოძრაობით, მაგრამ ყოველივე მაინც, როგორც მოგახსენეთ, ზენაარიულიდანაა მტკიცედ ჩამოყოლილი.

ამჟამად უძველეს ხელოვნება-კულტურა-ცივილიზაციებზე თავს ვიკავებ.

ზეშთაგონებით უახლოესი საუკუნეების ღვთიურმა კომპოზიტორებმა გენიალური მუსიკა გამოიხმეს განუზომელ-მიუწვდომელი ხმოვანი ზეცის უმდიდრესი სივრციდან. დიდმა მეცნიერებმა ჩამოათრეს მომაკვდინებელი ატომიც (აქ ისევ ბოროტებამ შეუშხაპუნა ადამიანის გონებას თავისი მომაკვდინებელი სატანური გესლი). თანვე სამშვიდობო ტელეეკრანი, რადიო და სხვადასხვა ტექნიკა ცაში გაფანტულ ხმათა გამოხმობი. მიწიერებასთან ცოცხალ შეხვევით ვიზიდავთ ლექს-შედეგებს და პროზაულ ბრძნულ გენიას. აგრეთვე მოგვეწოდება ქანდაკების უთვალავი ინდივიდუალური უმკვირველი პლანეტებისეული ფორმა სიახლე სტილი-შემადარი. რა ვილაპარაკო საოცრება არქიტექტურაზე, კინოსა და თეატრზე, ოპერის მომღერლებზე, რეჟისორებზე, ასტრონომებზე და კოსმოს-ნათელმზილველებზე... მაგრამ ფერწერაზე, როგორც მხატვარი, გამორჩეულად ვიტყვი მის განუგებებელ ზეციურობაზე, ღმერთსა და კაცთ შუამავლობაზე. დავიწყით ლეონარდოთი, მიქელანჯელო, რაფაელი, ბოტიჩელი, მაზაჩო. საოცრება ბიზანტიურ-ქართული ხატებით და ღვთიური ეკლესია-ფრესკებით. დღესდღეობით კოსმოსში პირდაპირ უხილავი სიახლე ფერებით და ფორმებ-ხაზებით რომ გაგვიყვანა გენიალურმა ვასილი კანდინსკიმ, ხუან მირომ, სალვადორ დალიმ; არ გამომჩრეს დიდი კლასიკოსი რემბრანდტი, ცის სიღრმეებში გამავალი ელ გრეკო. ფერწერის მეფე ტიცინი, კრანახი, მიუწვდომელი გოია, ბრეიგელი, სულ-გონ უშუალობა ფიროსმანი. შევიხედოთ ანტიკურ ხელოვნებაში და ვიხილავთ ჰომეროსს, ფილოსოფოსებს – პლატონს, სოკრატეს, არისტოტელეს და უფალ ფიდასს, პრაკსიტელს, ვენერა და ნიკეა მილოსელის უცნობ ავტორებს. ახლა კი შევჩერდები კოსმოსურ ფერწერულ არნახულ კონტაქტ საოცრებაზე – მზე ვან გოგით. სუყველას, ზემოთ მოკლე სიით ჩამოთვლილ გენიათ ზეცა – უფალი მართავდა და კვებავდა. საკვირველ შემოქმედებით წყარო-წარმოსახვებს უხილაობიდან ჩამოაქვს უამრავი უნიკალური ღვთიური სიმდიდრე, მაგრამ ყოველივე ოკეანიდან ერთი კოვზი წყლის ამოღების ტოლიც არ არის ვარსკვლავეთური განძთაღწერილობის და ქვეყნიერების მრავალმხრივი ამოუნურავი ნიჭ-მესხიერებისა.

მომავალში, უცილოდ, აინშტაინის დონის თუ უფრო დიდი მეცნიერები გამოიგონებენ აღმაშფოთებელ იდუმალ ელექტრო-რენტგენულ აპარატებს; გარდასულთა

სულელებთან დამაკავშირებელს და ან დასაბადებელ ყრმათაც უნაკლოდ შეისწავლიან, რითაც დედამინაზე ახალ სიცოცხლესთან ერთად, მოსვლა არ გამოცხადების მეცნიერულად ჩარევის შესაძლებელ საკითხებსაც თანამედროულად დამაშუაგებენ და მერმე მართლაც შეიძლება მოხდეს სუფთა ზნეობრივი, წმიდად მიწიერი დახარისხებები; რითაც ბოროტთვისებიან სულთ არ მიაკარებენ მომავალ ბედნიერ დედას და ქვეყანა შეივსება კეთილისმყოფელი პიროვნებებით. აი და მაშინ იქნება უფლისმიერი სინთეზი კულტურა-ცივილიზაცია მიუწვდომელი სრულიად წმიდანური ფორმა-სახით...

წარსულში კაცობრიობის ყოველგვარი გენიის მიღწევები უახლოეს პლანეტებთანაა მჭიდრო კავშირში, მაგრამ მომავალი მეცნიერ-სწავლულთა და ხელოვანთა ქმნილება-გამოგონებები სრულიად უფრო ღრმა და განსხვავებული მიუწვდომელ-თვალთ უხილავ სამყაროსეული იქნება. მთავარია, ავისმზრახველთა თანდაყოლილმა ბოროტმოქმედებმა არ შეაფერხოს მომავალი ათასწლეულის მრავალ კეთილ გამოგონებათა კულტურა, ხელოვნების და ცივილიზაციის სიახლეების სვლა...

რა თქმა უნდა, ნებისმიერი ფიქრობს და მართებულადაც იტყვიან, როგორ და რისიმეირი ძალისხმევით ცხოვრობენ და სუნთქავენ უნიჭო ათეისტები, ეშმაკეულნი და უკეთურნიო. ამ ცნობისმოყვარეობით სავსე შემთხვევაში პასუხად ბრძენნი იტყვიან უფლის უსაზღვრო სიყვარული და სიკეთე მფარველობს განურჩევლად მათაც. ღმერთი დიდსულოვნად მიუტევებს თითოეულსაც, ვინც ბარბაროსულად დაფლითა ქეშმარიტება და უმოწყალოდ განდევნა ზნეობა-სიკეთე-სიყვარული. ნამდვილად რომ უზენაესის ღმობიერება და მიმტევებლობა, შეიძლება კაცთა მოდგმის ღვთიური დიდი ათასწლეუნი გამოცდაც იყოს; რაც ხილულ-უხილავი ყოველივე სამყაროსეული და ზენაარის მთლიანობის მოკაშკაშე მიწიერთათვის გაუკეთესობის სახეა, სრულიად ქვეყნიერების და ჩვენი პლანეტის ყოველ ცოცხალ არსებათა მხსნელ ცისფერ ფარდაგად გადაფარებული. უთუოდ მხოლოდ სიკეთის უზენაესისეული ზესიდადე დათრგუნავს ადამიანის სულის თანდაყოლილ თითქმის განუკურნებელ ბოროტად დაჩრდილულ სატანურ უჯრედებს. მერმე უფრო ღვთისნიერ-ჰარმონიული გახდება დედამინაზე არსებობა და ცხოვრება. ყველაფერი და აურაცხელობაც მომავალში საიმედოდ მოგვარებადია, მაგრამ, სიკვდილს, საუბედუროდ, არასოდეს არაფრით არა ეშველება რა, რათა ქვეყნიერების უკიდევანობის ურთულესი და უმძიმესი ფუნქციები მასში ჩასახულ-ჩაკირული. ის უსახურ-უნდო, უთუოდ აუცილებელი ფიზიკური წმენდაა ყოველგვარი შავბნელი მოქმედებითაც, ვარსკვლავეთის უსასრულობისა, რომლითაც ცოცხალთათვის შეურიგებელი, შეუთავსებელი უსაშინლესი ფორმა-სახის მოვლენის მფლობელია: საერთო ქვეყნიურ პლანეტათა და არსებათა სიცოცხლე, ქვესკნეთში სიკვდილს ვერასოდეს შეურიგდება. ყოველგვარი ეჭვების გარეშე, ერთ რამეზე მართებულად უნდა დავიმედდეთ და შეგნებულად მცირედად გაუშიფრავი მოლოდინით გავმაგრდეთ, რათა კოსმოსის იმ იდუმალი სფეროებით სრულიად ახალ და განსხვავებულ არსებითი გარდასახვებით ფუნქციებში რომ გადავალთ და მერმე ამქვეყნად ისევ განვმეორდებით...

და მაინც უტკბილესი დედამინის მზისქვეშეთში დაბადებულ-აღმოცენებულთ, სიცოცხლის ფენომენალურ სუნთქვა-ფეთქვა და ხილულთან ინდივიდის სამუდამ-

მო გაყრა, შორეულ ვარსკვლავეთამდე ავარდნილი ჩაბნელებული შხამ-ეკლიანი ტრაგედიაა. უთუოდ მის წინაშე აურაცხელი გალაქტიკები და დაზაფრული პლანეტებიც კანკალებენ. ჩვენდა სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში ღმერთიც რომ უძღურია?! ასეთი ყოფილა ეს ქვეყნიერება მარადიული, რომელსაც უზენაესივე ყოველთა მიუკარებლად ერთუფლისმიერობით და სავსე იდუმალებებით წინამძღოლობს...

უძველესი კოლხეთ-იბერია, ანტიკური საბერძნეთი, ტროელები, ასურიელები, ხეთები, ქალდეელები, ეგვიპტელები, ატლანტიდელები, სომხები, არაბები და ძველი რომაელები თავიანთი შინაგანი მიუწვდომელი ბუნებით, ზნეობით და აზროვნებით ხომ იმ მოძღვრების გარეშე არსებობდნენ, რაც იესო ქრისტემ ათას სუთასი წლის შემდეგ იქადაგა და გვასწავლა ზეციური განძი „ათი მცნება“. ციური აზროვნებითი სიკეთე, სიყვარული და ურთიერთწმიდა დამოკიდებულება ოდითგანვე ზნეობრივად მოჰყვებოდა ზემოთ ხსენებულ ლეგენდარულ უძველეს ქვეყნებს, ხალხს. წარმართობის ეპოქებში თუ სხვა აღმსარებლობისას, მუდამყამს, შინაგანად ბუდობდა მათ სულში, გონება-გულში, ნერვ-კაპილარებში ყოველივე ნათელ-ღვთიური და ჰუმანურ-კოსმიურ-მარადიული. ის მახინჯი წარმოდგენები და უბედურებები ადამიანთა შეწირვებზე, ყოველივე ხომ უკეთურ-უაზროვნო ქურუმების და მოწინავე მლოცველების ფანატოკური და ქვესკნელური ეპოქალური შეთხზვა იყო. არ სჭირდებოდა ადამიანთა სისხლი და ცოცხლად ამოგლეჯილი სისხლმდინარე გული კეთილ მზეს, წარმართული ღმერთების წინამძღოლ ზევსს, თუ კოლხეთ-იბერიის რამდენიმე ჯიუტ კერპებს. უფლისმიერი და ადამიანური ურთიერთგაგებით იმდენად შორს იყვნენ ერთმანეთისაგან, რომ ეშმაკეულ სალოცავებს და ჩვეულებრივ ადამიანებს არ გაეგებოდათ ერთმანეთისა. მაცხოვრის ქადაგება სწავლებამ დამატებით შორეული სიღრმეებიდან ამოატივტივა ის ძვირფასი, სათუთად თანდაყოლილი ზეციურ-მზისმიერი წმიდა გრძნობები და ურთიერთზეწინარე ზნეობრივი გაგებები, რაც მაშინდელი მოქმედი რელიგიებისგან განგებ თუ შეუგნებლად უარყოფილი იყო. დედამინელებს, მარადის დასჭირდებათ სულიერი ამაღლება, სწრაფვა და შეგუება ღვთიურ-კოსმოსური სიღრმეებისაკენ, რომელიც უსასრულოა და მუდამყამს თავადვე მოგვანვდის ეპოქებთან შემხვედრ ქეშმარიტ ზნეობას. ბოროტება და ავკაცობა ყოველთვის იწრიალებს ჩვენს შორის და მასთან გამუდმებული ბრძოლა იქნება ადამის რჩეულთა მოდგმის მიზანი. მთავარია, სატანამ ფესვები ძლიერ არ გაიდგას კაცთა სულში, გონებაში და წმიდანურ თვისებებში. ამ ურთულეს თემას ისევ გადავხედავ, შევფიქრიანდები და განვმეორდები. უხსოვარი დროიდან ანტიკური ბერძნები (ელიტა) თვითმყოფადი კოლხები და ტროელები თავიანთი ზეციური ნიჭით და ზნეობრივი შემართებით თითქმის ისეთივენი იყვნენ შინაგანად, რა ცხოვრებისეული მისიებიცა დაგვმოძღვრა მაცხოვარმა, ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნიდან.

ისტორიული წარსულის მიუკარება ფაქტია, რომლის წინაშეც ნებისმიერი კრიტიკა იმსხვრევა, თურმე პლანეტის უძველესი ცივილიზაციის წამყვანი ზემოთ ხსენებული ქვეყნები შეგნებით და დამყოლი ზნეობრივი აზროვნებით როგორ ზეციურ ღვთიურ დონეზე იყვნენ შემზადებული უზარმაზარი მამა ღმერთის მიერ განგებ





განკაცებული მასწავლებლის მისაღებად (უფრო მშობლიური, სრულიად განახლებული უახლოესი შეგონების დასახვედრად), მაგრამ ის საიდუმლოება, ფერად-მრავალი ვარსკვლავებითვე შეკრული კოსმიურ-ჯადოსნური გასაღები, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთის უძველეს ქვეყნებს შეუთავსდა, თითქმის ჩვენთვის ზნეობრივად მიუწვდომელია: მჭირდება აზრთა ახლებურად გადაშლა და, ტანჯვა-წამების მონამეობრიობის-შენიშვნების, ხოცვა-კვლა, წმიდანის თავის კვეთის და ჯვარცმების ფონზე, ისევ მოკრძალებული კითხვები: დაუსრულებელი სამყაროვ და უახლოესო გალაქტიკებო! რატომ? განკაცებული ღმერთის ტანჯვით მოსვლა და ასეთ ადამიანთა მასიურ მსხვერპლად შეწირვა, რისთვის მოახდინე (ყოველმხრივ გაუგებარია)?

მსოფლიოში, კოლხთა და იბერიულ ზეზნეობრივ სტუმართმოყვარობას არავინ შედარებია ოდითგანვე და ვერც მიემსგავსებთან ვერასოდეს, ამდაგვარი კეთილი თვისება ხომ წმიდათაწმიდა ზენარულია: აქედან გამომდინარე, პიროვნულად, ვინატრებდი უთუოდ კოსმიური დადებითი ნათელი ველით გაჯერებულ ქვეყანას მხსნელად სტუმრებოდა ძე ღვთისა სულიწმიდა – მამაზეციერი. უკლებლივ მთელი ქვეყანა მხედრული მუხლმოდრეკით, სულთამზუთავი რელიგიით და წარსულის საშინელ მოგონებებს პირწმინდად შესწირავდა ზეციურ სიკეთეს და მარადიულ მრეკლმორჩილად დაგიდგებოდნენ ალაღსიყვარულით და სულიერადაც დაგენაცვლებოდნენ, კრისტალური ჭეშმარიტება.

ისევ კეთილი ვარსკვლავების მართალი ხმა გაისმის, მაგრამ...

ჩავიხედოთ გულში და, რაა ეს ნუთისოფელი უფლის და მზის სითბო-ენერგიით თუ არ გათბები და განიწმინდები. სამყაროს რომელმა უძლიერესმა დინებამ ჩამოგაბრძანა შემთხვევით თუ საგანგებოდ რჩეულ ადგილ-სივრცეში? თუ ყოველ მიზეზ გარეშე რომაული და ებრაული კულტურა-ცივილიზაცია იყო საჭირო, განგებავ?... მაგრე რომ არა! უფალო მაღალო! იესო ქრისტეს ზეციურ მოვლენა სინმინდეს, მხსნელსა და ჭეშმარიტ მოძღვრებას მისხალითაც არ გაუნაწყენებოდა დიდებული ებრაელი ერი და ისეთივე მოკრძალებული ურთიერთობა ექნებოდათ, როგორც მათთვის უშორეს ბუდისტებთან და ისლამთან. გამონაკლისი ბრძენი თეოლოგნიც გონ-ვარსკვლავეთურად ჩუმად აგრე ფიქრობენ, რატომ მოხდა ასე? ამდაგვარი შეკითხვის დასმას მე კი ვერ ვებდავ: თუმცა ჩემი სრულიად განსხვავებული ნაწარმოები მაგ ფორმის აზრთა მოვლენების ირგვლივ ტრიალებს, მაგრამ ზოგადად ვპასუხობ, კოსმოსური მიუკარება სიმართლე, რომელიც მთელ სამყაროშია განვრცობილი უძლიერესია და ნებისმიერ ხალხზე თუ კულტურა-ცივილიზაციაზე მაღლა მდგომია უთუოდ, რადგან პირადადაც ვერ ავცდი ჩემი სისუსტეებიდან გამომდინარე, ამ გასაიდუმლოებულ იშვიათსა და კეთილ ჯანსაღ გამოსხივებათა გონებრივ ზემოქმედებას...

კოლხთა და იბერიელთა ქვეყანაში ვინ გაკადრებდა საეჭვოდ გადახრილ სიტყვას. თუ აუცილებლად ასე უნდა მომხდარიყო, მხოლოდ კოსმიური, სრულიად უცხო ძალების ჩარევით. პლანეტა დედამიწა ხომ შენი საუფლოთაგანია დაწყებული ადამიანებიდან და ცხოველებ, ფრინველებ, თევზებ, ქვეწარმავლებ, უმცირესი მოლეკულების ჩათვლით. ნეტავ მოსულიყავი სრულიად საქართველოში და საბერძნეთში. ნუთუ რაღაც უძლიერეს ფორ-

მას აქვს გავლენა ყოველივეზე და ყველაფერზე, ჩემო იესო უფალო. იბერია-კოლხეთი ხომ კულტურა-ცივილიზაციით, შეგნებით და უდრეკი გმირობითაც უჭოჭმანოდ შენთან შემხვედრი იყო, მაღალო და უზომო სიკეთე! თუ რა ხდება?! რატომ, უფალო, შენგან გაჩენილი სამყარო და ყოველთა ფსიქიკა და აზროვნება დროთა-ჟამში შეუგნებლად ხომ არ გეურჩება – ქვეყნიერების მომწესრიგებელი? ამ უკიდევანო ქვეყნიერებაში შენცა გაქვს სულიერ-უსულოთა უსასრულობის პრობლემები? ჩვენ უთუოდ მარად თავაშვებულ ურთულეს, მკაცრ მოვლენებთან გვაქვს შეხვედრები. მკურნალ მამებლად უძველესი კოლხეთის მინაზე ჩამოსულ შენს უნიჭიერეს და შეწირულ მოსწავლეებს ღირსეული პატივით და მომავლის მტკიცე იმედით დახვდა ხალხი სამაგალითო... აგრეთვე ზეციური საამო შუქ-ნათება იბერიას დროულად რომ ეახლა, ღვთიური მაღლით აღივსო ერთ დროს წარმართობისგან ჩაგრული ქვეყანა. ამდაგვარ რწმენით-სავსეობით ვფიქრობ და იმედად ჩემს წინ ინათა იოანე ზოსიმეს მოძღვრებამ – ქება და დიდება ქართულისა ენისა დამარხულ არს ენად ქართული დღემდე. მეორედ მოსვლისა მესიისა სანამებულად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა. X საუკუნის ქართველი სასულიერო მწერლის და ჰიმნოგრაფის ნაწინასწარმეტყველებიდან გონდაძრული მინიერი ზნემართალი სარწმუნოებრივი ჩემეული გოდება ნატვრა ოცნებისა, უსასრულობიდან მართალ თანამდგომ იმედად ამოსხივდა იოანე ზოსიმესეული ზესამყაროსეული აღსრულებადი ღაღადისი.

გოლგოთა: დაუზოგავად ნანამები მაცხოვარი ჯვარზეა გაკრული, ქვეყანა ბნელეთმა მოიცვა. ორ ყაჩაღს: დისმასსა და გესმასს შუა მისუსტებულ-მომაკვდავი, ცას ახედავს და უკვე განწირული იტყვის უსასრულობის სიტყვებს: „რატომ მიმატოვე, მამა?!“ უთუოდ აქედანაც გადმოიღვარა თავადვე, უჩემოდ – შობილი ზეციურობით აღვსილი თითქმის სივრცობრივ-მითოლოგიური უცნაური და სიკეთე-სიყვარულით სავსე რელიგიურ-სტიქიური ნაწარმოები.

კოსმოსური იშვიათი ფორმა ჯვარი, ქვეყნიერების ოთხივე კუთხის იდუმალების მაუწყებელი დამოუკიდებლად, უტრაგედიოდ ღვთიურ ფუნქციებს შეიძენდა შენგან და მრავალმხრივ სამყაროსეულ სიმბოლო ოპტიმისტურ უძლიერეს ფუნქციებსაც განავრცობდა და მაცხოვრისეული ჯვრის სხეულიდან უწყვეტად სიკეთის და სიყვარულის ნათელი ვარსკვლავები, სევდა და ურვა აღკვეცილი მოგვევლინებოდა. ასეთი მართალი რწმენითი შინაარსისაა ჩემი წარმოდგენები და ხილვა-ფანტაზიები ამ უკიდევანო რელიგიურ თემაზე. მაცხოვრის მიერ ზეციურმა და სულიერად მრავალმხრივმა ჯვრის ახლებურმა შემკობამ და მისმა ბრწყინვალეობამ შორეულ გალაქტიკებამდე ააღწია... მეგობრებო, დაუზრუნდეთ წინამდებარე მთავარ თემას. სვიმონ კანანელი და მატათა, კოლხებმა, გარკვეული დროის შემდეგ უდროოდ გარდაცვლილები, საკუთარი შვილივით თავიანთ მიწას წმიდანური პატივით მიაბარეს. უდიდეს რომში კი ქრისტიანებს დამნაშავეებივით სამალავებშიც დევნიდნენ, უმონყალოდ ხოცავდნენ და მაცხოვრის უპირველესი მოციქული პეტრე ჯვარს აცვეს. უთუოდ სადღაც მიუწვდომელში იაზრეს, რომ ძლიერი ქვეყნის მორალურ-ფიზიკური ძალისმიერობა იყო საჭირო, რათა უპირველესი ქვეყნებიდან უთუოდ ადვილი იქნებოდაო



ქრისტიანობის გავრცელება-დამკვიდრება, მაგრამ მათ ფაქტიურად არ დაინდეს ქრისტიანი მორწმუნეები. ნუთუ უხილაობის გარკვეული ძალები ზეცის უკეთურ სივრცეს აკუთვნებდნენ უპირატესობას? ისევ მორიდებულად წამოვწევ ჩემს უმთავრეს სათქმელს. კოლხ-იბერიელთა კეთილ გონ-გულ-სულიანობას არავინ უდგას წინ, მაგრამ დედამიწაზე სიმართლე და სიკეთე ხშირად მწარედ იგნორირებულია. ზემოთ განხილული წარსულის უკულმართი და ურთულესი ეპოქებიდან ყოველგვარი კეთილშობილური და ღვთიური სიბრძნე სიყვარული მხოლოდ შენგან დაგვრჩა, ჩვენო მხსნელო. იმ საუკუნის ადამიანების უმეტესობიდან კი, ბოროტება უზნეობა, ღალატი, სიძულვილი, განწირვა, შური და გულქვაობა ფიქსირდება. იმდენად წინააღმდეგობებით და ძლიერი ურთიერთდაპირისპირებებითაა სავსე ეს ქვეყანა, რომ, სულიერად მტკიცედ მდგარი, ძალაუბნებურად თუ ძალდატანებით, კინალამ შავი ხვრელივით სივრცეში მეც ვიძირები.

პირადად დიდ პატივს ვცემ უძველეს ებრაელ ხალხს და მათ გამორჩეულ ნიჭს – გენიას ნებისმიერ დარგში, ასევე რომაელთ, რატომ მოხდა ასე, რომ განკაცებულ მაცხოვარს – მზედ ხილულს, ვერ ჩანსვდნენ. ზეციურთა ვექილობისა რა უფლება მაქვს, მაგრამ თავიანთი რელიგიის სიკეთე-თავმდაბლობისგან დაცვამ და უსაზღვრო სიყვარულმა ასე მწარედ დაუბრმავა თვალები განურჩევლად ორივე მხარეს, მაცხოვრის წარმოუდგენელი წამება და ტანჯვის მიყენება, რომელიც უმძიმესი გარდაცვალებით დამთავრდა, საუბედუროდ ადამიანურ ყოველგვარ უბოროტეს შავ ფორმებსაც შორდება. აქვე მინდა მოგახსენოთ, კოლხეთ-იბერიაში მაგ ბედნიერ დროს რელიგიური კრიზისი არ ჩანდა და მაინც მაცხოვრის მოციქულები სითბო-სიყვარულით ღირსეულად მიიღეს და მათ ქვემარტ მცნებას თავისუფალი თანდაყოლით გაუმთლიანდნენ. რის შემდეგაც მთრთონდნარე წმიდა ხატები იბადება, კერძოდ უპირველესად კოლხეთის საქრისტიანოში (ამის ისტორიული ფაქტობრივი მტკიცებულებანი არსებობს). წარმოვიდგინოთ, მაცხოვარი რომ შობილიყო ლეგენდარულ და მითოსურ დედაქალაქ ისტორიასავით უძველეს აიაში. რა თქმა უნდა, უხსოვარდროინდელი ლეგენდა მისტერიები მიწნარდებოდა და პრეისტორიულ ქვეყნებისეულ წარსულს ჩაბარდებოდა, თუმცა ოთხი მოციქულის ქვეყნად ჩამოსვლის შემდგომ ასეც მოხდა. მერმე კი, ბევრი და უთვალავნიც უსუსურ კითხვას დასვამდნენ, ყოვლის მძლე ტანჯული ჯვარი ხომ არ გვექნებოდაო! ამ ურთულეს რწმენით საკითხზე ზემოთ უკვე გესაუბრეთ, რათა ჯვარის სამყაროსეული უმდიდრესი ღვთიურ-სიმბოლურ-მისტიკური წარმოსახვები უსასრულოა...

საღად თუ ვიაზრებთ, უფლის შემოქმედებითი დიადური სივრცე განუზომელია და, ვინ იცის, ქვეყნიერების სასიკეთოდ კიდევ როგორი ოპტიმისტურ-მაცოცხლებელი წმიდა სიმბოლოები, სიღრმისეული იგავები, მონმენდილ ცასავით გამჭვირვალე რელიგიური ჯანსაღი ისტორია და სალოცავები გვექნებოდა ზემოთ ჩამოთვლილ უძველეს ქალაქებში. შეიძლება, სხვა მხრივ შემადარი პასუხიც გაცივს, ბიბლიის მქონე, მოსესა და დავითის ქვეყანაში უნდა შობილიყო მაცხოვარიო?! აღმოსავლეთის და ევროპის კულტურა-ცივილიზაციის გზაჯვარედინზე. უფალს ამ უზარმაზარ სივრცეში უნდა აღმოეჩინა ადამიანები, რათა იმ პერიოდის ფსიქო-ზნეობრივი არენა ფართო ყოფილიყო. ჩვენ უთუოდ ვეთაყვანებით მარა-

დიულს, ამ შემთხვევაში კი განსხვავებული, შეუფუხელი აზრებით, ზეციური სიკეთე-სიყვარულადან გამომდინარე, მხოლოდ მზეფორმას ვნატრულობთ, სულიერად უზომოდ ვეფერებით და ვლოცულობთ კიდევაც...

ჩავიხედოთ შორეულში და, როდესაც უძველესი კოლხეთ-იბერიის წინაპრები ეტრუსკები, პელაზგები და ქალდეველები პლანეტის სიახლე იყო და მაშინ მათში რომ მოევიდნა მამაზეციერს ძე ღვთისა კაცობრიობის მხსნელად, უთუოდ ვერ ჩასწვდებოდნენ ზეციური სიკეთისა და სიყვარულის ნათელ შეუდარებელ სიბრძნეს და, ამდაგვარი გაუგებრობიდან გამომდინარე, კერპ მზეკაცად გამოაცხადებდნენ, რითაც მაცხოვრის მიუკარება კულტივიზირება მოხდებოდა. ამ სახით გარდაქმნას თუ ვერ მოახერხებდნენ, მაშინ მხსნელი უარყოფილი იქნებოდა; რათა იმ პერიოდში მოუმნიფებელი იყო მალალ ზნეიდებთან შესახვედრად ადამიანის გონება. გაივლის რამდენიმე ათასი წელი და საღვთო წერილით განსაზღვრულ ადგილას, მონიფულ დროს გვებოძა შობა ღვთისა, დამალონებლად გარდაუვლად შეიქმნა მკაცრი მოულოდნელობა – ვერ გაუგო კაცობრიობამ და უზომოდ მსხვერპლის შეწირვების და ბნელი, მტანჯველი უფსკრულების გავლით განსაზღვრულ მიდამო-ქვეყნებში უთვალავ ადამიანთა მსხვერპლგაღებით გავრცელდა ქრისტიანობა და მაინც იტყვიან, მხოლოდ ასე უნდა მომხდარიყო, რათა ყოველივე საღვთო წერილიდან გათვლილ-კანონიკური (ძალიან მშრალ-უხეშად ჟღერს სიტყვა „კანონიკური“, ბევრად სჯობს „ჰარმონიული“, რათა უფალთან უფრო ახლოსა...).

თქვენს ხელთ არსებული ნაწარმოების, უფალ იესო ქრისტეზე ნატვრა-ლოცვებით, ფრიად განსხვავებული და სიკეთით სავსე ნაფიქრალი ალალად რომ არ დამენერა და გაუშუქებლად თითქოსდა მინაში ჩამყოლოდა, როგორც წინა გვერდებში მისტიკურად აღვინერეთ, საფლაგშიც ვერ მოვისვენებდი. ნათელია, რომ ნებისმიერ შემთხვევაში არაფერი არ იმალება ჩვენგან და ირგვლივი გარემო სივრცეიდანაც, რათა ყოველგვარი ფაქტ-მოვლენა, გაჩენის წამიდან უსასრულობის მოუშლელ ქსელშია შემავალი და ქვეყნიერების მესხიერებას მუდმივად ამდიდრებს.

ღამის ვარსკვლავთმხმობელი ლოცვების მერმე ჩაძინებულს, უჩვეულო გამოცხადებით წარმოსახვამ გამაღვიძა და ჩამანერინა ის გარკვეული აზრი, კეთილგონიერებით რაც შეგიქმნია ესოდენ ახალი, თითქმის მითიური ნაწარმოები, სასიამოვნოა და საკვირველი: უთუოდ ათას წელს მიღმა მინად ქცეულ კოლხ-იბერიელთა ჩაფერვლილ ძვლებს ეამებოდა ესოდენ კეთილსიყვარულიანი ნატვრა-ლოცვა და მათ მარადიულ, ცაში შერწყმულ, იაიასვერ სულებს გაახარებდა, ასევე ებრაელთა უდიდეს შორსმჭვრეტელ წინაპრებს, მაგრამ ყოველივე ამდაგვარი ქვეყნიურ-რელიგიური მოვლენა შეუძლებელია მომხდარიყო; ისევე, როგორც კოსმიურ სივრცეში დედამიწის ბრუნვის შეჩერება ერთი საათითაც. წინასწარ ვგრძნობ, რომ ჩემს ნატვრა-ნაოცნებას, საკმაოდ განსხვავებულ ფიქრ-აზრებს და ქრისტესმიერად კეთილფანტაზიურ გამონათქვამებს მრავალი თქვენგანი ჩვენდა დამალონებლად არ მიიღებს, მაგრამ მე დაბეჯითებით მჯერა, ყოველთა ცხოვრებისეულ საიდუმლოების ნისლში შებურულ ნილაბს იქით, რეალობაში ოცნებით ამ მხრივ ჩემნაირები ხართ და უფრო თამამ-სიღრმისეულებიც...

2018 წ. მარტი-მაისი



ქრისტიანული პოეზიის VIII ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვახი“

ქრისტიანული პოეზიის ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“ ტარდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით.

ფესტივალის დამფუძნებლები არიან: სამშვიდობო ორგანიზაცია „სადაკო“, მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ ლიტერატურული ჟურნალი „ოლე“, წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) სახელობის ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“.

12



ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე
ლია დაუშვილი

ჟიური:

მამა ილია ჩიკვაძე

ზაალ ზოტაძე (თავმჯდომარე)

ბადრი სულაძე

გივი ჩილვიანაძე

ლიტერატურის განხილვა უნდა მოხდეს არა მარტო ნაწარმოების ლიტერატურული ღირებულებების ჩამოთვლით, არამედ ქრისტიანული პოზიციებიდანაც.

ტომას სტრანზ ელიოტი

ლექსების თხზვა ღვთისმსახურებასთან ძალიან ახლოსაა.

ანატოლ რვანსი

ელდარ ჭიჭიაშვილი

ვინ დააოკოს...

ვინ დააოკოს ძველთუძველესი,
უფლით ნაკურთხი სისხლის ჩქერალი,
ჯვარს რომ აცვეს და ცეცხლი აყარეს,
მაგრამ სანადელს მისწვდა ვერავინ!
სხვამ ვინ შეუთქვას თავი ზვარაკად,
უფლის გულამდე კიდევ ვინ ივლის,
შეეზიაროს გოლგოთის კალოს
დამყურებელი ყველა ტკივილის?!
მზარავს დაცემულ ხეთა გოდება,
სადღაც ითლება ძელი საჩემო,
აზვირთებული ბრბო მოქუხს ჩემკენ,
რომ ჯვარზე მაცვას და შემაჩვენოს!
სხვამ ცათა შინა დასცეს კარავი,
ტანთ აღიმოსოს კვართი უზადო,
მე მინის ტკივილს გაეუხსნა გული
და სისხლის ყივილს მსხვერპლი ვუმზადო!
ნუ იტყვი „მიყვარს“, თუკი ტკივილი
გულს არ გიკორტნის, როგორც მიმინო?

გამიხსენ გული, რომ გესალბუნო
და სიყვარული შემოგლიდინო!
მე ჩემმა ოფლმა მირწყულოს ძვლები,
გულზე სალენად მიმზადოს ულო,
სხვამ ბაგე-პირი აიყირმიზოს,
ოქროს სამურვლით თმა დაიურვოს!
მე ეკალწული მიმკეთ სარქმელად,
სისხლმა წალეკოს შუბლი სპეკალი,
გადამიმტვრიეთ ორივე მკლავი,
ზეციდან ზართა ჩამომრეკავი!
სხვამ სასახლეში მოირთხას ფეხი,
სული მიაგოს ვერცხლის გირაოდ,
მე ბებერ ციხეს ვუსინჯო ფხა და
დანგრეულ ტაძრებს ველოლიავო!
ამ მინის მადლით მიდულე სისხლი,
გულზე მომკიდე სახნის-ერქვანი,
სანამ ზეციდან მოჩქეფს წყალობად
უფლის სამრეკლოს ზართა რეკვანი!
სანამ ამ მინის ნახანძრალ ზურმუხტს
წმინდა ქალწულის ედემი ჰქვია,
სანამ მამულში ქვითინებს ვაზი
და დედის ცრემლზე ამოდის ია!



ეღუარდ უბულავა

უარყოფა

**„მიუგო მას იესომ: ჭეშმარიტად გეუბნები:
ამალამ, ვიდრე მამალი მეორედ იყივლებს,
სამჯერ უარყოფ მე“ [მარკ. 14,30];**

გაჭრილდა მძიმე კარი გალავნის,
ის, რაც მოხდა, ჯერ ბუნდოვნად გახსოვს.
დახრილ თვალებს არ უსწორებ არავის,
ფრთხილად ჯდები ცეცხლის შორიახლოს.
ვერ გრძნობ, პეტრე, ფეხქვეშ მინის სიმყარეს,
ჩუმად ზვერაგ მღვდელმთავართა ეზოს.
ალბათ, მალე მოძღვარს გამოიყვანენ,
ნახვა მისი იქნებ კიდევ შეძლო.
იქვე ახლოს ხორხოცებენ კაცები,
ცეცხლს უშვერენ ტანს ნახევრად შიშველს.
– შენ იესოს მოწაფე ხარ, არ ვცდები! –
ამბობს ქალი და თითს შენკენ იშვერს.
– არა! არა! ეს არ არის მართალი! –
შიში ბზარავს შენს უმწეო ხავილს.
სადღაც ბნელში უკვე ყივის მამალი,
ეს პირველი ყივილია მამლის...
ფეხზე დგები, არ გასურს მასთან კამათი,
ძლივს გადიხარ შიდა ეზოს გარეთ.
იცდი, ერთი უმძიმესი საათი
და ხელს ვილაც უცებ მკლავზე გავლებს.
გასურს ნახვიდე, მაგრამ ვერსად მიდიხარ,
ხროვასავით გარს გეხვევა ხალხი,
– მე შენ გიცნობ! – ჩაგსისინებს ცივი ხმა, –
თავად ვნახე, შენ იესოს ახლდი!
ხელების კვრით დაგიღურჯეს სხეული,
მშიერ მზერით დაგიჭამეს სახე.
გაჰყვირიან... – კილო გალილეური
შენს სიცრუეს ხომ ისედაც ამხელს.

ბრბო იოლად არც შენ არ შეგეშვება,
ახლა შენს ხმას მხოლოდ შიში ახშობს,
– ჩემი სახე, ალბათ, სხვაში გეშვებათ,
მე იესოს არც კი ვიცნობ, ხალხო!
არა! გულში არასოდეს დათბება,
უკვე ღმერთი უარყავი ორგზის
და გულ-ღვიძლში გიტრიალებს შანთებად
შიშის სამთითს შავი ანგელოზი.
სამოსს გაფლეთს რამდენიმე მოლაყბე,
ხელს გკრავენ და ენარცხები მინას.
კვლავ გაჰყვირი, – არ ვარ მისი მოწაფე,
მას საერთოდ არც კი ვიცნობ, ვფიცავ!..
და ძარღვებში დგას სიცივე სამარის,
ებრძვის სული აუტანელ ტკივილს...
სადღაც ბნელში შეყუჟული მამალი
ფრთებს ისწორებს და მეორედ ყივის.
კვლავ ივსება ეზო ჯარისკაცებით,
მოჰყავთ ხელ-ფეხდაჯაჭვული ქრისტე
და მოძღვარი, დაღლილი და ნაცემი,
უცებ შედგა და თვალებში გიცქერს.
ღვთიურ მზერას თვალს უსწორებ ნვალებით,
ჯერ არაფერს შეუშლიხარ ასე,
გიცქერს უფლის დიდი, ლურჯი თვალები,
სევდითა და მწუხარებით სავსე.
დაგდის ცრემლი სირცხვილისგან უმართავს,
ინყებს სული ცოცხალ გვამში როკვას...
შენ უფალი უკვე სამჯერ უარყავ,
გული შენი უკვე სამჯერ მოკვდა.
მაგრამ, ალბათ, მძიმე არის ძალიან,
გოლგოთის გზა გაიაზროს კაცმა,
სადღაც ჯვარიც უფლის ასატანია,
რომ იმ ჯვარზე მერე თავად აცვან.
რომ კურნებად სულიერი კეთრისა –
კაცის ცოდვებს დაეღვაროს სისხლად,
რომ შემუსროს ბჭენი ჯოჯოხეთისა
და განიხვნას კარნი სამოთხისა!

მაია დიაკონიძე

ნმინდა აშოჭ კურაპალატს!

საკურთხეველში განგმირეს ოროზ-მოროზის ძეებმა,
ტანჯვისთვის გამოგიმეტეს, სისხლი იდინეს კედლებმა,
ნმინდაო, ზეცად ამალლდი, აღმოცენდები კედარად,
თესლი ჩვენს გულში მარხია, სიცოცხლე შენით გვედარა.
მონამეობრივ აღსასრულს საღვთო საქმენი უძლოდა,
სამშობლო მინის ტკივილებს ეფარებოდი სუროდა,
აღმშენებლო ტაძრების, დიდი გრიგოლის რჩეულო,
მეფეთა შარავანდედში სიქველით გამორჩეულო.
მეფეო, ქართველთ სარდალო, სიამაყე და აბჯარო,
ჯაჭვის პერანგი გემოსა, არ ახარებდი არაბსო,
დევნილს ღვთისაგან გეუწყა, – ერი გრჩებოდა სარჩენად,
ვერ დატოვებდი სამშობლოს, მან დაგილოცა მარჯვენა,
ფარავნის ტბასთან გამართე ბრძოლა სარკინოზთ ჯარებთან,
პატარა რაზმით სძლიე და სახლში ირჩიე დარჩენა.
საბერძნეთს აღარ ნახვედი, შავშეთ-კლარჯეთში დასახლდი,





გორგასლიანი მახვილით იბრძოდი კუბოს კარამდი.
 საკურთხეველში განგემირეს ოროზ-მოროზის ძეებმა,
 სისხლის წვეთები არტანუჯს ჩამოღვენთია ცრემლებად,
 მოგიხელთეს და გაგნირეს ღალატით გმირი, მზისდარი,
 დოლისყანელთა მისდიეს, არ დარჩათ ამბის მიმტანიც.
 ბაგრატიონთა მამაო, კარგი შვილების აღმზრდელი,
 აღდგომას ისევ აღსდექი, მადლი მოჰფინე მთა-მდელოს,
 შენს აშენებულ ტაძარშიც, მოციქულთ პეტრე-პავლესი,
 აღვლინდეს ლოცვა ქართულად, კვლავ გვეზიემოს პასექი.
 ფაქიზი გქონდა გულისთქმა, შეუბღალავი სახელი,
 დიაცი იგი სიძვისა, დასთმე, ღვთის კაცთა დაჰყევი,
 თითქოს წყლის პირას გაგიტყდა უძვირფასესი ხელადა,
 ეშმაკსა სძლიე, ვაჟკაცი ვერ გაივლიდი ცერადა.
 ზარით გიტირა ქართველმა, შარავანდედით შეგმოსა,
 ერისკაცს გადმოგაყარა ცრემლი შენდობა-შელმობად,
 საქრისტიანოს ჯავარო, მარჯვენავ გრიგოლ ხანძთელის,
 მან დაგიტირა მღულარე წმინდა ცრემლების დაფრქვევით:
 „ჰოი, მეფეო, ძლიერო, ეკლესიათა ქვითკირო,
 აღმოსავლით და დასავლით სრულ მორჩილებას მკიდო,
 ჩრდილოით ანუ სამხრეთით ხელმწიფეთ იწყალვიდიო...
 დაგვიწყვიდადდა ნათელი, ცას გადაეკრა ბინდიო.“
 დიდი ბაგრატის აღმზრდელი, მამავ და ძეო გმირების,
 სხეულში შენი სისხლი ჩქეფს, სული გვიდგია ვიდრემდის.
 მეფეო, კურაპალატო, დიდებულებით აღვსილო,
 ქველო და აღმშენებლო, სულის საზრდოვ და ნანდილო,
 შენს დიდ საქმეებს შევნატრით, გაგვიცისკროვნე სავალი,
 მწედ და მფარველად დაგვიდექ დათრგუნვად ეშმა-სატანის,
 მზის წილ სინათლედ მოჰფინე ღვთივკურთხეული საქმენი,
 ლომი იყავ და გაბრწყინდი წმინდა ხანძით და შატბერდით.
 საკურთხეველში განგემირეს ოროზ-მოროზის ძეებმა,
 ტანჯვისთვის გამოგიმეტეს, სისხლი იდინეს კედლებმა,
 წმინდაო, ამალღებულო, აღმოცენდები კედარად,
 თესლი ჩვენს გულში მარხია, სიცოცხლე შენით გვედარა.

ზონა ვაჟაკიძე

საქართველო, სამყაროსთვის იყოს წმინდა ნაკრძალი

ისევ ღელვა... ისევ ისე ღამე ფიქრით ნათოვარი...
 ჰოი, ღმერთო, როგორ ვწუხვარ... დამიგროვდა სათხოვარი.
 ისევ ისე მანრიალებს დროის უღმობელი ქარი.
 ისევ ისე მისველდება წამწამები ცრემლის ღვართ...
 ჩემი ქვეყნის ტკივილებით... ვინვი... სიმშვიდე ვერ ვპოვე.
 გთხოვ, უფალო, ჩემს მინაზე შენი ნებით ვქმნიდეთ ყოველს.
 მადლს აწვიმდე მარადიულს ჯვარს, გელათს და სვეტიცხოველს.
 განმამზადე, ჩემი მთები ჩემს გულსა და ჩემს სისხლს მთხოვენ...
 ალალ იყოს, მაგრამ ვიცი, უხვ სატკივარს ვერ ვუშველი,
 ჩემი ქვეყნის გადარჩენა თუ არ იქნა ნება შენი.
 ეს ედემი – საქართველო, შენ ტკბილ სახლად ანარჩევი,
 გვედრები დაიფარე, იყავ მისი მწე და მხსნელი.
 კარგად იცი, რამდენ გრიგალს და ქართველს გადავურჩით,
 რომ სიბნელეს არ მოეცვა ეს მიდამო, ეს ცა ლურჯი.
 გვედრები, უკვდავ ფერმწერს, არ გააშრო შენი ფუნჯი,
 განგვიწმინდე ქართველის სული, არ წაგვექცეს რწმენის ბურჯი!
 გვედრი, თვალს ნუ მოარიდებ შენი დედის წილხვედრ მხარეს.
 დასაკორტნად არვის მისცე, მტარვალს გულს ნუ გაუხარებ.



გადმოხედე, დაიფარე, ოქრო ჯაჭვი შემოავლე.
ნუ ასტუმრებ ავგულს, გულღრძოს შენს ანარჩევ ზურმუხტ მთა-ველს!
მხოლოდ შენი გზით გვატარე, შეგვრჩეს, ჩვენი ზნე და წესი.
ჩვენ ჩვენს მინას გვაპატრონე, ვიყოთ მისი მხვნელი, მთესი.
რომ გადარჩეს ჩვენი მოდგმა, ჩვენი ჯიში, ჩვენი ფესვი.
შენი რჩეული ერი ვართ, ენით, რწმენით უძველესი.
ჩვენს მინაზე არ ახარო ბოროტი და ავთვალი,
საქართველო სამყაროსთვის იყოს წმინდა ნაკრძალი!

მზია თვალაჩიჰვილი

იესო

1. პილატეს
ხალხი
სათქმელს
არ აცლის
და ყვირის:
ჯვარს აცვი!
ჯვარს აცვი!
ჯვარს აცვი!
2. გოლგოთა...
ჯვარზე
გაკრული
იესო.
ბოროტის
ჩურჩული:
— მიეზლო!
— მიეზლო!
3. ლეგიონერმა
ღრუბელი
შუბს წამოაცვა
უმაღ და:
— ხვატი ჩამონვა
თხემზეო!
ძმარი შესვიო,
„ღვთის ძეო“.
4. — მამა ცაბაოთ,
რას იქმან,
არა უწყიან,
არ ესმით.
აპატიეო,—
იესომ,
— ვხედავ მათ
სახის იერსო.
5. — აღსრულდა!
ტანჯვაც
დასრულდა.
გარდაიცვალა
იესო.
დასარწმუნებლად
კი შუბი ტანჯულს
შიგ ფერდში
მიესო.
6. „ბოროტსა სძლია
კეთილმან“,
სიკვდილს აჯობა
სიცოცხლემ,
გამოისყიდა
ცოდვები უფალმა
იესო ქრისტემ.
7. სისხლი დის
ცოდვის პასუხად,
წვეთებად ერთვის
თიხებსო,
თან კვნესის
თიხა თავისთვის:
ი-ე-სო...
ი-ე-სო....
ი-ე-სო...



დავით კიკვაძე

უფლისა ჩვენისა, მარხოვარისა, იესო ქრისტეს შესვლა ადამიანში

ეს მოგუგუნე გულის ფეთქვა, უფალო, შენ ხარ,
ეს ცრემლიც შენ ხარ. მე უმწეო ისე გასასობ, რომ ჩემი სულის ბაღებსა და მოუვლელ ვენახს მადლითა შენით უნამლებ და ლოცვით აავსებ, ალავსებ სივრცით, სიყვარულის მნიფე მტევნებით, ანუ ლერწმები უნორჩესი დაიხუნძლება, ახალი მაჭრით შეივსება საწინახელები, შენი სუფევა სრულყოფილი და მეუფება ჩამოვანდება, ჩამონება ჩემს სამყოფელში და სიტყვის ჭავლი ამოხეთქავს ბნელში სანთლებად, რომ შეგიცანი, შეგიგრძენი ყველგან, ყოველში, რომ ხილული ხარ სამყაროში – შიგნით, გარედან... ტყის ნიაფივით მიმორწევა სავანების სულში, სუნთქვებში, ცად ვარსკვლავი როცა იშვება და წარმავალი, თუმცა შენით სავსე დღეების მიღმა მხარეში, მარადისში გადადინება... ცისკრის და მწუხრის ლოცვით, ზარით და საკმეველით სასუფეველი გულის-გულში ჩამონისლული და შიდა არსი გადაშლილი ლურჯი ტყე-ველით, დაფიონებით და შროშნებით ლღვება ყინული...

ეს სისხლის კოდიც, მოძრაობაც, უფალო, შენ ხარ და ცხრაკლიტულში დამწყვედულის და წყვდიადში შთავდებულის ნუგეში, მწე ხარ, ნუთი ხარ, თვე ხარ, წელი ხარ, დღე ხარ, ღამე ხარ, მზე ხარ, შენ შენ ხარ, ჩვენ ხარ, სიმშვიდე, სინათლე, სიცოცხლე შენ ხარ!

და ადამიანს გააღებ – შეხვალ...

ზაზა პაბალიშვილი

ის რაჯ ამქვეყნად უფალივით ჭეშმარიტია...

თითქოს სიცივით აცრემლებულ მტრედის თვალეში...
მე შენს თვალეში ეპისტოლეს სევდით ვკითხულობ.
ოო, როგორ მინდა შეგიხორცო გულის უბეში...
და მერე კოცნით გადაგკარგო უმისამართოდ...

ხატივით წმინდად დაწერილი სიტყვა მიყვარხარ...
ბარათზე როგორც ნატყვიარი ისე ატყვია...
და როგორც ძალი ერგულეებით გულში ვინახავ...
ის რაც ამქვეყნად უფალივით ჭეშმარიტია...

თაფლის სანთლების მზერის მიღმა ვითბობ ოცნებებს...
როგორც სალოსი განდეგილი ბრბოთა ხელიდან...
მე ნათლად ვიცი თუ რა არის გულს რომ იმონებს...
და ეშმაკები რად ვერ შლიან ფრესკას ტაძრიდან...



იქნება სიტყვით ვერ გითხარი სულის ტროპარი,...
თებერვლის ღრუბლის ცრემლიანი ცივი პალიტრა,...
ზოჯერ ღვინოში არეკლილი ჩვენი მოძღვარი...
სევდით მდუმარედ, თანაგრძნობით გულში რომ გვიკრავს...

თითქოს სიცივით აცრემლებულ მტრედის თვალებში...
მე შენს თვალებში ეპისტოლეს სევდით ვკითხულობ...
ოო, როგორ მინდა შეგიხორცო გულის უბეში...
და მერე კოცნით გადაგკარგო უმისამართოდ...

ლელა აბრამიშვილი

* * *

შემოჩვეული საღამოა ჩუმი ლოცვების
და თითქოს ზეცა იყურება ღმერთის თვალებით,
ქართული მინა მეტი არის, ვიდრე სამყარო,
მაშინაც ვმღერით როცა ვიბრძვით და ვენამებით.
ირმის ღრუბლებსაც გადაუსხლტათ მზეზე ფერები,
ჯიხვის რქებივით დაიდგამენ მთები სინანულს
და ომი, როგორც ნაადრევი თოკის ყულფები
ვერ ამოგვაგლეჯს ამ სამშობლოს და ამ სიყვარულს.
იავნანაში გამიზრდია შვიდი ვაჟკაცი,
შვიდივე მტერთან ნაომარი მინას მივანდე,
ჩაეძახი ყველა სამარეში იავნანას და
– აქ ვარ დედაო, – მპასუხოვნ მინის ენაზე.
ყველა სიკვდილი სამშობლოში ნაადრევია,
ნაადრევია ირმის რქებზე თეთრი ზამთარიც
და კიდევ ერთხელ, კიდევ ერთხელ შეგვიხნდე ღმერთო,
რომ ჩვენს სამშობლოს სიყვარულში არ გყავს ბადალი.

ღავით რობაქიძე

ნინო

აკროსტიხი

ნაზიარებად მოციქულად ზეციერ ღმერთან
ნათელი გონით შემობრძანდი მოძღვარო ჩვენთან
ნდობის მშვიდობის ხიდი ჩადგი წმინდანო ერთან
ნათელმირონით მიგვაახლე ნათლობის დღესთან
ისე აღმართე ერის სულში ვაზის ჯრვის სვეტი
ილოცებოდი გზად მოგქონდა სოფლის იმედი
იალაღები მოიარე ქართველთ წილხვედრი
იგრძნო მამულმა რომ ეს იყო მომავლის ბედი
ნაფიცმსაჯულად მოევიწიე ერისშვილთ გულთან
ნობათი ღვთისა თან მოგქონდა თვინიერ ერთან
ნეტარო ლოცვით მიგვიძლოდი საკუთარ მესთან
ნებიერყოფით შეგვავედრე უფალსა ღმერთთან
ორზღვავათაშორის ფესგადადამულო თბილო მამულო
ოაზისდარად შემკობილო სხივდაფენილო
ოქროს საწმისის ისტორიის ფუძემდებლო
ოცნების დედის მობრძანების მახარებლო



ზაიონა

მიმოზები, ტიტები და გვიანი იები
გეგებება მიმავალს ნყება,
ნყება,
ნყება.

ცოდვა ცოდვას მიება,
გინდა მონანიება,
გინდა მადლით აესება,
ბრალის დავინყება.

გინდა აღიარება,
შვების ცრემლთა ღვარება,
(ვისაც ელი –
ამქვეყნად აღარ იარება).

მოთმინება იობის,
ჟამი ლიტანიობის,
წრფელი, საყოველთაო
ლოცვა-ზიარება

გეზიდება, გინდება,
გეყოს გამბედაობა,
მასთან აღარ დაება, ვინც უფალს ედავება,
სული დაიობა.

ნულარ შეგეშინდება, შენც ითხოვო შენდობა,
ლოცვა ნუ მოგწყინდება!
ზეცა მადლით ბრწყინდება,
უხმობს ყველას ტაძრისკენ ბზობა-ბაიობა.

მამუკა დემეტრაშვილი

ღვთის კაჯი

შენს სულს ჩუქურთმად გასდევს ზურმუხტი,
შენთვის უცხოა გრძნობები მჩატე,
შენ იმართები თავმდაბლურ მუხტით,
შენ გულში მთლიან სამყაროს ატევ.

ამიტომაც გყავს მბრძოლი მრავალი,
ჟამიც გესლიან ფიალას არ ცლის,
არავისი გაქვს შენ არც რა ვალი
გარდა შენდამი შურის და ღვარძლის.

თუმც გიტევს მტერი, როგორც გიურზა,
შენ მის მოქცევას გულით სთხოვ უფალს,
ლოცვით დებ მასთან ყოველდღიურ ზავს,
სხვის თვალში ბენვსაც არ ადებ ლუპას.

მშვიდს არ გჩვევია ემოციებად
და შფოთად სიმწრის აგიზგიზება,
ღვთის კაცს ვერ გითრევს შურისძიება
მრავალ პატარა კაცთა თვისება.

ჭაძარი სულის

იყო დრო და...
თითქოს გუშინ და გუშინნინა
და იმის ნინა,
ქარი ქროდა,
წვიმდა და წვიმდა...
ჰოდა, მეც მანვიმდა...
განა წვიმა და განა ციდან,
თქვენი მხრიდან,
საწყენად დიდად,
ქვენი მანვიმდა ოდენ და ოდენ...
თქვენ მიმეტებდით და ჩემდანილად
აი, იმ დღეს, ჰო წვიმდა ოდეს,
ისროდით ქვებს, ქვებს და ქვიშას...
ქვებს და ქვიშას კიდევ რა უშავს,
ისროდით ლოდებს...
რატომ-მეთქი, მაინც როდემდე,
როდემდე უნდა მმტრობდეთ,
როდემდე მგმობდეთ?
და თუმც შემაკრთო დუმილმა თქვენმა
და თუმცა გულში კიდევ ვგოდებდი,
არ დაგელოდეთ...
ეგ გამეტება და ეგ დუმილიც
არა, არ ღირდა ვაიდ და ვიშად
და ის ქვები და ის ქვიშა
და ის ლოდები
მოვაგროვე და სასოებით,
განა სადმე, მიდებ-მოდებით,
სულში ავიგე ტაძარი წმინდა...
მე ეს ტაძარი მინდა ხიდად
შორის
ცასა და მიწის,
ღმერთსა და კაცთა, ქალთა...
მეოხად სულის
შენის, ჩემის – ჩვენის...
კიდევ მავანთა სხვათა მრავალთა...
ტაძარს ჩემსას აქვს ცხრა ბჭე და კარი...
მაგრამ ტაძარი, ჩემს სულში მდგარი,
არასოდეს იკეტება.
ტაძარი ჩემი ღია არი
ყოველთვის და ყველასათვის ნათელის მჩენი:
მორწმუნეთათვის – მოდით, ილოცეთ!
ურწმუნოთათვის – მოდით, ირწმუნეთ!
ერთად ვადიდოთ ღმერთი – გამჩენი!
ერთად ვევედროთ, მოგვიტევოს ცოდვები
ცოდვილთ,
ერთად ვილოცოთ გადარჩენისთვის
სულების ჩვენის!!!



გზა ქრისტეანული

შემორჩა დროის მახსოვრობას –
 თვალი და ყური...
 დღესასწაული – პეტრე-პავლეს
 ძველებურ მწყურის:
 ლოცვა-კურთხევა ეზო-კარის
 და მარან-ჭურის...
 ტკბილი სურნელი ხმიადების
 და ხაჭაპურის.
 ღმერთზე და კაცზე წინაპართა –
 მოუღლე ზრუნვით:
 გულგამოღობა სილალით
 და, არა – ჭმუნვით,
 მადლიერებით აღვსილი და
 ზეშემართულნი...
 ცამდე ასულნი საგალობლით
 და კრიმანჭულით.
 მეც მიმდევარი საღვთო მცნების
 და მინის სჯულის...
 ვით, გაცრეცილი პერგამენტი –
 ქვა შელანჯული...
 ადგილის დედის ალაგიდან –
 ვერა დაძრული...
 სულმა ინდომა, – ეს გზა,
 ეს ხსნა – ქრისტეანული.

მარი თაბაგარი

„ღმერთო ჩემო, რაფ მიმატოვე მე“

მე ახლა პასეჟის
 ვარ ერთი სტუმარი,
 ქრისტეს სისხლს ვიღებ და
 ამბორს ვდებ ბარძიშზე,
 რატომღაც ჩემი მაცეს
 აზრი და გუმანი
 თუ რატომ უარმყვეს
 და ვერცხლზე გამყიდეს.
 დღეს მეც ზეთისხილის
 ბაღში ჩავიმუხლებ,
 დღეს მეც მამა ღმერთთან
 დავშვერი ლოცვებით;
 რა დიდი ყოფილა,
 უფალო, შენი გზა,
 თითქოს გიპოვნე და
 შენ მაინც მშორდები.
 ამ გზაზე მეც ვნახე
 პილატე, რიფსიმე,
 ხალხი ვერ მოღლილი
 უაზრო ყბედობით

და სინედრიონში
 ფსალმუნნიც ვისმინე,
 სიტყვებიც კანონზე
 დავით და ერთობით.
 მხრებზე რომ ამკიდეს
 ტვირთად დიდი ჯვარი,
 მეც შემომეშველა
 ვინმე კორინელი;
 ლუციფერს არ ჰქონდა
 ახლა ამის ჯვარი,
 ისიც ეკლის გვირგვინს
 წნავდა მორიდებით...
 ნყალი ვითხოვე და
 შემასვეს მეც ძმარი,
 მტევნები დამიხვრიტეს
 ჟანგიან სამსჭვალით;
 თუმც სულ არ მტკიოდა
 არც ხორცი, არც ძვალი,
 სული მაკვივებდა
 დარდისგან დამჭენარი.
 ეგოიზმს და ცინიზმს
 აუტყდათ ზეობა,
 (მაგრამ ზეციერთან
 არა ჭრის არც ქრთამი)
 და ჩემი სული რომ
 სიკეთით მზეობდა,
 თვალში სხივი ჰქონდა
 ლუციფერს გამქრალი.
 არ მერგო საფლავი,
 ჯვარზე ვარ მე ახლაც
 და ვბლავი უფლისთვის
 მიძღვნილი ბატკანი;
 თუმცა ჯერ სიკვდილიც
 ვერ და არ მეახლა,
 ვჩურჩულებ: „ელი, ელი
 ლამა საბაქთანნი?!“

მაკა ბელაშვილი

გოლგოთამდე

*„წმიდა მოციქული იოანე არ მოშორებია მოძღვარს,
 როცა იგი, შებოროკილი, გეთსიმანის ბაღიდან ანასა
 და კაიაფას სამსჯავროზე მიჰყავდათ, თან შეჰყვა
 მაცხოვარს მღვდელმთავრის ეზოში და მის
 დაკითხვას დაესწრო; ნეტარი გოლგოთის გზაზეც
 შეუდგა ქრისტეს, ჯვრის კვარცხლბეკთან იდგა და
 ღვთისმშობელთან ერთად ტიროდა.“*

...პილატეა გაყინული გულით
 და ღირსებას ფეხქვეშ ასე ქელავს,
 გაფითრებულ მაცხოვართან ვდგავარ,
 ვერა ვშველი და არც ითხოვს შევლას.

კადნიერი მსახური ხელს არტყამს,
 მიიმალა, ველარ ვხედავ გამცემს,



„თუ ცუდად ვთქვი, დამიმონმე ცუდი,
თუ არა და მითხარ, ასე რად მცემ?“

ეკითხება უფალი და თავს ვხრი
რიბირაბო ბინდში იქვე მყოფი,
ვერა ვშველი და უცნაურ ამ დღეს
თვალთ ვეძებ იმ მოციქულყოფილს,

ვინაც ასე გაიმეტა ღმერთი,
განუწონა გულში ისრის პირი,
ვერა ვშველი გაფითრებულ ქრისტეს
მე ასეთი პატარა და მწირი.

ხელებს იბანს პილატე და ამბობს:
„თქვენი მეფე თქვენვე აცვით ჯვარზე!“
ოხ, ცრემლები მოუკლებლივ მცვივა,
ვერა ვშველი ჩემი გულის ჯავრზე.

ამღვრეული სულით ვდგავარ იქვე,
სპეტაკია უფლის თეთრი სახე,
რა შევცოდე ზეცასა და მიწას,
რომ ეს ჯვარცმა ჩემი თვალთ ვნახე...

ივეტა პავლიაშვილი-ლოხნაძე

ჭეშმარიტება

ამიდევნა მზის სხივებმა,
გულზე შუქი დამაფინოს,
ეს ის გზაა, ვაზის ღერწზე,
თმით რომ შეკრა ჯვარი ნინომ.

ეს ის გზაა – ჯვარცმული გზა
ჭეშმარიტი ჩვენი რწმენის,
სადაც ვნებით ქეთევანმა
მოაბნია ოქროს მტვერი.

სადაც ზეცის თაღებს სწვდება
საგალობლის ტკბილი ხმები,
მიტევების გზებს გვასწავლის
კვართი წმინდა ისეოსი.

ეს ის გზაა სადაც მადლი
მუდამ აფრქვევს ნათლის მორონს
და მიწიდან ზეცისაკენ
მიუყვება ქორონიკონს.

გზას მიყვები საიმედოს,
სიყვარულის ჟამი არის,
რჯული ძეგლად ანთებულა
მიწას წილხვედრ მარიამის.



კახა სულუაშვილი

* * *

„დე იყოს ქართლოს“... ჩამსახეს ფრაზად,
მტკვარს მიმაბარეს, წყალს ქართა მდევარს...
მე დავიბადე მცხეთასთან ვაზად
და ჩემმა ღერწმა აჯობა მტევანს...

ქალწულის თმებმა მაქციეს ჯვარად.
ხან მწვავდნენ, ხანაც მიგებდნენ ტაძრებს.
სინათლის მტერი მეხვია ჯვარად,
ქვაში შევედი და ველარ დამძრეს...

ხან ვიყავ ლოცვა, ხან უფლის ძღვენი,
ხან ამოვსულვარ საყდარში ცაცხვად,
ხან შემიგდია ენგურში ცხენი
და სიამაყით ვქცეულვარ შავ ზღვად...

ვყოფილვარ ვეფხი, ვყოფილვარ მგელი,
ალგეთზე მტერი მიხრია სამხრად,
მხატვარი-ხურო და სატრფოს შველი...
ერთს მიმღერია უფლისთვის სამ ხმად...

ისე ვინამე, თავად მიწამა:
მიწოდა ქართი, სვანი და ლაზი...
მე თიხა არ ვარ, მე ის მიწა ვარ,
სადაც საჯვარე იზრდება ვაზი...

ნინო ასალაშვილი

ისევ გოლგოთა...

თვალებს შენმიერი სწვავდა უშენობა...
სულში ვერ გიტევდი, ჩემო მაცხოვარო...
ფერი დაგიკარგა ჩვენმა უმწეობამ
(„ღარ გვახსოვხარო... ღარ გვახსოვხარო...“)

ჩვენგან გაყიდულო – გროშად, კაპიკებად...
წლებად დადენილო ჟამთა მაჯებიდან.
როგორ არ მენწვის და როგორ არ მეტევა
გულში სინანული შენი წამებიდან...

ისევ გოლგოთა და ისევ სისხლის ღვარი,
ჩვენც ისევ დუელში გინვევთ.
ღმერთო, უღმერთობის სულზე მოგვისწარი
მკლავზე მკვდარი ქრისტე გვინწევს...

მოაქვს სინანული ნიავს საიდანაც.
თვალს ცრემლი მოსწყდება მყისვე...
ღმერთმა ხომ ჩვენ გამო ჯვარცმაც აიტანა,
მაშ, რაღად ვლალატობთ ისევ?!

ვხედავ მეორდება, ისევ ლალატია
და მაქვს მეც ისეთი განცდა;
ჩვენს სულს სინანული ვერ და არ ატყვია
ღმერთიც (თითქოს) ჯვარზე დაგვრჩა...



მანია (მარინე) კანნიძე

უფალმან ჩემმან სიყვარული ამომჭრა მკერდზე

უფალმან ჩემმან
ნიკოფსიის გზებით მატარა,
მამული ესე მიანდერძა,
მზისებრ თაკარა,
დიდება ჟამის –
ალავერდი, გრემი, ვარძია,
სამშობლომ ჩემმან მინანავა,
გულზე მარნია...

*

წინაპართ ძვლები,
მონამეთა, ბეთლემის კარი,
ვედრება ჩუმი, კელაპტრები,
სამყაროს ცხადი,
ქართული ჯიში, ვაზის ჯვარი,
ტკბილი ღმერთები,
მშობელმან ჩემმან დამიბარა
სამშობლოს ჯავრიც...

*

მონვეთავს შუქი,
განფენილი ზეთის სურნელით,
ალალზე ლოცვა, დილის მადლი,
სჯული უბელი,
რწმენის ბარათი, საკმეველი,
მამულის ხატი, ქართული ფიცი
(ყველამ რომ ვიცით),
სულის ეტრათი და ათინათი...

*

უფალმან ჩემმან
სიყვარული ამომჭრა მკერდზე,
ვით წნორის ხეებს,
გარინდებულთ წნულის
მორეგში,
ნათლიამ ჩემმან დამანათლა
სიცოცხლე ჩემდა
და უფლის ხელმან
შემიყვანა საყდრის ეზოში!..

მანია ხოფარია

ჭიხეთის მონასტერი

ცხელი ზაფხული,
ავვისტოს თვეში,
გურიის მთებში,
თაკარა მზეში,
მივდივარ ფეხით,

სიმშვიდეს ვეძებ
შენს სავანეში...
უფალო ჩემო,
შენი წყალობა,
კაბის კალთა და
დიდი იმედი,
ციცაბო გზები,
ფიქრით ვიარე,
ტაძრის კარამდე
რწმენით მივედი...
დამხვდა სიმშვიდე
და სათნოება,
სული ლალია,
თავისუფალი.
ჩემი თვალებით
გულს დავანახე,
სიყვარულია,
მხოლოდ უფალი...
თუნდაც ზამთარში,
ან მარტის თვეში,
შემოდგომაა,
თუ გაზაფხული,
წვიმაში, ქარში,
თოვლში ან წყალში,
რაც კი მივლია
ცხოვრების გზებზე,
ვიარე ფიქრით!
ვიარე რწმენით!
უფალო ჩემო,
დაბადებიდან
ეს ყველაფერი,
შევძელი შენით!

ანა არჯაკნელი

შენით ყველაფრის ვართ შემძლეებელი

უფალო ღმერთო, ტკბილზე ტკბილი ხარ,
ჯვარცმით სიკვდილის შენ ხარ მძლეველი.
ერთი უძლები შენი შვილი ვარ,
შენდობას ველი ღამის მთეველი.

ზოგჯერ სიმტკიცით აღმასს ვედრები,
ხან მბჟუტავი ვარ შენ წინ კანდელი,
ზოგჯერ – „სათუთი შენი ჭურჭელი“,
სურნელთ მფრქვეველი შენთვის საკმელი.

არ ვარ მზაკვარი, არ ვარ ორგული,
ცოდვებს ვებრძვი და თავს ვერ ვერევი;
გზაბნეული შენი ცხვარი ვარ,
ცოდვით ძლეული ლერწი მერყევი.

გთხოვ, ნუ გამრიყავ, შენად მიგულე,
მომმადლე ძალა ცოდვის მძლეველი,





თუმცა ვცოდე, მაინც შენი ვარ,
შენით ყველაფერის ვარ შემძლებელი!

შენთვის სიკვდილი არის სიცოცხლე,
ჯვართ ბოროტის შენ ხარ მდევნელი,
დაუსაბამო შენ ხარ ნათელი,
ბნელეთის სრულად დამმარცხებელი!

გზაბნეულთა შენ ხარ გზამკვლევი,
და თუნდ სრულიად შეუძლოდ ჩანდეს,
შენ შესაძლოა ქალწულმა გშვას და
მაინც მარადის ქალწულად დარჩეს!

შენ ხარ იმედი დაწუნებულთა
და უპოვართა ხარ საზღაური,
შენთვის გვემაც კი არის ნეტარი,
სიკვდილი – დიდი დღესასაული.

ქრისტიანისთვის რა არის ტანჯვა,
თუ შენ იქნები მისი მშველელი?!
შენ ხარ ქართველთა დიდი იმედი,
შენ – ჩემი ქვეყნის გადამრჩენელი!

გთხოვ, ნუ გაგვწირავ, შენად გვიგულებ,
მოგვმადლე ძალა ცოდვის მძლეველი,
თუმცა ვცოდავთ, მაინც შენნი ვართ,
შენით ყველაფრის ვართ შემძლებელი!

ზურაბ ჭიოკაძე

* * *

უკვე მერამდენედ, ღამე იცრიცება.
ძილიც დაიკარგა სადღაც სასთუმალზე.
დილა მზის სხივებში თითქოს ილიმება,
ფიქრნი დაკიდულან წუთთა ასხმულაზე.
სულში სიმარტოვე დაგუბებულია,
მთვარე არ ანათებს, ღამე ორგულია,
თითქოს ეს საათიც დაფიქრებულია,
რა დრო გასულა და რა წლებს გაუვლია...
ჭკუა ვერ ვასწავლე თავზე გასულ ფიქრებს,
ხვალეც ღამე მოდის ალბათ გასათევი.
დილა შეუმოსავს მთის რძის ფერა ნისლებს
და მაინც წინ არის მკვეთრი მოსახვევი.”
სადღაც ჩვილი ტირის, მოხუცს ეძინება,
სხვაგან სიცილია ჭკუამხიარული.
ზოგჯერ სიმარტოვე გზებად იკლაკნება,
ხშირად მრუდ გზებზედაც გვინვეს სიარული.
ბევრი მეგობარი სუფრის რაინდია,
მცირეს თუ იპოვნი ლუკმა გინილადოს.
თავად ვერ მიმხვდარხარ, წლებს რომ გაუვლია
და მაინც უფალს ვთხოვთ ყველგან
გვინინამძღვროს.
დაფიქრდი, სიკეთე რამდენჯერ დათვალე,
ათასჯერ მეტი აქვს ცოდვები გამომთვლელს.
ცხოვრებას არა აქვს ფერადი სათვალე,
მადლი უნდა ქნა და შენ არც კი გახსოვდეს...



მარინა თითუარიძე

ვეფრება

ღმერთო, ერთხელაც
მომალოცინე ჩემი ილორი...
არ დამიკარგო – კურთხეული
მირონის მადლი,
შენი უმწეო მხევალი ვარ,
ტკივილით სავსე.
არ დამიკარგო
ჩემი ტკბილი ძირძველი მხარე.
არ დამიკარგო სილამაზე
ჩვენი ტაძრების,
არ გადათელოს ეს საუნჯე
მოშურნე მტერმა...
მარტო ეს ნატვრა ამისრულე,
ღმერთო ამას გთხოვ,
არ გამინელო მონატრების
უძირო სევდა.

ნუციკო მუშკუდიანი

რაჯ გადაგვარჩენს

მე თუ გამაოცებს – ისევ მთები!
იქიდან დანახული ხევსურეთი!
მე თუ მიშველის – ნინოს ჯვარი,
რწმენა შეკრული ნინოს თმებით.

მე თუ მიშველის – ისევ ენა,
ენა ქართული და რწმენა ქრისტეს მიმართ!
ჩემი ანბანი და ჩუმი თმენა,
ტაძართან რწმენით ყველას ერთად მისვლა.

ჩვენ თუ გადაგვარჩენს – რწმენა გადაგვარჩენს...
რწმენა ანწყოსი და რწმენა მომავალის...
გალობა ქართული – ჩვენი სულის მჩენი...
ყოველთვის ერთად ყოფნა უფლისთვის
მეომარის...

ჩვენ თუ გადაგვარჩენს – ჩვენი რუსთაველი,
ჩვენი სულხან-საბა, ჩვენი ნიკორწმინდა!
რამდენი ვინმე და რამე ჩამოვთვალოთ,
ერის უკვდავებას აქამდე რომ ხსნიდა...

ჩვენ თუ დაგვამშვიდებს – მხოლოდ
დაგვამშვიდებს,
რწმენა ყველა ჩვენი წმინდა სალოცავის...
ცხრა მთა გადმოვლილი გაზაფხულზე
ჩვენთან მოსატანად... ქალის საოცარის.



თამარ აფციაური

* * *

საიდუმლოა შენი მოსვლა ნუთისოფელში,
საიდუმლოა – გარდაცვალებაც,
ტირლით მოსვლა დედის მუცლით,
ცრემლით გაცილება სახლის ზღურბლით.
საზვერეს მიღმა აქედან ვერაფერს ვხედავ,
სიტყვებსაც ვეძებ, რომ ამოვხსნა ამოუცნობი,
აზრებსაც სხვისას ვსესხულობ, ვთარგმნი –
ზეცის კიბეზე მყოფ ანგელოზებს კითხვებს
ვუგზავნი...

თუ დაბადება სიხარულია ამა სოფლის,
გარდაცვალება – მარადისობის,
ღმერთიც განკაცდა, რომ შეგეგონო შენ
სიხარული,
ჯვარზე გაკვრითაც დაგანახა შენ უკვდავება!

ბექა ზამთარაძე

ილია ჭავჭავაძეს!

განა არ ვართ ბედნიერნი,
შენ რომ გვყავხარ ერის მამად?!
მამაცნი და მშვენიერნი,
უფალია ჩვენი ძალა!
დავიბადეთ ჩაუქებად,
ღმერთმა ნიჭი უხვად მოგვცა
და ჩვენშია ჩაუქრობლად
უფლისადმი შენი ლოცვა!
მე ისა ვარ, ბაზალეთში
აკვანი რომ დამირწიე,
ბოღმა მიღულს ამ ძარღვებში,
თუკი შური არ ვიძიე.
სწორედ ის ვარ, გაღვიძებას
რომ ნატრობდი დიდხანს ძლიერ,
არ მიმიღოს ამ მიწებმა,
მტერს თუ შენთვის არა ვძლიე!
გულს რომ მითბობს შენი სისხლი,
ის ბიჭი ვარ მერმისელი,
ვაზლვევინებ ყველას მისხლით,
საქართველოვ, მე გიშველი!!!

ვლადიმერ ბერუაშვილი

უფალო იესო

ყრმობის წლებიდან მოვსდევ ფეხდაფეხ
ნუთისოფლის გზებს, დაუსაბამოს,
ვეფარებოდი, ღმერთო, შენს სახელს
განა რამ შიშით, ან უსაბაბოდ?
რომ არ დაეგო ჩემთვის გზად მახე,
არ გავენირე მე, უსამართლოდ.

შენი იმედით, შენი ნუგეშით
გამოვალნიე შუქზე ბნელიდან,
კალოს ხარს ვგავდი შებმულს უღელში,
დრო მდენდა სახრით თხილის წნელისგან,
მე, შენი ჯვარცმა მედო უბეში
არ ჩამემუხლა მუდამ მშველიდა,
იმ წლებში, როგორც შუქი ღრუბელში
ნათელი შენი ჩემში შევიდა.

მე, შენმა რწმენამ გამომატარა,
შიშისმომგვრელი ბენვის ხიდები,
და თუ ერთიც კი არ ჩამომწყდარა
შენით, ციდან მე, რომ მამშვიდებდი,
შენით, მზე ჩემი ცას არ მომწყდარა,
შენსკენ მევლო მას ბნელში ჰკიდებდი,
ჰეროდეს გუბემ თუ ვერ მომწამლა
იმიტომ, ღმერთო, ბრმას ხელს მკიდებდი.

დღემდე დავეძებ, იესო, ვარსკლავს
შენი შობა რომ ამცნო სამყაროს,
სად ციმციმებს და ზეშთას სად ახლავს
შენი მეორედ მოსვლა გვახაროს,
ესდით მარადის, მართალს, შენს გზას კვლავ,
მე, გლახამ, შენით გული ვახარო.
სანუთრო, შენი რწმენით ჟამთა სვლამ
განწმინდოს, შენს წინ თავი დახაროს.

უფალო, შენი ცად ასვლის დღიდან
ჩემს მამულზეა შენი სუფევა,
შენი სახელით მართალ სისხლს ღვრიდა
ჰქონოდა ცის ქვეშ ყოფნის უფლება,
დღესაც მტრით მოცულს ყოველის მხრიდან
ვავედრებ, ღმერთო, შენს მეუფებას,
ქართველს, აქ გაზრდილს ადამის ხნიდან
ვინმე ოდეს თუ დაემუქრება,
ვერარამ იხსნას შენი რისხვისგან
ვინც ჩემს მზეს, მთვარეს დაეუფლება.

გადამარჩინა შენზე ლოცვებმა
ამ სანუთროსგან მარად ბედკრული,
არ ვენახეთ მტერს, ჰქონდა ოცნებად
ერთად, ვით ისრის კონა შეკრული.
„ნუ იყოფინ“ და მეტ მადლს მოგვცემდა
ქე ღვთისა, სიტყვა, ნათლით შემკული.

იესო, კვლავაც მადლში გვამყოფე,
ქალ-ვაჟი ბევრი დავაფრთიანოთ,
მტერი, რომ ასეთ ცეცხლში ამყოფებს
მათ მამულს, იქნებ ააფხიანო,
მათი სამკვიდროს სამად გვამყოფელს
მტრედი ნოესი აუფრთხილო,
ტყის ტახივით რომ ჯაგარს აფოფრებს
მშვიდობის დროშა აუფრიალო,
ჩემს მოყვასს მტრობით მასთან არმყოფელს
მაღე სამშობლო გაუმთლიანო.



ცირა ბულაშვილი

ნმინდა ნინოს ჭვარი

წყარო სიბრძნისა ღვთისასა,
მტვირთველი ვაზის ჯვრისაო,
იფარვი უფლის კვართითა,
ნაშიერს იბერთ ჯიშსაო.
დიდება შენდა უფალო!
ამრავლე ნმინდანთ დასიო.
ნინოს ჯვრით, საღმრთო მადლითა,
იესოს სჯული გვასვიო.
ნამი გვაპკურე ღვთიურნი,
ოღითგან საღმრთო სძალითა,
სამების ძალა მოგვმადლე,
ჯვარცმული ქრისტეს ძალითა.
ვედრებით, უფლის დიდებით,
ავგყარე გულსა ჯავრია.
რამეთუ საქართველოში
ობრწყინებს ნინოს ჯვარია!

თენგიზ სუციშვილი

აღსარება უფლისადმი

მიყვარხარ, სულ ვამბობ და ალბათ სიტყვებით,
ვიცი, რომ ამ ჩემს გულს, ვერ ვატყობ ვერაფერს
და როგორც არასდროს, დღეს ისე მჭირდები,
დავთმობდი ყველაფერს...!

საწოლზე მიყრია ეს ჩემი სხეული,
მე ვამბობ – ეყაროს, მაგრამ არ მამშვიდებს,
„ცხოვრებით“ გავავსე კვლავ დიდი რვეული,
მჯერა, რომ გამიგებს...!

სული კი შიშველი, ვით ალვის ხეები,
ქარისგან გაძარცვულ, დატეხილ ტოტებით,
ნინ ბევრჯერ მომელის გოლგოთის დღეები,
მაგრამ არ გშორდები...!

ვინ იცის, რამდენჯერ ჯვარს გაცვი უფალო,
რამდენჯერ მშიერი, მწყურვალი, შიშველი,
დაგტოვე რამდენჯერ, შემინდე უფალო,
ვიცი რომ მიშველი!

რამდენჯერ დედაჩემს ვადინე ცრემლები,
მპატიობს! შვილი ვარ, წლებია შემიცნო,
უფალო, შენს ნმიდა დედიკოს, ვედრებით
გთხოვ, თხოვე შემინდოს!

შემინდოს, რამეთუ არ ვიცი რას ვჩადი,
ცხოვრების დინებას არასდროს მიყვები,
გარდაცვლილ დღეები გახდება განსჯადი
და ჩემი სიტყვები...!

მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ – ისეო!
შემინდე ვით პეტრეს! არა ვარ უმანკო,
„კეისარს-კეისრის, ღმერთს-ღვთისა“ – მიეცო,
მადლობა უფალო!
მადლობა იესო!

ლია ჭავჭავაძე

ნინოობა

ნინოობაა,
ის, ჩვიდმეტი საუკუნეა
ჩვენს შორის ცოცხლობს,
სულ გვეხმარება,
ხელს გვაშველებს,
გულში გვიხუტებს,
გვარიდებს ავს და,
სიყვარულით ავსებს ჩვენს გულს.

საკმარისია მოვინდომოთ,
ჩვენ დავინახავთ –
როგორ შემოდის სულში, გულში,
ჩვენს გონებაში –
გვეაღერსება, გვეფერება,
გულს გვითბობს მადლით, და
სურვილს აღძრავს
უფლის გზაზე –
სწრაფისკენ სვლისთვის.

ნინოობაა,
ის, ჩვენს შორის მიმოდის,
გვათბობს,
ქრისტიანობას ქართველობასთან,
მთლად აიგივებს.

ქალთაგზა (ანა) სურმანიძე

მიტოვებული სოფელი

მიმობნეულა ტყემლის ბილიკი
შორს, მიტოვებულ სოფელში უხვევს...
ძრწიან ავსულნი უხმო ჯირითით,
დარდი კვამლივით ასდით ქიუხებს.
სოფელი, – წყლისგან დაცლილი კოკა,
გაუკაცურდა, მოთქვამს და გოდებს,
ხახაგამშრალი თვისვე ცრემლს ლოკავს,
წელმონწყვეტილი ასკდება კბოდეს.
კივის სახლები, ბაღები, ეზო,
გულისმკორტნელი სიჩუმით კივის,
გაუმადარი ცხოვრებით, ეგზომ,
ახლა ხარხარი აგრძელებს ქილიკს.
ცრემლი გაუშრათ კედლებსაც, ხესაც,
მინაც არ ირთვის კრიალა ნამით,
სიცარიელე ავ თვალს კვესავს,



გდია სოფელი – უსულო გვამი.
დაუტირელი, უჭირისუფლო,
ძაძებმარხული გზები მათცებს
და ვდგავარ ტყემლის ბილიკებს შორის,
სიკვდილმისჯილთა სასაფლაოზე.

ბესარიონ ქვრივიპვილი

* * *

ნამოდი, მოდი, გავიქცეთ ცხენო,
რადგან ცხოვრება მხოლოდ ქარია,
ბევრჯერ ჩაგვენგრა აპრილის მდელო,
სცან, უფლის გარდა არ გვიხარია.

დარჩება სივრცე გაჭრილი ჩვენით,
ბედნიერება დევნა მარად და
მხოლოდ ერთხელ დაიჭიხვინე,
როდესაც მივალთ სამარის კარად...

ქსარია (დოდო) აბაშიძე

ფილა თბილისში

დაცვარული აშრიალდა ისლი,
გადანითლდა ფერდობები თრიმლის,
ქოლგასავით გაიშალა ნისლი,
დაეფარა გაღვიძებულ თბილისს.

ღრმალეღეღეში ათქვირული მოლი –
ქოლგის ჩრდილში დაემალა წვიმას,
მუხიანში აფრენილი გნოლი,
გულისსწორთან გაეშურა წილკანს.

გადმომდგარმა შავნაბადის მთაზე,
ფურიერემმა მოიღერა ყელი,
ცელქმა სიომ დაუვარცხნელ თმაზე –
ქორფა ჯეჯილს გადაუსვა ხელი.

დიდუბეში აღულუნდა მტრედი,
ააფრინა შებუმბლული ხუნდი,
ქლიავისფრად შეიღება ქედი,
ცად აიჭრა ტოროლების გუნდი.

რუსთაველმა გადაიხსნა მკერდი,
მიუშვირა მთანმინდის გრილ სიოს,
ანჩისხატმა მოიხარა ქედი,
მონინებით მიესალმა სიონს.

აფერადდა ქაშუეთის თალი,
სამებაზე ანკრიალდა ზარი,
დედალეთისამ გადმოხედა მალლით,
დედაქალაქს გადაწერა ჯვარი.

ვენერა ბარჩილაძე

* * *

ჭალარით სისხლმუღებილო,
ბებერო კავკასიონო,
მცხეთაში სვეტიცხოველო,
თბილისში ძველო სიონო,
ჩემო შამქორო, დიდგორო,
თერგო შმაგო და ხმიანო,
მტკვარო, კრწანისის ველიდან
კიდევ ვის შევეხმიანო?
აქამდის ჩუმად რომა ვართ
და ბოლო ხმაზე არ ვკვივით,
გვეხმიანება მთებიდან
ვაჟას დაჭრილი არწივი,
ქუდზე კაცს უხმობს ერეკლე,
ილიას ქართლის დედაო,
ბაზალეთისა ტბის ძირას
ყრმა ნამოდგომას ბედავსო,
მოჰქრის ტატოის მერანი,
ფლოქვების ხმაზე ვიცანი,
უკვე დაზრდილან, ყმუიან
ალგეთს ლეკვები მგლისანი.
დედასამშობლო გვეძახის,
თავზე მზე გვადგას ბრდღვიალა,
დავითის ხმალის ჭირიმე,
დიდგორი აახმიანა!..
სანამ არ მოგვენატრება
არაგვი არაგვიანი,
სანამ სისხლი დულს ძარღვებში,
სანამ არ არის გვიანი,
მუხლი გამართეთ, ვაჟებო,
ფრთები გაშალეთ არწივის,
ვაჟას დაჭრილი ფრინველი
ტყუილუბრალოდ არ წივის...

საბავშვო ქრისტიანული ლექსები

თიკა ბელაშვილი

შობა

დეკემბერში შობის მოსვლა
ანგელოზმა იგალობა,
ღმერთმა ყველას დაგაბედოთ
ბარაქა და ღვთის წყალობა!!!
სანთელია ანთებული
ყველა სახლის ფანჯარაში,
იესო ხომ ნათელია
მოარული ფარაჯაში.
ღმერთის ნათელით აღვსილიყოს
პატარაა თუ მხცოვანი,
ჩვენს გულელებშიც შობილიყოს
ტკბილზე ტკბილი მაცხოვარი.



ლალი მიქაია

აღიღო

ბაბუ ერთად ვიმღერებთ
დღეს მე და შენ ალილოს,
დილით ადრე ავდექი,
დავასწარი ალიონს.

ჩოხა უკვე ჩავიცვი,
თოხლო კვერცხიც ჩავყლაპე,
უკვე დანკრიალდა ხმა,
მაღალ ნოტებს ჩავახვევ.

ურემი გაამზადე,
მე კი ხონჩას ავიღებ,
ხალხის შემონირულებს,
დავურიგებთ ღარიბებს.

ნიწო ტარყაშვილი

ეს ეს...

ეს ცა,
ეს მზე,
ეს ზღვა,
ეს ტყე,
ეს ტბა,
ეს მთა,
დეღია...

ჩემია და შენია,
შენია და ჩემია.
მამულს ტურფას, მშვენიერს,
მთლად სამოთხეს ვადარებ,
აქ სიმღერა-გართობა
გვიხარია პატარებს.

ირაკლი ასლანიკაშვილი

ბარბაროზა

ქურის სადგარი წითლად ვარვარებს,
დედა თევზს წვავს და ლობიანს აკრავს.
ღამით გვეწვევა წმინდა ბარბარე,
როცა საათი თორმეტჯერ დაჰკრავს.

მოვა, მოგვიტანს უფლის წყალობას,
ავივსებს სულის ცარიელ ჭურჭელს.
დალოცავს დედას და მის ქალობას,
ჩემს ძმას ტაძარში სიარულს ურჩევს.

მამას არყოფნის სევდის ნუგეშად
მოგვითხრობს ცათა სასუფეველზე,
მერე შენახულს გულის უბეში
ფსკვნილებს საჩუქრად შეგვაბამს ხელზე.

ყველანი ცრემლებს ავადღარღვარებთ
სიხარულის, და მერე, დღის ბოლოს,
წავა... და ჩვენსკენ წმინდა ბარბარე –
გზას მოასწავლის წმინდა ნიკოლოზს.

ნაირა ნიჟარაძე

წმინდა სამების ტაძარი

წმინდა სამების ტაძარი – დგას ბუმბერაზი, ნათელი,
მიველ, ავანთე ვედრებით – ცრემლით ნალტობი სანთელი.
უფალს შევთხოვე მშვიდობა, ერი სულ-ხორცად ჯანმრთელი,
არ მოგკვებოდეს არასდროს – ღვთისმშობლის კალთა – მფარველი

არ დაგვეკარგოს იმედი, სიყვარულის და სიკეთის,
ვიხაროთ შეილთა სიმრავლით, და უფლის მცნების მიხედვით –
ღვთისა და კაცის წინაშე ვიყოთ ყოველთვის მართალი
და სულში გვედგეს ნათელად – წმინდა სამების ტაძარი.



როლანდ გიორგაძე



დისო, დისო...

(რომანი)

უმოქმედო და უშინაარსო ცხოვრებამ სიზარმაცის სენი შეჰყარა გიორგის – თავიდათავი ყველა უბედურებისა. მართალია, ახალგაზრდა აღარ ეთქმოდა, მაგრამ არც მოხუცებულობაში შეებიჯებინა. ფიქრობდა, რალაცით უნდა დავკავდეო, მაგრამ იმ რალაცისთვის ვერ მიეგნო. სოფელში კაცს საქმე ყოველთვის გამოუჩნდება. სოფელში ღრმა სიბერემდე საქმიანობს ადამიანი, რომც გინდოდეს, ვერ გაჩერდება, მიწა ყოველდღიურად ითხოვს თავისას, არ გასვენებს სანამ მიწაზე არ მიიქცევი. აქ კი, ყანა შენ არ გაქვს გასათოხნი და ვენახი შესანამლი, თუმცა, სამაგისო აღარც ჯანი შემოგრჩა და აღარც ღონე. ამას წინათ, კორპუსის წინ, ორ ხეს შემოუბარა და გული ძლივს ამოიტანა სახლში. ამოვიდა და ცოტა ხანს დასასვენებლად წამოწვა. გული ისე გამაღლებით უცემდა, გეგონებოდა, სანოლი ყანყალებსო.

– ასაკი, ძმაო, – შეეხმინა თავის თავს, – შენ, ხუმრობა საქმე ხომ არ გგონია? ოჰ, კარგი ერთი, ყველაფერს ასაკს ნუ დააბრალებ. ვის აცოდებ თავს? არც ისეთი მხცოვანი ხარ. შე კაი კაცო, კოლია არ გახსოვს? სიკვდილამდე ვერ გააგდებინეს თოხი ხელიდან. კი, იმასაც ამბობდნენ, რომ არ წაიქცეს, თოხით იკავებს თავს ყანაშიო. იცინე, შენ, იცინე. ისე, რას არ იტყვის ხალხი, ქილიკობას შენ მოაშლევინებ? იქილიკონ და იყვნენ. მაგან უნდა თქვას, კაცი ვარო. თუმცა, ახლა რალას იტყვის. ღმერთმა აცხონოს, ისე წავიდა ამქვეყნიდან, ლოგინად არ ჩავარდნილა, არავის მოსავლელი გამხდარა და არც არავინ შეუწუხებია. არ არის, ჩემო ბატონო, ეს პატარა საქმე. უბედურება ის არის, რომ ჩანვები და შენს მოვლაზე მორიგეობას დაანესებენ შვილები.

– მერე რა არის აქ უბედურება? უბედურება კი არა ბედნიერებაა, ამდენი მზრუნველი რომ გეყოლება.

– კაი ერთი, შეიძლება შენთვის სულის სიღრმეში რალაც ბედნიერება იყოს, მაგრამ მაინც სხვის შეუწუხებლად ჯობია იქ წასვლა. ყველა თავის საქმიანობა დაკავებული. სად აქეთ ამდენი დრო? აქეთ სამსახუ-

როო, იქით ბავშვებიო, და კიდევ ვინ მოთვლის, რა. იმათაც მოსწყინდებათ, დაენყებათ შფოთი და შეიძლება, სიყვარულიც გაუნელდეთ.

წუთისოფელი დაუნდობელია. მომაბეზრებელი, ერთფეროვანი ყოველდღიურობა გულს აუხეშებს. თუ არ შეძელი წუთისოფლის გამრავალფეროვნება, სულს ჩრჩილი მოედება, დაგიჟანგდება. ისე კი, ყველა სატკივარის საუკეთესო წამალი საქმეა, საყვარელი საქმე. უსაქმურობა ათასგვარ ბოროტებას ბადებს გულში. და კიდევ, მარტო არ უნდა დარჩე. მარტოობაზე დიდი სასჯელი ღმერთსაც კი ვერ მოუგონებია. მარტოსულობითა და უსიყვარულობით იტანჯება დღეს სამყარო. შეიძლება ხალხმრავალ საზოგადოებაშიც იყო, ცოლ-შვილითა და შვილიშვილებით დახუნძლულიც, მაგრამ მაინც მარტო იყო. აი, ამას უნდა გაექცე. სხვანაირად დაილუპები.

ფეხი შეანელა გიორგიმ, ცას ახედა, დღე დასალიერისკენ მიიზღაზნებოდა. ცაზე ჯერ მხოლოდ ერთი ვარსკვლავი კიაფობდა ობლად.

– ხომ იცი, – ისევ გაებაასა თავის თავს, – წუთისოფლად მოვლინება რალაც ამოუცნობი კანონზომიერების შედეგია. შემთხვევით არაფერი ხდება და მადლობელი უნდა იყოს ამისთვის კაცი. სიცოცხლის სამარადღეამო შანსი გეძლევა, თუ, რწმენაში არ მოიკოჭლებ. მოვლინებასაც ათასგვარი ვალდებულება მოჰყვება, აბა რა გეგონა, შენ, თუ ამ ვალდებულებებს არ გაექცევი, შეასრულებ, მოსაწყენად დროც აღარ დაგჩრება და იქაც პირნათელი იქნები. – მერე დანანებით გადააქნია თავი, – როგორ კისრისტეხით გარბის დრო, გიჟივით მიქრის. როგორც იტყვიან, თავის მოფხანის დროც არ არის, თუ მიძინებული არ ხარ. მიძინება კი იგივე სიკვდილია. დრო დიდი განძია, ოღონდ ჭკუით უნდა მოხმარება. უკან მიიხედე, უკან, როგორ ახერხებდნენ შენი წინაპრები – გუთანიც ეჭირათ ხელში, ხმალიც და ღმერთისთვისაც იცლიდნენ. როდის უნდა მოეწყინათ? დღეს ღმერთიც მივიწყებულია. როცა ღმერთს ივიწყებ, ყველა მინი-





ერი მომაკვდინებელი მანკიერებები წამოყოფენ თავს და მის მონად იქცევი. ფულია დღეს ღმერთი და ამ ღმერთს ეთაყვანება ყველა. სხვა დროა ახლა, სხვა დრო, ღმერთის დავინწყების დრო.

– კაი, კაცო, ნივთიერს გაჩენის დღიდან ეთაყვანება კაცობრიობა.

– კი, ამაში გეთანხმები, მაგრამ დღეს განსაკუთრებულად.

ასაკმა გოდრის ამბავი გაახსენა და ჩაეცინა, – რამდენი სიბრძნეა დავანებული ხალხურ გადმოცემებში. გოდორი არ დაგავინწყდეს, გოდორიო. უცნაურ ეპოქაში მოგვინია ცხოვრებამ. ეპოქა, რომელიც დაყინებით მიისწრაფვის თვითგანადგურებისკენ.

– რატომ განადგურებისკენ?

– მოითმინე, მოითმინე, ერთ წამს, მათქმევინე. განადგურება მარტო ბომბს არ შეუძლია. ყველაზე დიდი გამანადგურებელი უზნეობაა. ყოვლისმომცველმა კომერციალიზაციამ, პრაგმატიზმმა სიყვარულიც კი შეინირა. გააცვივა ურთიერთობები. არადა, სიყვარულია თავიდათავი ყოველგვარი სიკეთისა. ჰო, რალაცის თქმა გინდოდა...

– თვითგანადგურებისკენ კი არა ზეცივილიზაციისკენ.

– ჰოდა, ეგ ზეცივილიზაცია მოსპობს ყოველგვარ ტრადიციულს, ღირებულს, მორალურ-ზნეობრივს.

– არ დაგეთანხმები, მე მაინც ჩემ აზრზე ვრჩები.

– კაი, ერთი, გაიხედე, შენ გარშემო რა ხდება.

ასაკზე ფიქრი მაინც არ ასვენებდა, ზარავდა საწოლს მიჯაჭვული ცხოვრება.

– ჩავარდნილი კაცი არა თუ სხვებს აბეზრებს თავს, თვითონაც ბეზრდება საკუთარი თავი. ამნაირი ხვედრისგან ღმერთმა დაგვიფაროს. მოქმედებაა საჭირო, მოქმედება, თანაც დროული. უნდა განთავისუფლდე ფუჭი და დამორღუწველი აზრებისგან. უქმად გდებისგან თოხიც კი უანგდება და გულს რაღა მოუვა?

– ასე, შე კაცო. მოძრაობაა მაგის წამალი, მოქმედება. კარგად თქვა ილიამ: მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა... ყველაფერი იგულისხმება ამაში. პატარა კახი სამოცდათხუთმეტი წლისაც ცხენზე ამხედრებული იბრძოდა. იმიტომ, რომ გაჩენიდან სულ მოქმედებაში იყო. ადამიანი მოძრაობისთვის არის გაჩენილი, შემოქმედებისთვის. იტყვი ახლა შენ, რომელი პატარა კახი მე ვარო. მერე რა, ადამიანთა მოდგმის წარმომადგენელი, ორფეხა გონიერი არსება ხარ შენ, როგორც ამბობენ „ჰომო საპიენსი“. ჰო, კიდევ, გადადებული საქმე ეშმაკისააო. ჯობია, არ დააყოვნო... კაცისთვის მოჭარბებული არაფერი ვარგა, არც დრო, შეიძლება დიდი სისულელეები ჩაგადენინოს. მისგან არავინ არის დაზღვეული. ბრძენ კაცსაც კი შეუძლია ჩაიდინოს სისულელე.

მერე წაიოცნება, – ნეტავ ვინ უფრო მეტ სისულელეს სჩადის – ფულიანი, თუ უფული? გაჩენიდანვე უსასრულო გზას მიუყვება კაცი და ამ გზაზე შეუძლებელია ერთხელ მაინც არ წამოჰკრა ფეხი და არ ჩაიდინო სისულელე.

– გეყოფა ახლა, გეყოფა, უსაქმურობამ იცის აზრებით ხეტიალი. ადამიანს შუბლის ძარღვი დააყოლა

ღმერთმა, ასე ამბობენ ხალხში. ის არის სისულელეებისგან თავის შემაკავებელი, თუ გაგინწყდა შუბლის ძარღვი, ყველაფერს გაკადრებინებო.

ახლობლის ნათქვამი გაახსენდა: — დისშვილი მყავს, კაცო, ერთი უფარგისი, თალლითი და უქნარა, არ ვიცი, ვის გამოემგვანა, გვარში არავინ გვყავს ასეთი. ამას წინათ შევეჯორე – კაცს რომ შუბლის ძარღვი გაუნყდება, მისი საქმე დამთავრებულია-მეთქი. არ იკითხავ, რა მიპასუხა?

მხრები ავიჩიჩე.

– არ დამყოლია მე, ბიძია, ეგ ძარღვიო, და გადაიხარხარა. სისხლი გამეყინა, კაცო, ძარღვებში, მოდი და ელაპარაკე ასეთს მორალსა და ზნეობაზე. კაცს ყველაზე მეტად ფიქრებთან ბრძოლა ღლის. რაიმე მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტაზე რომ ათენებდე და აღამებდე, კიდევ ხო. უსაგნო, არაფრის მომგანი, ზოგჯერ ისეთი მავნებლური ფიქრები შემოგესევა ხოლმე, შეიძლება ჭკუაზე გადაგიყვანოს. მერე ისე დაუპატიჟებლად მოდიან, რას არ გაგახსენებენ. დღე კიდევ გულს გადააყოლებ რამეს, დაღამებაა შიშის მომგვრელი და საფრთხილო.

– კიდევ ერთხელ გეუბნები, რალაცით უნდა დაკავდე, რალაცით.

– და რა არის მერე ეს რალაცა?

– გეყოფა, გეყოფა ახლა, კარგ საქმეზე მიდიხარ, ამდენი ხნის უნახავ მეგობრებს შეხვედები და გულსაც გაიხალისებ, მტანჯველი ფიქრებისგან ცოტა ხანს მაინც დაისვენებ.

არც თუ ისე ბევრი გზა დარჩენოდა გასავლელი შეხვედრის ადგილამდე. რაც ასაკში შევიდა, ფეხით სიარულს მოუხშირა, ახლაც ფეხით მიდიოდა ნაძენარში. მიუყვებოდა ბილიკს, გაუჭირდა აღმართში სიარული, მაგრამ იხტიბარს არ იტეხდა, სასიამოვნოდ ელა-მუნებოდა მოშხამული აირებისგან თავისუფალი მთის გამჭვირვალე სუფთა ჰაერი, ხალისს მატებდა ბუნების სუნთქვა. მონოლილი სისხლისგან სახეც შეუწითლდა, გუნებაც გამოუკეთდა, ფრინველთა ორკესტრის სასიამოვნო ფლურტულმა ძალა შემატა, ფეხსაც აუჩქარა და მხნედ დაადგა გზას, მაგრამ გონებას მაინც ვერაფერი მოუხერხა. გონებას, რომელსაც სულის თვალს უწოდებენ.

– ბიჭო! სანამ რამით დაკავდები, იქნებ რამე დანერო! – მოულოდნელმა და დაუპატიჟებელმა აზრმა ერთ ადგილზე გააშეშა, მერე ხმამაღლა გაიცინა.

– რა გაცინებს, გიფიქრია ამაზე?

– მოდი და ნუ გაგეცინება. მწერლობა შენ პენსიონრების თავშესაფარი ხომ არ გგონია?

– რატომ, კაცო? ჯერ ერთი – პენსიონერი არ ხარ, მეორეც – ამის პრაქტიკაც მრავლადაა მსოფლიოში, თანაც არც თუ ისე უინტერესო ცხოვრება გაქვს გავლილი. გულს მაინც გადააყოლებ, დროს ხომ მაინც მოკლავ, სხვა თუ არაფერი. ამბობენ, გონებას ავარჯიშებო, სკლეროზსაც თავიდან აიცილებ. ა, საუკეთესო გამოსავალი, თანაც სასარგებლო, მაგრამ რაზე გინდა რომ დანერო?

– არა ამაზე არასოდეს მიფიქრია, – კიდევ ერთხელ გაეღიმა, რა აზრი არ მოუვა კაცს თავშიო.

უცნაურმა და მოულოდნელმა აზრმა გაახალისა



და ჩააფიქრა, მაშველი რგოლივით ჩაეჭიდა. მერე ვი-
ლაცის დაგდებული ჩაუქრობელი სიგარეტის ნამწვი
ფეხით მოსრისა და გზა განაგრძო.

– მაგალითად, შენი თავგადასავალი, ცოტა
გადაგხდენია თავს თუ რა. – ისევ ჩაიცინა, – რამდენი
ხანია, ასე არ გავხალისებულვარ. მწერლობა არ მო-
მინდომა ახლა, მწერლობა მარტო ამბის მოყოლა ხომ
არ გგონია შენ, ბიჭო? ამბავს ღვთისგან მომადლებუ-
ლი ფერებიც სჭირდება, როგორც კერძს საკაზმი. ისე
უგემური გამოვა.

– პირველად შეიძლება უგემურიც გამოგივიდეს,
მერე რა.

– არა, ძმაო, არა, უნაყოფო შრომა რა შრომაა. ეს
იგივეა, სიზიფესავით ქვა აგორო აღმართში.

რა არ მოგივა კაცს თავში. კიდევ კარგი გარეთ
არ მზიურდება ყველა ნაფიქრალი, თორემ კაცი კაცს
ველარ შეხედავდა თვალებში.

– შეგრცხვეს მაინც, წერეთელს ედრები! ცოტა
ნაკლებს მაინც გაუყადრე თავი.

– ჰო, რატომ წერეთელს? სხვებიც უამრავია.
როგორ იყო, როგორ? „შენ საჩხერის არწივი ხარ, მე
– ღვანკითის შევარდენი, შენც პოეტი, მეც პოეტი,
შენ აკაკი, მე ვარდენი“. და რა უპასუხა! „წერე, წერე,
ჩემო ვარდენ, მტერს დაასე ისარიო, თუ მწერალი არ
გამოხვალ წერას მაინც ისწავლიო“. წერას თუ არ აუ-
ტანიხარ, დაანებე ამაზე ფიქრს თავი.

ასაკის მატებასთან ერთად რა სწრაფად გარბის
დრო – ისევ დროს გაედევნა ფიქრით. მგონი, ფინიშის
ხაზიც აღარ არის შორს. ეგ არავინ იცის, მწიფეს ეს-
როდნენ და მკვახე ცვიოდაო, – იტყოდა ხოლმე საწყ-
ალი დარეჯანი. ნათელში ამყოფოს ღმერთმა, სათნო
და კეთილი ქალი იყო. ისე, რისი შეცვლაც არ შე-
გიძლია, ფიქრადაც არ ღირს. ნათქვამია, წყლის ნაყ-
ვაო. მე დავამატებდი, დროის ნაყვაც.

აღმართიც გათავდა. საპურმარილემდეც აღარ
იყო შორს. შეჩერდა.

– რას აღარ მოიგონებ, რა ახირებაა, რას აიკვი-
რებ ფეხით სიარული. მართლა პატარა ხომ არ გგონია
შენი თავი? რისი თავი გექნება, იქ რომ მიხვალ.

– რა ვიცი, ვიფიქრე, ბუნება მავნე ფიქრების ტყ-
ვეობიდან გამათავისუფლებს-მეთქი. მყუდრო ადგილ-
ია. როგორ ამბობდა ერთი პოეტი? „ფიქრთა გვირაბი
არის მალარო, ლექსი – ფოლადის ნაწარმოები“.

– თუ ძმა ხარ, ეგ რამ გაგახსენა? რა მოსატანი
იყო ახლა აქ?

– რა ვიცი, რა ვიცი, როგორც სამყაროა ამოუც-
ნობი, ისევე ამოუცნობია გონება. გონების ამოცნობა
სამყაროს ამოცნობის ტოლფასია. რას არ ამოგიგდებს
სხეულის ეს ერთი, ვითომ პატარა ნაწილი. როცა წლე-
ბი ცის თალივით დაგანვება მხრებზე, უფრო მეტად
უკვირდები ჟამთა სვლას, სამყაროს. ახალგაზრდობა-
ში ამას ნაკლებ ყურადღებას აქცევ. დროთა განმავ-
ლობაში კი, ცხადად შეიგრძნობ მის ცვალებადობას.
მიდის ერთი თაობა და მოდის მეორე. გიჭირს, მაგრამ
მაინც ეგუები იმას, რომ მართლაც წუთია წუთისოფე-
ლი. იცი, რომ მოგინევს წასვლა. მაგრამ ყოველთვის
მერმისისთვის გადადებ, გაუზრბინარ ამაზე ფიქრს, ის
კი თავს აუცილებლად შეგახსენებს. ამასთან, ისიც

კარგად მოგეხსენება, რომ „არა ძალუძს ხორციელსა
განგებისა გარდავლენა“. და ისიც, რომ მიღმიერის,
ზეციურის, შეცნობა ვერ ხელეწიფების ძეხორციელს,
არაფერი იცი, ის წარმოდგენითია, ოცნების სფეროა.
აქ, კი, ყველაფერი გაცხადებულია. ხედავ, ეხები,
კაცობრიობის უსასრულო კიბის ერთი საფეხური ხარ
შენს თაობასთან ერთად. კლდეს, რომ მოანგრევენ,
დაინახავ, როგორ საფეხურებივითაა სხვადასხვა ფენა
ერთმანეთზე დალაგებული. ასეა კაცთა მოდგმაც.
რაც მოსახდენია, მაინც მოხდება, არ ღირს ამაზე თა-
ვის მტვრევა, რას იზამ, ფიქრს ვერ გაექცევი, ვერ
დაემალევი. ფიქრები ფანტელევივით აცვივა გონებას.
ზოგი უკვალოდ ქრება, სხვანი მკვიდრად მკვიდრდება
ტვინის ხვეულებში და კაციშვილი ვერ გაიგებს ფრინ-
ველივით როდის წამოგიფრინდება... ამბობენ, ფიქრის
ტყვეობიდან დახსნის ერთ-ერთი ყველაზე კარგი სა-
შუალება ღვინოაო, მაგრამ...

– ჰოდა, ეგ მაგრამ არ დაგაინწყდეს. ისე კი კაცო-
ბრიობამ მუხლზე უნდა დაუწოქოს ჩემს წინაპრებს ამ
უდიდესი საუნჯის აღმოჩენისთვის. ღვინო ახალისებს
გულსა კაცისასო. კარგი ნათქვამია, ჭეშმარიტად.

* * *

დღე იწურებოდა, ბინდი საბრძანებელს უმზადებ-
და ღამეს. ისმოდა ფრინველთა ჟღერტული, ძილის
წინა გადაძახებ-გადმოძახება, ძილისპირული ახალგა-
მორეკილი ბარტყებისთვის. აქა-იქ ღამის დარაჯების –
ბუსა და ჭოტის კვილიც სწვდებოდა ყურს.

რა კარგად მოუფიქრებიათ ამ პატარა მთის წვერ-
ზე საპურმარილეს გაკეთება. ყველა მხრიდან შერეუ-
ლი ტყის საფარით შემოსარტყელულს მხოლოდ წვერი
შქონდა მოტიტვლებული მელოტი კაცივით და ამ სიმ-
წვანეში ბადახშივით იყო ჩასმული გასული საუკუნის
ერთსართულიანი, კრამიტით გადახურული, ქვის ბო-
ძებზე შესკუპებული იმერული ოდა-სახლი. მისთვის
დამხასიათებელი გრძელი აივნით. შემკული სხვადასხ-
ვა ორნამენტებით, ფიგურებით და რიკულებით.

რა არის, კაცო, ეს, ჩემი მეზობლის, ას წელს მი-
ტანებული არჩილას სახლი გადმოუტანიათ მგონი აქ.

ტყრუშული ღობით შემორაგვეული ეზო მწვანედ
ხასხასებდა. მხოლოდ თეთრი ქვით განწყობილი ბილი-
კი დაეტოვებინათ სახლამდე. აბიზინებულ კონდარზე
აქა-იქ მარგალიტებით მოებნიათ სისხლივით წითე-
ლი, თავდახრილი ვარდები. მოწინებით შეჰყურებდა
როგორც საკრალურსა და იდუმალს. – ტურტლიანი
ტყავის ლანჩით როგორ უნდა შებღალო ეს სინმინდ-
ეო, და შორეულმა ბავშვობის მოგონებამაც არ დაახ-
ანა, როცა მწვანე მოლზე, ფეხშიშველა, ტრუსებით
დატანტალებდა.

მთისთვის დამხასიათებელი მუდმივად გრილი
სიო საამოდ ანანავებდა გარემოს. მოწყდა რეალურს,
ანწყოს და ირეალურში, თითქოსდა რალაც მანქა-
ნების საშუალებით შორეულში, მიღმიერში გადავიდა.
გონება ყოველგვარი ბინიერისგან გაიცხრილა... მთის
წვეროდან ხელისგულივით ჩანდა მდინარის ორივე მხ-
არეს განოლილი ქალაქი, რომელიც ისე ციმციმებდა,
თითქოს ცა თავის ვარსკვლავებთანად ამობრუნებუ-
ლიყო. ნეტარების მომგვრელ ჟრუანტელს დაეპყრო





მთელი სხეული. აცრემლებას ბევრი აღარაფერი აკლდა... ყოველგვარი მიწიერი გამქრალიყო...

– მგონი კარგ დროს მოგისწარი, გადაფრენას ხომ არ აპირებდი? – ზურგზე ხელი მოუთათუნა კარგა ხნის უნახავმა მეგობარმა და შემოატრიალა. მერე უკან დაიხია და ვითომ გაკვირვებულმა თუ ნამდვილად გაკვირვებულმა, თვალასხივოსნებულმა მიმართა:

– კაცო, შენ არ იცვლები? – ღიმილად ქცეული შინაურულად თმაზე წაეცანა და გაჭალარავებული გრუზა თმა მოუჩერა, – შენზეა ნათქვამი, „არ ვსდევ ყამთა ცვლასო“.

მერე მარჯვენა ხელი თავზე მოისვა, კეფაზე შერჩენილი შეთხლებული ქალარა თმის ნაშთი მოიქეცა და მწუხარების გამზიარებული კაცივით დანანებით წარმოთქვა: – ეჰ, შეხედეთ, ერთი შეხედეთ, ახმება, მაგრამ არ ცვივა.

– იქით გაიხედე, შე უკუღმართო, თვალი არ ეცეს, – აჩეჩილი თმა შეისწორა გიორგიმ და მეგობრის მოტიტვლებულ თავზე შეაჩერა მზერა.

– რა მეთქმის, ნამეტანი გვალვიანი იყო ბოლო წლები და იმან შეინირა. თმა კი არა, მგონი ქვეყანაც კინალამ გადაჰყვა ამ წლებს.

– ასე ხვდებიან, ბიჭო, მონატრებული მეგობრები? მეტი არაფერი გაქვს სათქმელი?

– როგორ არა, როგორ არა, კაცო, სად გვეჩქარება. აქ დრო გაჩერებულია, დანარჩენი იქ, – წარმოთქვა მხიარულად და ოდა-სახლისკენ გაიშვირა ხელი.

– სხვები სად არიან, ვახტანგ, სხვები?

– სხვები ორგანიზაციული საკითხებით არიან დაკავებულნი. ამ საოცრებით გარინდებულს რომ შეგასწარი, – მხარზე ხელი გადახვია გიორგის, – ცოტა არ იყოს, შემეშინდა. შენი პოეტური ბუნების და გულჩვილობის ამბავი რომ ვიცი, თავს არაფერი აუტეხოს-მეთქი, გავიფიქრე.

ვახტანგი ცოტა ხანს შეყოვნდა, დასერიოზულდა, ქვემოთ ფეხქვეშ განოლილ, აციმციმებულ ქალაქს გადახედა და მყისიერად გამხიარულებულმა ამოიმღერა: – საკვირველია პირდაპირ, ლექსებს რომ არ წერ. სხვისას რომ ჩამოარაკრავებ ნაკადულივით და ცრემლებს გვალვრევილებ, იქნებ შენც გეცადა?

– ეჰ, ვახტანგ, ვახტანგ, სულ მიკვირს და ცოტა მშურს კიდევ, ასეთი სერიოზული პროფესიისა და თანამდებობის პატრონი სულ მხიარული როგორ ხარ.

– სხვანაირად ვერ გაუძლებ. ჰო, ასეა, ვფიქრობ, ჩემს პროფესიას სჭირდება. – შეყოვნდა, ცოტა ჩაფიქრდა და წარბეზაზიდულმა მრავალმნიშვნელოვნად დაამატა, – ტაქტიკაა ერთგვარი. ხომ იცი, რა ხალხთან მაქვს საქმე? ეს მხიარულება ზოგჯერ მოჩვენებითია, მაგრამ არ უნდა შეგამჩნიონ. ისე, რაღაც ახირებულობასავით კი დამჩემდა, – ნალველი გამოკრთა მის ხმაში და ფეხსაცმლის ჭვინტს ჩააცქერდა, თითქოს პირველად უყურებდა. – შინაურებთან გულწრფელი ვარ. ასე ბნელეთის მოციქულებს ჩემ მიმართ ნდობით განვანყობ. საქმეს სჭირდება. მართალია, ყოველთვის არ ამართლებს, მაგრამ თავის საქმეს მაინც აკეთებს.

– გულწრფელად მიკვირს, – შეესიტყვა გიორგი, – გასაკვირია პირდაპირ, ვერ წარმოვიდგენდი, ამ დო-

ნის ოინბაზობა თუ შეგეძლო. – არა, არა, – ღიმილი გაუკრთა გიორგის, – შეცდომით აირჩიე პროფესია, შენ იურისტი კი არა, მსახიობი უნდა გამოსულიყავი. – მერე დააკონკრეტა, – ცირკის მსახიობი. როგორ მოგიხდებოდა ნითელი, პომპონიანი ქული!

– შენ იცინე და მართლა ვფიქრობდი მაგ პროფესიაზე, მაგრამ კონან დოილმა დამღუპა. ჰო, ჰო, გადაყვე დეტექტივების კითხვას. – მერე ადრე ნათქვამს მიუბრუნდა, – წელან გითხარი, შემეშინდა-მეთქი. კი არ გეხუმრები, მართალს ვამბობ. აქ, ამ საოცრების შემხედვარე, ბევრი ტყვევდება, ლაპარაკის უნარს კარგავს, ზოგიც ექსტაზში ვარდება. იცი, რამდენი მინახავს აბლავლებული და მინაზე გაგორებული? ხომ ხედავ, ედემის ბალის ერთი პატარა კუთხეა, მარტო ადამი და ევა აკლია... – თქვა ისე მხიარულად და ხელები გადაატკაცუნა, – გიორგი, ჰა, რას იტყვი, ამ ადგილის მშოვნელმა და შენობის ამგებმა უნდა თქვას კომერციული ნიჭი მაქვსო.

პასუხის მოლოდინში თავზე ხელი რიტმულად აატყაპუნა, თითქოს თავის თავს უბრაზდებოდა, მე რატომ ვერ მოვიფიქრეო.

– შენ სად გეცალა მაგისთვის, – ჩანაფიქრს მიუხვდა გიორგი, – კრიმინალებთან ბრძოლაში დალილს.

– კაი, გვეყოფა კექნაობა. ჰო, მართლა, ასე რატომ დაგავიანდა? – დასერიოზულდა ვახტანგი.

– ფეხით მოვუყვებოდი, ძმაო, ფეხით, ჩემი ნება რომ იყოს, აქ მანქანით ამოსვლას ავკრძალავდი.

– რაო! უარს ეუბნები ცივილიზაციას?

– უარს არ ვეუბნები, მაგრამ ეს სინმინდეები ხელშეუხებელი კუნძულივით, ნაკრძალივით უნდა შევინარჩუნოთ.

– ეს რაღა ხელშეუხებელია, ისე კი, ზემოთ...

– თვალი გაადევნა ცას მიბჯენილ მომდევნო მთის წვერს, – არის ასეთი ადგილი, ბერები არიან დავანებულნი. პროტესტს უცხადებენ ცივილიზაციას და ყველაფერს ხელით აკეთებენ, მამაპაპური ხელსაწყოებით, ჰო, ნაჯახი და მისნაირები. ამ ლამაზ კოპნია სახლს, რომ უყურებ, ულურსმნოდაა აგებული. ამბობენ, ლაზები ჩამოიყვანესო. ეგენი ხომ ხის ცნობილი ოსტატები არიან. ასლია იმერული ოდა-სახლის, არ ვიცი ძველი დაშალეს და მერე აქ აანყვეს, თუ ყველაფერი ხელახლა გააკეთეს. ხის მასალას საოცარი სურნელი აქვს, ჯანმრთელია და როგორც დღეს ამბობენ, ეკოლოგიურად სუფთაც. რაც შეეხება იმ წმინდა ადგილს, სხვა დროს ნავიდეო და თუ სურვილი გექნება, რამდენიმე დღით დავრჩეთ. მე ორი კვირა ვიყავი

– მერე, გეშველა რამე?

– არ არის ეს სახუმარო თემა, – დასერიოზულდა ვახტანგი. იქ მოღვაწენი, თითქოს უხორცონი არიან, წყდები ამქვეყნიურს და მსუბუქდები. სიყვარულითა და ურთიერთპატივისცემითაა გაჯერებული ყველაფერი. სასიცოცხლო მოთხოვნილებად მექცა იქ რამდენიმე დღით განმარტოება. – გაცუბა რომ შეატყო გიორგის, ბეჭებზე მოუთათუნა ხელი, პატარა უბიძგა და მხიარულად შეუძახა, – ნავიდეო, ნავიდეო, იქ უკვე ყველაფერი მზად იქნება.



* * *

მეგობრები მასლაათით გაუყენენ თეთრად მოკირწყლულ ბილიკს, საამურად უბერავდა მაცოცხლებელი სიო. თავდახრილი ვარდები წელში მოღუნული მომსახურე იმერელი ბიჭივით კიდევ უფრო მოღუნულიყვნენ, მინამდე დაეხარათ თავი და მოკრძალებით ეპატიჟებოდნენ სტუმრებს – ანტრე, ბატონო! ანტრე, ბატონოო!

კოზნია სახლი მზად იყო სტუმრების მისაღებად. რამდენიმე ხის საფეხური მსუბუქად აიარეს და თანამეინახეებს შეუერთდნენ. გადაეხვივნენ ერთმანეთს, ბეჭებზე ხელის ტყაპუნით მოიკითხეს ოჯახები, შვილები, დაინტერესდნენ საქმიანობით და მაგიდას მიუსხდნენ. ისევ ის ბიჭები – ვახტანგი, ცოტნე, თემური, გურამი და გიორგი.

– ღვთის წყალობით, – წამოიწყო ახოვანმა, მხრებში გაშლილმა, ჯერ კიდევ საკმაოდ მოხდენილმა და თმაშევერცხლილმა გურამმა. ის ბავშვობიდან სპორტით იყო დაკავებული და ახლაც შეძლებისდაგვარად აგრძელებდა სპორტულ ცხოვრებას. – ტრადიციას ჯერ კიდევ ვაგრძელებთ. წელიწადში ერთხელ შეხვედრით მონატრების სურვილსაც ვიკლავთ და ქართული სუფრის ემხით და ლაზათით მომბებზრებელ ერთფეროვან ყოველდღიურობას ვივინყებთ, ვხალისდებით. ადრე უფრო ხშირად ვხვდებოდით. მოვუხშიროთ ამ შეხვედრებს, თორემ ხომ ხედავთ, ჩვენი ცხოვრების ფურცლები თანდათან ყვითლდება და ქვდება, ხან ერთი წყდება და ხან მეორე. აა, თამაზი უკვე აღარ გყავს, – ნაღვლიანად დასძინა ბოლოს. – მოდი, სანამ საქმეს შევუდგებით, მის სულს პატივი ვცეთ და შესანდობარი ვთქვათ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს. – ყველანი ფეხზე წამოდგნენ და შესანდობარი შესვეს.

– თემურ! რა თქმა უნდა, შენი ღვინოა, – ტუჩები მოიწმინდა გურამმა და ლავაშს მისწვდა.

თემური კახეთიდან იყო, მწვადის და ღვინის კუთხიდან. ყოფილი მოცურავე დარბაისლურად შეესვებულებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში ცხოვრობდა და სოლიდური თანამდებობაც ეკავა, მამაპაპისეულ ზვრებს დიდ ყურადღებას აქცევდა და ღვინოც საუცხოო გამოსდიოდა.

– რა თქმა უნდა, ჯო, რა თქმა უნდა, – მოუქცია კახურად სახეზე ღიმილმკრთალმა, – ასე იქნება, სანამ ჯანი და ღონე გამყვება და მერე რაც იქნება, ის მერემ თქვას. – ორაზროვნება არ დააკლო ნათქვამს თემურმა.

– ხალხო! რამდენადაც ჯერ კიდევ ღვთის წყალობით ქართული წეს-ჩვეულებების დამცველები და მიმდევრები ვართ, სუფრას თამადა სჭირდება. რა მნიშვნელობა აქვს, რამდენი ვართ, წესი წესია. არც ერთ ხალხის კულტურაში თამადაობის ინსტიტუტი არ არსებობს, ჩვენ გვაქვს მხოლოდ და ამას გაფრთხილება უნდა. კი დაგვძახიან ზოგიერთი წარბებ და წამნამებ გადახატული, თმა-კიკინა გავეროპელებული თანამემამულეები, – მოძველებული ტრადიციააო, მაგრამ ღვინის სმის ჩვენებური კულტურა, რამდენად გასაკვირიც უნდა იყოს ზოგიერთებისთვის, ევროპელებსაც მოსწონთ. მოკლედ, თამადად ვახტანგი

ავირჩიოთ. – დაამთავრა სათქმელი ცოტნემ და ღვინით სავსე ჭიქას მისწვდა. ვახტანგსაც დიდი თავპატიყი არ გამოუდვია და ჩვეულებისამებრ ტრადიციულ სადღეგრძელოებს გაჰყვა. აქეთ ვახტანგი ენამზებოდა, იქით ღვინო იღვწოდა დინჯად – ჯერ გონებას მისწვდა, მერე სისხლს აედევნა და როცა ყველა დასაპყრობი ადგილი უბრძოლველად დაიპყრო, თავს დროებით მოღუნების უფლება მისცა. მთელ სხეულში სასიამოვნოდ დათბა. მეგობრები სიტყვაკაზმულობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ლექსიც თქვეს. სიმღერის გარეშე ქართული სუფრა რა არის, ჰოდა, არც სიმღერა დაუკლიათ. მერე გიორგი ფეხზე წამოდგა, სხვებსაც ადგომისკენ მოუწოდა, მხრებში გაიმართა, ხელები გამალა, ღვინისგან გახალისებულს გული გამალებით უცემდა, მინვდა ალიცლიცებულ ჭიქას, გრძობამორეულმა სიყვარულით შეავლო თვალი სუფრის ნევრებს და გულში ჩამწვდომი ხმით, ისე, ყრუანტელს რომ მოგვერის, წამოიწყო:

– გაიხედეთ ქვემოთ, ხალხო, შეხედეთ და დატკობით, რა სილამაზეა, როგორ ციმციმებს ქალაქი, თითქოს შორეული გალაქტიკიდან სტუმრად მოსული ხომალდი იყოს. – ისე დაიწყო, გეგონებოდა, დილაშე არ გაჩერდებო, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად უცებ დადუმდა, თითქოს ენა დაეხდა. ხან ცას ახედა, ხან ფეხქვეშ განრთხმულ ქალაქს გადახედა, რალაც აწვალბდა, გორგალივით გაჩხეროდა ყელში და ხმას ველარ იღებდა. დამუნჯებულს შორეთიდან ნიკოლორთქიფანიძე წამოეშველა, თითქოს ბეჭებზეც ხელი მოუთათუნა და უჩურჩულა: – მთვარიან ღამეში ბაგრატის ტაძრის ნანგრევები, თალხით მოსილ ჭირისუფალსავით რომ დასცქერიან ქუთაისს, უხმოდ მეტყველებენ: მოუარეთ საქართველოს! – ჩურჩული არა და არ თავდებოდა. – ზოგჯერ ქუჩაში წინ გადამელობება სულის მესაიდუმლე შოთა და ბრძანების კილოთი ამბობს: მოუარეთ საქართველოს! ღამის წყვილიაღმე ყურს მოგვკრავ მდინარეთა გალობა-სიმღერას; ინყებს მკვირცხლი რიონი; შემოსძახებს გიჟმაჟი თერგი და ბანს ეუბნება დინჯი მტკვარი: მოუარეთ საქართველოს! ნუთუ, ბატონო ჩემო, გუშინწინ რომ კოკისპირულმა წვიმამ დაასხა, არ გაგიგონიათ გაუთავებელი, გაბმული ძახილი ყოველი წვეთისა: მოუარეთ საქართველოს!.. მოუარეთ საქართველოს... მოუარეთ საქართველოს... – „ცეცხლებშემწეული“ სიტყვების ექო თეთრი ნისლივით მოეფინა ახლომდებარე მთა-გორაკებს. გურამმა, ამ მთასავით კაცმა, ბავშვივით მოიწმინდა ცრემლი და ამოილულულა: – რა ეშველება ჩემს ქვეყანას?!

– ხომ ვამბობდი, აგვატირებს-მეთქი, – ღიმილის მორგებას ცდილობდა ვახტანგი. ყველანი გარინდებულებიყვნენ, მხოლოდ ინახად მჯდომი ბახუსი ხითხითებდა ეშმაკურად სუფრის ბოლოს.

– მერე რომ არ ვიცით, როგორ მოვუაროთ? გზაბნეულ ფარას ვგავართ, ხან საით მივანყვებით და ხან საით. ხან დასავლეთისკენ და ხან ჩრდილოეთისკენ. ტყუილად არავინ არაფერს იძლევა, ყველა სათავისო საქმეს აკეთებს, ხმა ვერ ამოგვიღია, არიქა, იმას არ ეწყინოს, არიქა, ამას არ ეწყინოს. დემოკრატია დაგვიწუნებენ, ხმის ამოღება ადამიან-





ის უფლებების დარღვევაში ჩაგვეთვლება, შეწყდება ინვესტიციები, დავიმშვეით და სხვა ათასი კოჭლი მიზეზი. შე დალოცვილო, საკუთარი პროდუქცია ვერ შეგიქმნია. ელემენტარულ პირველადი მოხმარების საგნებსაც ვერ აწარმოებ – ვერც ასანთს, ვერც საპონს. ინდუსტრიალიზაციის გარეშე ქვეყანას მომავალი არ აქვს, ის თავისთავად მოითხოვს მონინავე ტექნოლოგიების დანერგვას, რასაც შესაბამისი კადრები დასჭირდება. ინდუსტრიალიზაცია დასაქმების ყველაზე მთავარი წყაროა. აგერ, ბატონო, ჩინეთის მაგალითი. მარტო ტურიზმით ქვეყანა ვერ განვითარდება. ტურიზმის იმედად შეუძლებელია ბიუჯეტის დაგეგმვა, იმდენი ტურისტი შედის ესპანეთში, იტალიასა და საბერძნეთში, რომ ჩვენ არც დაგვესიზმრება, მაგრამ მაინც ვალეებში იხრჩობიან. პატარა დაძაბულობის შექმნა ჩვენს რეგიონში, ან სტიქიური უბედურება, ღმერთმა დაგვიფაროს ამისგან, და მოგჭამა ჭირი ვირტუალურმა შემოსავალმა. დაუსაქმებელია შენი სისხლი და ხორცი. უკანმოუხედავად გარბიან ქვეყნიდან და სხვის ისტორიას ჭედავენ. მოკოსმოპოლიტო მთავრობამ ხელი დაიბანა, – დასაქმება და წარმოებების გახსნა ჩემს ფუნქციებში არ შედისო, ეგ კერძო ბიზნესის საქმეაო. კერძო ბიზნესის მკეთებელს კი მოთმინება და პროფესიონალიზმი აკლია – ერთ წელიწადში უნდა გახდეს მილიონერი, თან ფულიც არ აქვს. საკრედიტო დაწესებულებები კი ტყავს აძრობენ. და აი, ასე, გონიერი მტრის თუ ბრიყვი მოკეთის ღირეტივებით ინრიტება და იშრიტება ქართული გენოფონდი და გარბიან – შეხედულები, ლამაზები, ნიჭიერები, მოხდენილები და მოდგმის გამგრძელებელი. დანარჩენი კი, იმის მაგივრად დღე-ღამეს ასწორებდეს გამოსავლის ძებნაში, თუ როგორ უშველოს ქვეყანას, ჩამოეკიდნენ ათასგვარ საეჭვო უცხოურ ორგანიზაციებს და უშრომელი შემოსავლის მიღების მიზნით უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავენ წინაპართა სისხლით მორწყულ თავიანთ გამზრდელ ქვეყანას. სხვას კი არ უნდა ამართვინო შენი ქვეყანა, შენ უნდა მართო, თუ საბოლოოდ არ გაცვედნებულხარ. უნდა დაანახვო სხვებს, რომ დამოუკიდებლადაც შეგიძლია განვითარდე, განავითარო შენი ეკონომიკა, გაძლიერდე სამხედრო თვალსაზრისით. ჩვენ კი რას ვაკეთებთ, მისტიკით წარსულს, ანმყო არ მოგვწონს, არც მომავლის დიდი იმედი გვაქვს. ასეთი განწყობით როგორ მოვუაროთ საქართველოს? ქვეყნის გადარჩენის სხვა მზა რეცეპტი მე არ მაქვს, მაგრამ თუ საშველი არ გამოჩნდა, ამ ლამაზ მთა-გორებს, ნაყოფიერ ველ-მინდვრებს სხვებიც უმღერებენ, სათავისოდ გამოიყენებენ და დამკვიდრდებიან. ხომ ხედავთ, როგორ აჭრელდა ქალაქი?! – ჩამთავრა დინჯად ცოტენემ და შეუსმელი საგსე ჭიქა მაგიდაზე დადგა.

სუფრა მდუმარებამ მოიცვა, რომელსაც დარბაზიდან გამოფრენილი სულის ამაფორიაქებელი ჰანგები ენანანავებოდა. ყველა თავის საფიქრალს წაელო... „დაიგვიანეს, ჯერ არსად ჩანან“... ქართული სიმღერის მომაჯადოებელმა ტკბილმომოვანებამ ტანში ჟრუანტე-ლივით დაუარა სუფრის წვერებს. ეს აკლდა კიდე ჩვენს განწყობას? გაიფიქრა ცოტენემ, ვახტანგი გალაკტიონს მისწვდა – „არსად ისე არ მღერიან, როგორც

აქ, ამ ქვეყანაში“... და არც რუსთველი დავინწყინა: „რა ესმოდა მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან“ – უკეთესად შემფასებელი ჯერ არ დაბადებულა. მხოლოდ ერთს დავამატებ, ვერც ცეკვავენ.

გარინდებიდან სუფრის წვერები ალესილი ნაჯახივით მჭრელმა ხმამ გამოიყვანა, თითქოს წყალი გადაასხესო, ერთბაშად გამოფხიზლდნენ.

– რას დასტირით და დაბლავით სუფრას. თქვე უსაქმურებო! ტირილითა და ვაი-ვიმით გაკეთებული საქმე ვის უნახავს?! – ტყვიამფრქვევივით ისროდა სიტყვებს ვიღაც მოკვანჭალე კაცი და სუფრას უახლოვდებოდა. – დამსხდარხართ, ქეიფობთ, გადაჰყურებთ ქალაქს და ტკბებით. რა გექეიფებათ, თქვე უღლეურებო, ქვეყანა თავზე გექცევათ, თქვენ კი ლაქლაქებთ. ბავშვი ბავშვს აღარ ჰგავს და დიდი – დიდს, ნარკომანია და სხვა ენით გამოუთქმელი სიბილწეები მუშლივით შესევიან ქართველთა მოდგმას. ღვინის სამშობლოში ჰამიშით და სხვა გამაბრუებელი მომაკვდინებელი ნივთიერებებით ილუპება საქართველოს მომავალი. თქვენ კი ქეიფობთ. ვაი, დედასა, სად ჰყავს ამ ქვეყანას პატრონი! სტალინი გინდათ, სტალინი!

თანამეინახენი აიძაგრნენ. მხოლოდ ვახტანგი ილიმებოდა, კი არ ილიმებოდა, იცინოდა და ცოტა უკლდა ახარხარებას.

– ვინაა, ბიჭო, ეს გადარეული? – მიუბრუნდა ალელევებული გიორგი ვახტანგს.

– მოიცა, მოიცა, სანამ არ ჩამოფქვავს, არ მოისვენებს. აქვე გაგვიფენს თავის მარგალიტებს. არ იცნობ, კაცო? ელეფთერია. მაგას თითქმის მთელი ქალაქი იცნობს, განსაკუთრებით მძლოლები და რესტორნები. გამაგიჟებს, რა ყნოსვა აქვს, როგორ მომაგნო.

– მაინც ვინაა, კაცო, უკანასკნელი სიტყვებით რომ გვთათხავს.

– ჩემი შორეული ნათესავია. წარსულით გაუბედურებული კაცი.

ელეფთერი კი თავის სტიქიაში იყო:

– მიინ-მოინიეთ, რომ გაშხლართულხართ! ასე უნდა სტუმრის მიღება და პატივისცემა? ესაა ზრდილობა და რაინდობა? – ქაქანებდა და თან სუფრის წვერებს ათვალეერებდა. მერე მოულოდნელად გადაიხარხარა და ვახტანგს მიმართა: – შე სულელო და ჩერჩეტო, შენც აქა ხარ?

– ვითომ არ იცოდი. ეჰ, ელეფთერ, ელეფთერ.

სუფრის წვერებმა ვახტანგს გადახედეს და მიინ-მოინიეს. ელეფთერი სუფრის თავში მოკალათდა.

– ცოტა კიდევ მიაჩოჩე სკამი, ძამია, ვერ ხედავ, ფეხს ვერ ვხრი?

გიორგიმ ჩაიჩოჩა.

– სხვანაირად ვერ დავჯდებოდი, არ ილუნება ეს ოხერი ფეხი.

ელეფთერი ვახტანგს ისევ შეწუხებული სახით მიუბრუნდა:

– ბიჭო, მაინც რა ჩამარტყეს ამ ჩერჩეტო თავში, შენ გეცოდიანება. ისე კი მისმა მარჯვენამ გაიხარა, ვყოფილიყავი ჭკვიანად, ახლა ასე ხომ არ ვიქნებოდი...

დაუპატიჟებული სტუმრის წამიერი სინანული და მწუხარება ისევ მოურიდებელმა, თავხედურმა კილომ შეცვალა.





– ხო, გეკითხებით, რას ბლავით? ქვეყანას შველა უნდა, თქვენ კი მაღალფარდოვანი სიტყვებით კიკინებთ – ასე არ ვარგა, ისე არ ვარგა, რა გვეშველება? გაანძრით ხელი და ეგ გაყინული ტვინი. მამა გიცხონდათ, მსოფლიოს თქვენზე მეტი საფიქრალი არ ჰქონდეს, თქვენი გულისთვის ომს არავინ ატეხავს. გეტყობათ, ჩემზე მეტი განათლებულები ბრძანდებით და არ გაგიგონიათ: „თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენებო“. მარტო საკუთარი ოჯახის კეთილდღეობა განაღვლებთ, გამოძვერით ნაჭუჭიდან. გამოსავალი ყველა მდგომარეობიდან არის, ოღონდ ამას ჭკუა და გონიერება სჭირდება. სიტუაცია შენს სასარგებლოდ უნდა შეაბრუნო. როგორ – იკითხავთ. ისე, აბა რა ჯანდაბად გინდათ ეგ ჭკუა და განათლება, თქვე დიპლომიანო ჩერჩეტბო!

– ვინაა, ბიჭო, ეს გადარეული? მოაშორეთ აქედან, ცოდვა არ ჩამადენინოს! – წამოვარდა ფეხზე გურამი.

– დამშვიდდი, გურამ, დამშვიდდი. ნათქვამია, ზოგჯერ სულელისგან უფრო მეტ სიბრძნეს შეიძენ, ვიდრე ჭკვიანისგანო. ვაცადოთ, ჩამოათავებს და წავა. – გამოესარჩლა თემური.

– ჰო, ერთ ადგილზე დიდხანს ვერ ჩერდება. – ჩაუმატა ვახტანგმა.

– ისიც ნათქვამია, ვირისგან ნიხლი არ უნდა გენყინოსო, – დააყოლა ღიმილით თემურმა. – ვაცადოთ, ვნახოთ, კიდევ რა განძის პატრონია.

ანდაზის შინაარსს ელფეთერი არ ჩაღრმავებია, ან იქნებ წაუყრუა, და თემურს მიმართა: – გეტყობა, შენ ჭკვიანი კაცი ხარ, როგორ შეიძლება მოსაუბრეს სიტყვა შეანყვეტინო. – გურამს კი უთხრა, უკულტურობის ნიშანია ეგ ყმანვილოო.

გურამს კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, თანამეინახენი კი დუმდნენ და გაოცებით უყურებდნენ ელფეთერს. მანაც ხელი ჩაიქნია და სკამზე ჩამოესვენა.

– მადროვეთ, მე თქვენთვის ვშრომობ, თორემ ეს მე დიდი ხანია ვიცი, აქა მაქვს ჩაჭედილი, სამარეში ხომ არ წავიღებ? – და თავზე მოისვა ხელი. მერე ნითური თავი მოიქექა და რიხიანად განაგრძო, – თქვენ მე მოცლილი ხომ არ გგონივართ. ვერ ხედავთ, რამდენი ხალხია? იმათთანაც მისასვლელი ვარ, როგორი რთულიც არ უნდა იყოს, ყველა მდგომარეობიდან შეიძლება სარგებლის მიღება. ასე მასწავლიდნენ მე. აქაო და ქართველები ვართო, ტრაბახობთ. ჭკვიანები ვართო, სადაა მერე თქვენი ჭკუა, ვის უნახავთ? – იკითხა გამომწვევად და პატარა პაუზის შემდეგ თავადვე უპასუხა, – ჭიბს? როგორ ახერხებდნენ ამას ქართველთელაპიებით გარემოცული ჩვენი წინაპრები.

მერე დანანებით გადააქნია თავი:

– ეჰ, რა წინაპრები გვყავდა! თქვენსავით კი არ წუნუნებდნენ, თუ, დაეცემოდნენ, ისევ ახალი შემართებით წამოდგებოდნენ ხოლმე. წუთისოფელი დაცემა-აღდგომის მუდმივი პროცესია, – დასძინა ბრძნულად. – რაში იყო იცით საქმე, თქვე ჩერჩეტბო? ახლავე მოგახსენებთ.

როგორც ჩანს, მუხლმა შეანუხა ნამეტნავად. ფეხზე ხელი მოისვა, სკამი ააჭრაჭუნა, გაშეშებული

ფეხი ზარბაზნის ლულასავით დარბაზისკენ მიმართა და მოხერხებულად მოეწყო. თავდახრილმა მუხლზე ხელი ბრაზიანად დაიკრა და დანანებით ამოიხრია:

– ეჰ, რა ბიჭი ვიყავი.

მაღევე გამოერკვა, თავი ასწია და ისევ შემართებით შესძახა:

– რა დროს პირადულია, თუ გინდა ქვეყანამ წარმატებას მიაღწიოს, დაივიწყე პირადული და გადაეგე ქვეყანას. ბიჭო, – მიუბრუნდა ვახტანგს, – შენ ნაკითხი კაცი ხარ, გეტყობინებ, რა ერქვა ამერიკის იმ პრეზიდენტს, რომელმაც თქვა: იმაზე ნუკი იფიქრებ, რას გამოიკეთებს ჩემი ქვეყანა, არამედ იმაზე – მე რას გავუკეთებ ჩემს ქვეყანასო. დაახლოებით ასეა.

მერე ხელი ჩაიქნია:

– ჭკვიანი კაცის ნათქვამია, სახელს რა მნიშვნელობა აქვს. არც მე მაქვს მაგაზე ნაკლები ნათქვამი, მაგრამ იმას ვინ ჩაინერდა, – და ისევ მოულოდნელად გადაიხარხარა. – მართალი არ ვარ, ჩემო ჩერჩეტო და სულელო ადვოკატო?

– არა ვარ მე, ბიჭო, ადვოკატი.

ელფეთერმა ხელი ჩაიქნია:

– იურისტი ხომ ხარ! რა მნიშვნელობა აქვს, ყველანი ერთნაირი მექრთამეები ხართ. ხო, მთავარი არ დამავინყდეს. არ ვიცი, რით დავინყო, იმდენი სატიკივარია. ხო, ასეთ ლექციებში ლექტორები დიდ ფულს იღებენ, მაგრამ მე უფასოდ გემსახურებით, თქვენ კი იშმუშნებით. დამიჯერეთ, გამოგადგებათ! – თქვა დარწმუნებით. – რას ვამბობდი? ღმერთო, გამახსენე. მაინც რა ჯანდაბა ჩამარტყეს ნეტავ ამ თავში. ხო, ისევ პირადული. ეს გვლუპავს ქართველებს. იმდენი მაქვს თქვენთვის სათქმელი, მაგრამ სადაა ამდენი დრო. წინაპრებზე ვამბობდი და... – უცებ ფეხზე ისე უხერხულად წამოვარდა, კინაღამ მაგიდა გადააყირავა.

– როცა წინაპრებზე ვსაუბრობთ, – დაიწყო დინჯად და მოკრძალებით, – მათ ხსოვნას ფეხზე უნდა წამოვუდგეთ. მათ სხვა სული ჰქონდათ: თავგანწირვის დიდი უნარი და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული. ახლა აქეთ აბა სიყვარული? – განაგრძო დანანებით. – კისრისტებით, უკანმოუხედავად გარბიან ქვეყნიდან, სადაც კვამლი მაღალიო, მეც იმისი მაყაროო. რომ გარბიხარ, სად გარბიხარ? ვის უტოვებ მამა-პაპათა ძვლებს, რომლებიც მიწიდან შემოგცქერიან. რა დაგეკარგა იქ, უცხო მიწაზე, სადაც არავის უნდისხარ და ზიზღით შემოგცქერიან. სადაც შენი არაფერია – არც მინა, არც წყალი, სადაც წინაპრის სულიც ვერ სწვდება. ლუკმა როგორ გადაგდის ყელში. როგორ გძინავს მშვიდად. ვის უტოვებ მინას, რომელსაც ნანვიმარზე მამა-პაპათა სისხლის ოხშივარი ასდის. მინა, რომელიც შენი ხორციით და ძვლებით უნდა განოყიერდეს და საზრდო მისცეს შენს შთამომავლობას. ყველამ რომ დატოვოს, ხომ გაბერნდება მინა, სარეველა და ჯაგი მოედება. იქ შენ სულის სიმშვიდეს ვერასოდეს მოიპოვებ. და რა სიმდიდრეც უნდა მოიხვეჭო ბედნიერი ვერასოდეს გახდება. უძილობა, დარდი და ნაღველი მოგიღებს ბოლოს. ვერც ღრმა სიბერეს მიანევი, ვერც შენი მონახვეჭით დატკბები.

ელფეთერი ცოტა ხანს დაყოვნდა, თითქოს შეის-





ვენა, მერე ღრმად ამოიოხრა და ისევ სუფრის წევრებს მიუბრუნდა:

– ის სულგანათლებულები თქვენსავით საკუთარ ოჯახებში არ იკეტებოდნენ და არ წუნუნებდნენ, მუდამ შემართულნი იყვნენ. ზოგ ქვეყანას გადასაშენებლად მარტო თემურ-ლენგი ეყოფოდა, ჩვენ კი რვაჯერ მოვიგერიეთ და მის გარდა კიდევ სხვა რამდენი გვჯიჯგნიდა. თქვენ კიდევ წუნუნებთ, ველარ ვუმკლავდებით ფულით შემოსულ მტრებსო. ფულმა გაათახსირა და გარყვნა ქვეყანაო. ფული რაც არის მე, რომ ვიცი, ისე არც ერთმა თქვენგანმა არ იცის. ფულმა მიმიყვანა ამ მდგომარეობამდე. მერე წუნუნით, ქეიფით უშველით თავსა და ქვეყანას? ის ფული ასე უხვად რომ შემოდის, საკუთარი ჯიბეების დასასქელვლად და გასასკდომად კი არ უნდა მოიხმარო, არამედ ქვეყნის სასიკეთოდ. ვერც ერთი ფარული თუ აშკარა მტერი ვერ მოგჭამს ფეხებს, თუ იმ ფულს ერის გამრავლებისთვის გამოიყენებ. ერის უკვდავება ხომ მის სიმრავლეშია. რავე ტყუილია თუ, რაც შეგიძლიათ ის მაინც გააკეთეთ. ბოშები მაინც გააკეთეთ, თქვე შობელძაღვლებო. აქ მაინც ვინ გიშლით ხელს. – პირზე ხელი მიიფარა და ჩაიქირქილა. – მრავალშვილიანებს მაინც დაეხმარეთ, საქართველოს უკვდავების დგრიტას. ვერანაირი უკეთური ქართველთმოძულე ვერაფერს გვავენებს, თუ ერი გამრავლდება. წუნუნებთ, აქაოდა, საშუალება არ გვაქვსო. ჩვენს წინაპრებს ცხრა შვილი ძონძებგადაკრულ თივაში ეწვინათ სოხანეზე ერთი გადასაფარებლის ქვეშ და როგორ მამულშვილებს ზრდიდნენ? სამშობლოს სიყვარულით გულანთებულებს, რომლებსაც თვალის დაუხამხამებლად შეეძლოთ სამშობლოსათვის ყველაზე ძვირფასის, სიცოცხლის განირვა. ისინი ნაკლებ გაჭირვებაში იყვნენ? აქეთ მეფე, იქით ბატონი, რჩენა ხომ უნდოდათ მათ და თან გაუთავებელი ომები. არაფრის ეშინოდათ, იმიტომ, რომ ღმერთი უყვარდათ. მისი მფარველობის ქვეშ იყვნენ და კარგად იცოდნენ, რომ ადამიანის ცხოვრება მარტო ამ წუთისოფლით არ შემოიფარგლება. საუკუნო ცხოვრებისთვის დათმენაც შეეძლოთ და კიდევ ყველაზე მთავარი ღირსება მათთვის ის იყო, რომ ფულზე არ იყიდებოდნენ. თქენსავით, რომ მოქცეულიყვნენ, ერთი გოჯა მიწა არ იქნებოდა ქართული და რა ენაზე ისაუბრებდით ღმერთმა უწყის. ახლა კი ყველაფერს ყიდით, ფუფუნებაში გინდათ აცხოვროთ შვილები. გაანაზეთ, გაანაზეთ, აქნევინეთ უკანალი, რომელიც საწინდარი გახდა თანამდებობრივი წარმატების და სამარცხვინო კეთილდღეობის.

ელეფთერი ისევ შეეყვინდა, წამიერად ვახტანგს შეავლო მზერა და სულ სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი:

– გამასინჯეთ, ბიჭო, რა ღვინოს სვამთ, ეგ არის სტუმრის პატივისცემა? ერთი ჭიქა ღვინო არ გემეტებათ? – ელეფთერს ღვინო მიანოდეს. ცოტაოდენი მოსვა, მერე ხასიათგამოცვლილმა ნაღვლინად წარმოთქვა, – ჩემზე უბედური კაცი ქვეყანაზე არ დადის. ვლოცულობთ – პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღესო, მე კი ყოველი ლუკმა შხამად მერგება და შაგრენის ტყავით ყოველ წამს მოკლდება ჩემი

დღეები. ადამიანთა მოდგმა, ყოველი ცოცხალი არსება, საზრდოთი სიცოცხლეს იხანგრძლივებს, მე კი სიცოცხლეს ვიმოკლებ. სიცოცხლით ნეტარებენ, მე კი ტანჯვად მექცა. მეტის ღირსი ვარ. ადრე თუ გვიან ცოდვებზე ყველა აგებს პასუხს.

მერე მოულოდნელად ისე გადაიხარხარა, ტანში ურუანტელი დაგივილიდა:

– რას ვჩერჩეტობ, კაცო, რას ვბოდილობ, შერლოკ ჰოლმსო, – მიუბრუნდა ვახტანგს! – მაინც რა ჩამარტყეს თავში, შე სულელო და ჩერჩეტო, შენ გეცოდინება.

ღვინით სავსე ჭიქა ხელში უკანკალვდა და მაგიდაზე ეწვეთებოდა. სუფრის წევრებს არაამქვეყნიური თვალებით გახედა და ისევ თავის კანში შეძვრა.

– თქვე მცონარებო და ბოთეებო, გადაეცით თქვენს შვილებს, დროს ნუ კარგავენ, დროზე დაცოლშვილდნენ და გამრავლდნენ, თუ არა და გაქრება თქვენი სახსენებელი. ერთი რამ გახსოვდეთ, ოჯახის მართვამი ნურავის ჩარევთ, ოჯახი წმინდა, სუფთა და საკრალურია. ოჯახის სიძლიერე ქვეყნის სიძლიერის საწინდარია. დღეს გეყოფათ, სხვა დროსაც შეგხვდებით. ნავედი ახლა მე, უამრავი საქმე მაქვს და თქვენც ისეთი თვალებით მიყურებთ, თუ კიდევ გავაგრძელებ, აქედან კინისკვრით გამაგდებთ. ვერ ხედავთ, როგორი გაცეცხლებული მიყურებს ეს აყუდებული? – და თავისი ზღვასავით უძირო თვალები გურამს შეანათა, – ნასვლისას ერთს გეტყვით კიდევ. გახსოვდეთ, მდინარის გადალახვისას ფონი უნდა შეარჩიო, თორემ გაგიყოლებს... ასი წელი იცოცხლეთ. – მერე შეჰყვირა, – დისო, დისო, ავოიე! ნავედი ახლა მე, უამრავი ხალხი მელოდება! – სკამი ბრახუნით შეაცურა მაგიდის ქვეშ და კოჭლობით მიაშურა დარბაზს.

– ეს რა გვიქნა, კაცო, არ დაგვამხო თავზე ყველაფერი?! ისე, ჩემს ნაზრევთან ახლოს იყო, ხომ არ გვისმენდა ნეტავ? – წამოიწყო ცოტნემ.

– შენ, გადარჩენის მზა რეცეპტი არ მაქვსო. ამას კიდევ აქვს, – უპასუხა გიორგიმ.

– რა რეცეპტი?

– რა და გამრავლდითო, – გაიღიმა გიორგიმ.

– თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე ხალისი აღარ მაქვს აქ ჯდომის, – ჩაერთო საუბარში გურამი.

– რალაც-რალაცებს ურევდა მოციმციმე არით-მისავით, მაგრამ გნუსხავდა და გაიძულვდა გესმინა, – თქვა ისევ გიორგიმ.

– გავლენის ქვეშ მოქცევის დიდოსტატია და დიდი დამბოლებელი, – გააგრძელა ვახტანგმა, – საინტერესო პიროვნებაა, განსწავლულიც არის და წიგნიერიც. ისე კი, უზნეო კაცის წიგნიერება და განსწავლულობა საზოგადოებას დიდ თავის ტკივილად ექცევა ხოლმე.

– არა, კაცო, არა, – ვერ ისვენებდა გიორგი, – რა თვალები აქვს. ეგეთი სუფთა, კრიალა, სხივიანი და მომწუსხველი თვალები მე არ მინახავს. გრძნობ, რალაც ისე არ არის, მაგრამ რომ მოგანათებს თავის ზღვისფერ უძირო თვალებს, ფარ-ხმალს ყრი და ეჭვი გიქარწყლდება.

– ეჰ, შენ არ იცი, რამდენი დაუღუპავს მაგ თვალებს, ჩემო გიორგი, – ისევ აჰყვა საუბარში ვახტანგი.



– გვეყოფა, სადაცაა გათენდება. – თქვა ცოტენი და ფეხზე წამოდგა.

ყველანი წამოიშალნენ.

– ვახტანგ, თუ არ გერქარება და არ გეზარება, ფეხით გავუყვით გზას, თან მაგ კაცის შესახებ მიაბე, თავიდან ვერ ამომიგდია. ხან ბრძენკაცივით საუბრობს, ხან ჭკუანაკლულივით.

– კი, ბატონო, თანახმა ვარ, რამდენი ხანია ცისკარს არ შეგვებებოვარ. რიჟრაჟზე ბნელს რომ ნათელი შეეჭიდება და გაცრიცავს, არაამქვეყნიურ გალობას იწყებენ ჩიტები. ეს ჯადოსნური მელოდია ყველაფერს გავიწყებს და უსაშველოდ გინდება სიცოცხლე. საცოდავია ის კაცი, ვინც ერთხელ მაინც არ შესწრება ბუნების ამ საოცრებას. აბა, წავედით.

* * *

ლამის ბინდი საბოლოოდ გაჰყროდა მთის ფერდობებზე შეფენილ სოფელს და ტყისკენ გაძურწულიყო. მთიდან ამონვერილი მზის სხივები მოპირდაპირე მთის წვერს მიბჯენოდა, ნელ-ნელა ეშვებოდა და სოფელს ნათელში ხვევდა. გაღვიძებული სოფელი იშმუშნებოდა და ჩვეულ საქმიანობას შესდგომოდა. ისმოდა გლეხების გადაძახილ-გადმოძახილი, ქათმების კრიახი, ერთმანეთს გაჯიბრებული მამალების ყვილი, ინდაურების ლოყლოყი, გოჭების ჭყვიტინი და საქონლის ბლავილი. ნამძინარევი პირუტყვი ზანტად მიიზღაზნებოდა ორღობეში და ღობეებიდან გადმოშვერილი ტოტების ახლად გამოსულ ფოთლებს აუჩქარებლად ტკვირავდა.

– გაადგი ფეხი შე სამგლევე! ღობე რომ არ მოსპო, ბალახი ცოტაა?! – უჯავრდებოდა მოზარდი გაჯიუტებულ მოზვერს და სახრეს უღერებდა. ეჩქარებოდა სიჭაბუკეში ფეხმედგმულს, რაიონში იყო წასასვლელი.

ლუკა თავისი ცხვარ-ძროხით სოფელს გასცდა და რამდენიმე წუთის მერე, მთის წვერზე, მოვაკებულ ადგილას სოფლის ნახირს შეურია თავისი საქონელი. ნაზამთრალი პირუტყვი მაღიანად შეექცეოდა მწვანედ აბიბინებულ ლორთქო ბალახს. სიმწვანეში სხვადასხვა ფერის ღილებივით გაბნეულიყვნენ მინდვრის ყვავილები, რომელთა სილამაზემ და სურნელმა ფეხი შეუბოროკა და თვალი წაართვა ახალგაზრდას. გაზაფხულის სურნელით გაბრუებული მალევე გამოერკვა და თავქვე დაეშვა. სახლში შევარდა, სამოსი გამოიცვალა. გახურებულ გულზე ერთი ჭიქა წყალიც მიაყოლა, სარკეში თავი შეათვალიერა და აჩეჩილი, უხეში, ჯიუტი თმის შესწორებას შეეცადა, თმა კი არ ნებდებოდა. ბოლოს ხელი ჩაიქნია, სახლიდან გავარდა, მეზობლის ეზოს მიადგა და გადასძახა:

– ელეფთერ! ელეფთერ! გამოიხედე, ბიჭო.

ოსსართულიანი შუშაბანდიანი სახლის პირველი სართულის კარი გაიღო და თმანთურმა ბიჭმა გამოიხედა.

– გამოდი, გამოდი, საქმე მაქვს.

– გამომიჩნდა ესეც საქმიანი, რა ცეცხლი წაგეკიდა? – ჩაიბუზღუნა ელეფთერმა.

– მამაჩემმა, კირი და შაბამანი მომიტანე სადილობამდეო.

– სადილობამდეო? მერე რომ იყოს რა, მზე შეწყვეტს მზეობას თუ რა?

– ე, ბიჭო, შეწყვიტე ლაილაი. თუ დრო გაქვს, გამომყვი.

– მოითმინე ცოტა ხანს, შემოდი, პატარა წავიხემსოთ.

– აუ, ეს ვინ ყოფილა! გამოდი დროზე, ფული მაქვს ჯიბეზე, იქ წავიხემსოთ, ლუდსაც დაგაღვივინებ.

– ფული თორემ, შენც გეექნება მილიონი.

– არა ბიჭო და, ბაბუაშენი მილიონებმა დაასრჩო. ელეფთერმაც შეწყვიტა ენაშეობა და – კარგი, კარგი მოვდივარ, ორ წუთში მანდ ვარო, გასძახა.

ორღობეში გამოსულ ელეფთერს ლუკამ მეგობრულად უთავაზა თავში და სიცილით გაუყვნენ გზას.

რაიონულ ცენტრში რაიკომის შენობა თვალსაჩინო ადგილას იდგა. გზის მეორე მხარეს, მდინარის პირას კი ხელგაშვერილი ლენინის ძეგლი აღმართულიყო. ძეგლის კვარცხლბეკი და საფეხურები ვარდისფერი მარმარილოთი იყო მოპირკეთებული. ძეგლის დადგამ მდინარის კალაპოტი შეავიწროვა, მდინარემაც ვერ იგუა არტახები და ქალაქს დატბორვით ახსენებდა თავს. ქალაქელები გულისწყრომას გამოხატავდნენ, ამ უხეირო ადგილას ჩაკეცებული ძეგლის გამო. და არა მარტო გულისწყრომას, – წყალდიდობა აკლდა ჩვენს ქალაქს, ისე ხომ ყველაფერი დალაგებულიაო. ცალკე წყალდიდობა, ცალკე ქარხნიდან ამონაბოლქვი სულისშემხუთველი ცისარტყელას ფერებად გამშვენებული კვამლი. ბუზღუნი და გინება ცალკე რჩებოდა, ქალაქი კი თავის მშფოთვარე ცხოვრებას განაგრძობდა. ლენინს ხელი კომუნიზმისკენ ჰქონდა გაშვერილი. კომუნიზმის რა მოგახსენოთ, მაგრამ ავტოსადგურისა და ბაზრისკენ მიმავალ გზას ზუსტად აჩვენებდა. ეგეც საქმეაო, ტყუილად კი არ არის ამტრიკინებულიო, – ენაკვიმატობდნენ ზოგიერთნი.

ავტოსადგური და ბაზარი ერთმანეთს ემიჯნებოდა და მუდამ ხალხმრავლობა იყო. სოფლიდან ჩამოსულ გლეხებს თავიანთი საქონელი ადვილად შეჰქონდათ ბაზარში. მოივაჭრებდნენ, ოჯახისათვის საჭირო ნივთებს და პროდუქტს შეიძენდნენ და ავტობუსის მოლოდინში ავტოსადგურის ცენტრში უზარმაზარი კაკლის ძირში ათასი ჭორ-მართლის გარჩევით იქცევდნენ თავს. ელეფთერი და ლუკაც იქ ჩამომსხდარიყვნენ. ელეფთერმა სიგარეტის კოლოფი გახსნა, ერთი ღერი ამოიღო და ლუკას მიაწოდა. ლუკამ უარი უთხრა, ჯერ ადრეა ჩემთვისო. ელეფთერმა სიგარეტი ნეტარებით გააბოლა. ერთმანეთის მიყოლებით უშვებდა პირიდან რგოლებს და ცდილობდა ანთებულ სიგარეტზე ჩამოეცვა.

– ნამეტანი კარგი და სასიამოვნოა სიგარეტი ჭამის შემდეგ, – თქვა სტაჟიანი მწვევლივით.

– დაიკარგე აქედან, ლამის გაიგუდე და ახლაც ნეტარება?

– მალე მომბაძავ, აგერ ჩემი სიტყვა, თუ გინდა, დაგენაძლევები, – ნიშნის მოგებით თქვა ელეფთერმა.

– რას ამბობ, მამაჩემმა რომ დამინახოს, მიმანვავს ტუჩებზე.

– შენც ნუ დაანახვებ. ეჰ, რა უნდა გელაპარაკო, შენი სიამოვნებისთვის კაცმა არავის და არაფრის





წინაშე არ უნდა დაიხიოს. – ცხოვრებაგავლილი კაცივით თქვა ელეფთერმა.

- ვინ გაგანათლა ასე, შე უდღეურო?
- ბავშვი ხარ ჯერ, ბავშვი. რა გესმის.
- რავა ემგებოვი მელაპარაკები.

– გეყოფა, ნუ ბრაზობ, ნელან მითხარი, ვინ გაგანათლაო. ჩვენს სოფელში ყველაზე ლამაზი სახლი ვის აქვს? რა თვალეები გადმოკარკლე, ვის აქვს-მეთქი, გეკითხები!

- რა მნიშვნელობა აქვს, ვის აქვს.
- თუ იცი, მუშაობს სადმე? მაგის ხელში ბარი

და თოხი თუ დაგინახავს? არადა, ყველაზე კარგად ცხოვრობს, თუ გიფიქრია ამაზე? ეჰ, მართლა ბავშვი ხარ. არა – სწავლა, არა – გარჯა და ყველაზე კარგად ცხოვრობს. გინახავს, როგორი გოგოები გამოდიან მაგის სახლიდან? – კითხვებს კითხვებზე აყრიდა ელეფთერი.

გაოცებული და შეცბუნებული ლუკა ვერაფერს პასუხობდა. ნუთუ ეს ელეფთერია? ადრე ხმას ვერ ამოაღებინებდი...

– ხო, მართლა, – თითქოს რაღაც გაახსენდაო, – ქალებში თუ ყოფილხარ? – ეშმაკურად გაიკრიჭა ელეფთერი, – რას გადმოკარკლე თვალეები, ყოფილხარ?

– ახლა კი გეყოფა, უკვე ნამეტანი მოგდის, – დაიმორცხვა ლუკამ.

– ნუ განითლდი, ბიჭო, გოგოსავით. ცოტა ხანს მაცადე და მე გაგანათლებ მაგ საქმეში.

ლუკამ ისეთი გადაიხარხარა კინალამ სკმიდან გადმოვარდა.

– ცხვირსახოცი ხომ არ მოგცე, ბიჭო, ცრემლების მოსანმენდად?

– ისე, არ იქნებოდა ურიგო, რამდენი ხანია ასე გულიანად არ მიცინია. ბიჭო, რამ გადაგაკეთა, საიდან ასეთი სითამამე, შენ შარვალგამოხეული, ფეხშიშველა ელეფთერი არა ხარ? სხვა სული ხომ არ ჩაგისახლდა სხეულში და გადაგაკეთა?

– კაი, გეყოფა ხარხარი და მომისმინე, იმ კაცთან დავდივარ, პატარა დავალებებს ვასრულებ და მასაჩუქრებს. ცოტა ხანს მაცადე და ვნახოთ მერე, ვინ ივლის შარვალგამოხეული.

ელეფთერმა კაკლის ტოტზე შემომჯდარ, მომბებურებლად მოყრანტალე ყვავს გახედა.

– ამბაკოსავით არ გალობს, ბიჭო? ნეტავ ეს რაღა გასაჩენი იყო.

– დაავინყდათ, შენთვის რომ ეკითხათ, – ნაკბინა ლუკამ.

ელეფთერი აღარ გამოპასუხებია, ჟღალი ქოჩორი მოიქექა და აწრიალებული ფეხზე წამოდგა.

– უჰ, მართლა, სულ გამომივარდა თავიდან, კიდევ კარგი ახლა გამახსენდა, ბაზარში შევირბენ და ახლავე დავბრუნდები.

– რა გაგახსენდა ამისთანა? მეც გამოგყვები, აქ რა გავაკეთო.

– არა, შენ აქ დარჩი. თავმომწონე ახალგაზრდა კაცმა, რომლის შეხედვაზე გოგოებს ფეხი ერევათ, კირით და შაბანმით სად უნდა იარო? – გაიკრიჭა ისევ ელეფთერი.

– შენთვის ხომ ხეზე ეკიდებიან, – არ შეანია ლუკამ.

– არ მოინყინო, მალე მოვალ, ხუთ წუთში, – თქვა ელეფთერმა და სიგარეტი და ასანთი ლუკას დაუტოვა. – გააბოლე, გაერთე თუ გინდა, – და აჩქარებული ნაბიჯით ბაზრისკენ გასწავა.

გარშემო უამრავი ხალხი ირეოდა. ავტოსადგურის რადიო ავტობუსების განრიგს აცხადებდა. წინ სამოსშემოფლეთილი შუახნის კაცი აესვეტა, გაბურძენილი, ჭუჭყიანი თმა თვალეებზე ჩამოშლოდა და იკრიჭებოდა.

– ერთი მანეთი მომეცი, ბიძია, ერთი მანეთი. გეხვეწები, მომეცი და მერე ბევრ ფულს გამოვინებ.

– მერე, ბიძია, მერე, ახლა არ მცალია. – უპასუხა ელეფთერმა.

– დეიკარგე აქედან, რისი მომცემი ხარ, – ზურგი შეაქცია კაცმა და დაბრეცილი, უზომოდ დიდი, ლანჩაყრილი ფეხსაცმლის ტყაპუნით ავტოსადგურისკენ გაემართა. თან ხმამაღლა დიქტორს მიმსგავსებული ხმით გაიძახოდა, – გადის ავტობუსი ზესტაფონი-ტყლაპი, მიმავალო მგაზვრებო არ ჩამორჩეთ! – მერე დაბალ ხმაზე განაგრძო, – ტყლაპი-ტყლუპი, რა არის კაცო ეს ტყლაპი-ტყლუპი.

ელეფთერმა ფეხს აუჩქარა. ნელან ლუკასთან ერთად დახლებს შორის რომ მიდიოდნენ, დახლებზე დამხობილ, ნახევრად მიძინარე კაცს მოჰკრა თვალი, რომელსაც ჯიბიდან სანახევროდ ამოწვერილი საფულე მაცდუნებლად მოუჩინა. საფულე გონებაში ჩარჩა და არ ასვენებდა, იქითკენ მიიჩქაროდა. დახლებზე თავჩაქინდრულ კაცს გულიანად ეძინა და გვარიანად ხვრინავდა. ელეფთერი რამდენიმე მოვაჭრეს გასცდა და მიძინარეს მიუახლოვდა, მოუსვენარ თვალეებს აქეთ-იქით აცეცებდა. მერე ვითომ ფეხი რალაცას წამოჰკრა, მოვაჭრეებს შეენარცხა და წაქცევს გან თავის შესამაგრებლად მიძინარეს გადაემხო. ყველაფერი დამაჯერებლად და ოსტატურად გამოუვიდა.

– რას დაბოდილობ! ახალგაზრდა კაცმა სიარული არ იცი? მთვრალი ხომ არ ხარ? – წაეფოფრა ვაშლებით მოვაჭრე გლეხი.

– ბოდიში, ბიძია, ფეხი წამოვკარი.

– შეეშვი მაგ ბავშვს, რა დროს მაგის სიმთვრალეა. ფეხი შეიძლება ყველას დაუცდეს, – გამოეხარჩლა თმანაკრული მწვანილით მოვაჭრე ახალგაზრდა მომხიბვლელი ქალი. ელეფთერმა აჩქარებული ნაბიჯით დატოვა ბაზარი. გული გამალებით უცემდა. ეგონა, ყველა მას უცქერდა. ეგონა, რომ ყველამ ყველაფერი დაინახა და აგერ-აგერ წვდებოდნენ ქეჩოში. ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა და თავს იმშვიდებდა:

– გეყოფა, ყველაფერი დამთავრდა. მთავარია სიმშვიდე. ყველაფერი კარგადაა, მზე ისევ ანათებს, არც ქვეყანა დაქცეულა. ესეც შენი პირველი საქმეო. მერე ტურტილიანი ტუალეტის კარი წიხლით შეალო, საფულე ჯიბიდან ამოიღო, ფული გადათვალა, ჯიბეში ჩაიღო და საფულე სანაგვეში მოისროლა. ასი მანეთი მოზარდისთვის არცთუ ისე ურიგო თანხა იყო. ეს ერთი და სხვა მრვალი. ვაჩვენებ მაგათ, როგორ უნდა ცხოვრებო, – ჩაილაპარაკა, მორყეული ონკანიდან მონანკარე წყალი სახეზე შეისხა და გარეთ გამოვიდა.



კაკლის ხე შესანიშნავი საჩრდილობელი იყო გაზაფხულის მწველი მზის სხივებისგან დასაცავად. უცნაური ყვავილობა იცის კაკალმა, მწვანე მუხლუხები გირლანდებივით ჩამოშვებულიყვნენ და ხის ძირშიც უხვად მოფენილიყვნენ. აურებელი მწერი შესეოდა ხეს – ბუზები, ბზიკები, ფუტკრები. ერთი ის გამაგებინა, კაკლიდან რა ნექტარი უნდა ამოწოვოს ფუტკარმა, – გაიფიქრა ლუკამ.

– ხომ არ ჩამოგეძინა, ბიჭო! – ფიქრებიდან გამოიყვანა ელეფთერმა.

ლუკა ფეხზე წამოვარდა, უნდოდა ორიოდ მკვახე სიტყვა ეთქვა, მაგრამ გაოცებულმა და დამფრთხალმა ძლივს ამოღერდა:

– რას გავხარ, შე საცოდავო, რა ცეცხლი გიკიდია, გავარვარებულ ნათურასავით ანათებ. ცუდად ხომ არ ხარ? დასიცხული ხარ მგონი.

ელეფთერმა ზეცას ახედა, სახეზე ხელი მოისვა და ნაძალადევი გულგრილობით გაჟეჟილად უპასუხა:

– გეჩვენება რაღაც. – გულში კი გაიფიქრა, არცთუ ისე ადვილი ყოფილა შენიღბვაო.

– არაფერი არ მეჩვენება. სად დაიკარგე? გამოფხიზლდი, მოდი საჩვენოზე. სახლში რომ ვართ წასასვლელი დაგავიწყდა? – მერე შეცბუნებულმა გააგრძელა, – არა, არა, მართლა რაღაც გჭირს, რეტიანივით იყურები, რამე რომ დაგემართოს, შენები არ მაცოცხლებენ.

– ბიჭო, რას გადაგიკიდე, – ელეფთერს ხმაში სიბრაზე შეერია, – ჩემ მეტს ვერავის ხედავ? ანდა რა ჯანდაბა გინდა სახლში, სად გაგეცევა, – მერე ძალად ღიმღიმორგებულმა, თითქოს გამხიარულებულმა უთხრა, – მოდი, რაც იქნება იქნება, კინოში წავიდეთ. რამდენი ხანია, ახალი ფილმი არ გვინახავს. როდის ჩამოვალთ კიდე აქ, კაცმა არ იცის. ცოტა გავერთოთ. არ მოგწყინდა ძროხების დევნა? კარგი ფილმი გადისო, წელან მოგვკარი ყური. – მოიტყუა. – შეხედე აფიშას, რა აწერია: „ეს არის, შემოილი, შემოილი, შემოილი მსოფლიო“.

– აბა, კაიზე რას დაპატიჟებ კაცს? – უპასუხა შეფიქრიანებულმა ლუკამ. მერე თავი გადაიქნია, გამოერკვა, შეფუცხუნდა, – რას ამბობ, ბიჭო, მამაჩემს რა გადაურჩება, ვენახი მაქვს შესანამლი.

– შენ, რა, მეძროხე, თვალეში ვერ იხედები?! – დაცინვით თქვა ელეფთერმა. – შეხედე, შავი ღრუბლები როგორ მოიზღაზნებიან, ნახევარ საათში აქ ისეთი თავსხმა წამოვა, დედა შეილს არ აიყვანს, და თუ ყვირილამაც შემოუტია, ლენინის მხრიდან, არც ჩვენ დაგვადგება ხერი.

ლუკამ ცას ახედა, მართლაც რა შეუმჩნევლად წამოპარულიყო საავდრო ღრუბელი. მაცდუნებელმა აზრმა შეაფორიაქა, აღარც კი ახსოვდა ბოლოს როდის იყო კინოში. სათაურმაც გაუმძაფრა ინტერესი, ამოიხვნეშა, თავი მოიქექა და ამოღერდა:

– ეჰ, ჯანდაბას შენი თავი, წავიდეთ.

სულ რამდენიმე ნაბიჯი ჰქონდათ გადაგმული,

რომ ელეფთერი ისევ შეჩერდა:

– ლუკა! ერთი წუთით კიდეც უნდა დამელოდო, მხოლოდ ერთი წუთით, გამიგე?

ლუკას ბრაზი წაეკიდა სახეზე.

– რა დაკარგე ამნაირი ბაზარში! შენ მგონი ხუმრობის ხასიათზე ხარ, ვერ გავიგე, რას მეთამაშები. ჯერ სულ არ მოდიოდი, ახლა კი აქაურობას ვერ შორდები. წადი, ძმაო, სადაც გინდა, არც შენი კინო მინდა და არც სხვა რამე. წადი! – ზურგი შეაქცია და ცარიელი სიგარეტის კოლოფს მთელი ძალით წაჭკრა ფეხი. მერე მისვე შემობრუნდა, კიდეც უნდოდა ორიოდ მწარე სიტყვა მიეხალა, მაგრამ ელეფთერის სახემ გაახევა, შეცბა. ელეფთერს სახე აღდგომის კვერცხივით უღვიოდა. შეებრაღა, დაუყვავა, შერცხვა თავის სიფიცხის და მორიდებით ჰკითხა, – დაგავიწყდა რამე?

– ხო, დამავიწყდა. ერთი ნაცნობი შემხვდა და რაღაც უნდა დავაბარო. ბაზარში შევირბენ.

– რაღაცას მატყუებ. ასეთი რა დაკარგე, ადრე ბაზარში თოფით ვერ შეგადგებდა კაცი, – შემრიგებლურად თქვა ლუკამ.

– ერთი წუთით, მხოლოდ ერთი წუთით, – შეევედრა ელეფთერი, გატრიალდა და ბაზრისკენ გაიქცა.

– რაღაც ჭირს ამ უბედურს, – გაიფიქრა ლუკამ. ელეფთერს დიდხანს არ დასჭირვებია ძებნა. ის გაბურძენილი მათხოვარი მალაზიის წინ ჩრდილში მოკალათებულიყო და რაღაცას ლოღნიდა.

– ბიძია, წელან ფული მთხოვე, არ მქონდა, ახლა მამაჩემმა მომცა. აა, შენ ათი მანეთი, დღეს გეყოფა ალბათ.

გაოცებულმა მათხოვარმა თავი ასწია, ჯერ ელეფთერს შეაცქერდა თვალეში, მერე ფულს დახედა, აბურძენული თმა ჭუჭყიანი ხელებით გადაინია, ფეხზე წამოდგა და საბრალობელი ხმით ჰკითხა:


– მამაშენმა მოგცა? – დაჟინებით, თვალდაუხამხამებლად მიაშტერდა, – არ მინდა ბიძია ეგ ფული, ისევ მამაშენს მიუტანე. ფული არაფერში მარგია, ყველაფერი მაქვს, ყველაფერი: სამყარო, ქვეყანა, ჩემზე დიდი სახლი ამქვეყნად არავის აქვს. ესაა ჩემი სახლი, რასაც ხედავ. რად მინდა ფული? წადი, წადი, მამაშენს მიუტანე! – გახევებულ ელეფთერს მხარზე ხელი შემოჰკრა და ნაღვლიანი ხმით უთხრა, – გახსოვდეს, არავის მონობაა საპატიო ერთის გარდა, – და ზეცას გახედა, – მითუმეტეს ფულის. მოერიდე, მრავალი მინახავს მაგისგან დალუპული და სანაგვეზე მოფართხალე.

მეტი არაფერი უთქვამს, შებრუნდა და მალაზიისკენ წაფრატუნდა. მერე კართან ახლოს ჩაიმუხლა, მოხერხებულად ჩამოჯდა, კედელს ზურგით მიეყრდნო და ლოღნა გააგრძელა, თან ბუტბუტებდა:

– ტყლაპი-ტყლუპი, ტყლაპი-ტყლუპი.

(ბაბრქალაბა შიგვანო ნოქარაძე)





შოთა კობიაშვილი



შენს სიყვარულს შემაფარე

იბერია, – ფართო მხრებით,
 ამერია... იმერია...
 საქართველო, – გადაშლილი,
 ხობისფრთება ფრინველია,
 ხობობივით ლამაზია,
 თვალწარმტაცად მოელვარე,
 მოკისკასე, უფრო მეტად,
 როგორც მზე და
 როგორც მთვარე.
 ღვთის სალოცავს შეგავედრებ,
 შენს სიყვარულს შემაფარე.

აგვისტო, 2018

* * *

ნ...ს

მე ყველგან ნავმლი
 ჩემს ზედმეტ სიტყვებს,
 მე მწუხარების
 უფლებაც არ მაქვს,
 მაგრამ... რა იყო
 გულწრფელი ფიცი,
 ფიცი, რომელიც –
 ტვირთად, თან დამაქვს.
 მითხარ, სად გაქრა
 ის ანდამატი –
 შენც რომ მაღავედი,
 მეც რომ ვმაღავედი,
 სად გადაქანდა
 გრძნობის ლალატი,
 სად გაათია
 ღამე კარავთან?
 შენ იცი, ალბათ, –
 მე, ეგ, არ ვიცი,
 ბედმა საიდან
 მომიღო ბოლო.



მე სევდის მძაფრი
 ტალღა მოვისხი,
 ვხედავ, ამ სევდით
 უნდა ჩამქოლო.
 ის გაზაფხული
 ან, აღარ მოვა,
 ის – მოგრიალე
 წლებმა წაიღეს,
 ისე დამთეთქვეს
 ძღვევით ტალღებმა,
 ველარ ამოვთქვი
 ერთი, – „ვაიმე“...
 მე, სად ვენამე, –
 ვერვინ გაიგო,
 იყო დუმილი
 და სიმძიმე...
 გაუსაძლისი
 იყო სიჩუმე...
 და... გაბზარული
 კრთოდა ღიმილი...

3-5 სექტემბერი, 2018

* * *

ჩემში არ განიყოფება:
 სიტყვის და საქმის ქმნადობა, –
 თვალმარგალიტის ფასი აქვს –
 მეგობრის გულის განდობას.

რადგან, – არსებობს უღირსის
 შემკობის ღირსად არცნობა, –
 არ მიმანჩია სამყარო
 შეუცნობელის ანცობად.

ჩემში ელვარებს ღვთის შიში,
 ღირსება, ჩამომავლობა,
 ჩემთვის სულ ერთი არ არის,
 რას იტყვის შთამომავლობა.

აგვისტო, 2018.

* * *

თქვენ უფრო ცისფერ
ლაჟვარდს ჰგავხართ,
უფრო ცისიერს,
ველტვოდი მზეს და...
სხივებსაც კი
ვერ დავენიე.

აგვისტო, 2018

* * *

ბედნიერია, განა საბრალო,
სიყვარულის გზით ვინც მიიცვალა,
ჭეშმარიტია, არ – სავალალო –
უსიყვარულოდ რაა ცხოვრება?

აგვისტო, 2018

ლეილა თარაღაშვილს

ლექსი უკვდავებაა,
ლექსი შენი ფრთებია,
ასეთ სათუთ არსებას
რამდენი შეგძლება?!

პირველ ყოვლის, სიტყვასთან
შეჭიდების გაბედვა,
გაფრენილი რითმების
მორჯულება, გახედვანა,

აზრის, ფიქრის, ვნებების
სტრიქონებად ჩაგრება,

დედურ სულისკვეთებით
ჯიქურ შემოძახება.

ვაზის ზვრების მინდიავ,
ეღარები აგუნას;
მტერი ჩეხდა ქართულ ვაზს
და ვერ გაანადგურა.

ვიდრე, – შენისთანები
ვაზის ძირებს უვლიან,
მასთან ერთად მღერიან, –
დედობრივი ფიქრი აქვთ,

ვიდრე, – ქართველ ქალებს აქვთ –
ერთგულება აზრისა,
წმინდა სულიერებით
გრძნობენ ცრემლებს ვაზისას,

ესმით მისი სიტყვები,
ტკივილი თუ, სიმღერა, –
ქვეყნად, მარადიული,
სიყვარული იქნება.

ვაზის მოქნილ ლერწებში
ჩანწული გაქვს ლექსები,
ვაზი გეიმედება,
ვაზს შენ ეიმედები.

არა, არ ამოშრება –
ქვეყანაში ქვევრები –
არ ამოიძირკვება
ქართლოსიანთ ფესვები.

ივლისი, 2014



თოჯინები,
ავტორი ნუნუ ბერია





ლალი ფრუიქა

ღედის მონატრება

ეგ ლამაზი ღარები:
შუბლზე, ყელზე, სახეზე,
ღია გულის კარები,
შენკენ მიწვევს, მაქეზებს...

ეგ ლამაზი ღარები,
საფეთქლებთან ტალები,
სითბო შეუღარები,
შენკენ მიწვევს, მაქეზებს...

ემაგ ტკბილი ხელები,
მუდამ მოსაფერები,
ისევ თავგახელებით,
შენკენ მიწვევს, მაქეზებს...

ეგ ლამაზი ღარები:
შუბლზე, ყელზე, სახეზე,
ღია გულის კარები,
დედი, შენკენ მაქეზებს...

ახლა ნოემბერია

ჩემმა დიდმა ბებიამ,
კეცზე მჭადი დაჯვარა,
იმ ჯვრით მეგებებიან,
გურია და აჭარა...

ეს ყვითელი მინდვრები,
ბევრჯერ გამითელია,
ახლა ყვითლად ბინდდება,
შავი ზღვაც ყვითელია...

ახლა ნოემბერია,
ფეთქავს სისხლი — მაჭარი,
და ფოთლებიც მღერიან,
მოხიბლულნი აჭარით!..



ლექსუმის მონატრება

დგას ლექსუმელი გლეხკაცი,
ბორცვზე შეკიდულ ბაღჩაში,
უბოძებია მზეს რაც კი,
ინახავს გულის თახჩაში,
არ გააბრაზოთ თუ არა,
თავსაც დაიხრჩობს რაჩხაში.

იქით გელავერს შემსკდარი,
მღვრიე ცხენისწყლის აზაძი,
ისე შეჭრილა, შემცბარა
დიდი მთა, ერთობ ზარმაცი
ზედ სამი ციხე შემსხდარა,
ცას დაუნყია ბარბაცი...

აქეთ, რიონის ხედები,
რა სერების და რა ქალის...
საითაც გაიხედები,
გიპყრობს სიტურფე ლაჯანის,
ორბელ-ალპანის ხედები,
რა ღონისა და რა ჯანის...

ახანძრებულა ატმები,
ეალერსება ქარს შქერი...
დაგოგმანებენ კაკები,
ცხრაჯერ ეცვლება ცას ფერი...
აქ ძირმნარეც კი დატკებება,
ისე ტკბილია ნასპერი!..

ლამაზი არის ზაფხულში,
ვარდ-ყვავილებით ნაფერი,
ლამაზი არის ქარ-ბუქში,
თოვლის ფიფქებით ნამქერი,
ვით პატარძალი კარკუჩში,
ლამაზი არის ცაგერი...

...არ გააბრაზოთ, თუ არა,
თავსაც დაიხრჩობს რაჩხაში...

დაგვიბრუნდით!

თქვენზე ფიქრი კარგებო,
ზოგჯერ ცრემლებს მადენს,
თქვენი ხმები აღვიძებს;
სტამბულს, რომს და ათენს.

აქეთ, ერთვის ცრემლები
ტეხურსა და იორს,
მაქეთ, ავსებთ ხმაურით
კვებეკს, ნიუ-იორკს.

მინც ვერსად იხილავთ,
ასეთ ცას და მდელს,
დაგვიბრუნდით ქართველნო,
გელით საქართველოში!..

ზამთრის მელანქოლია

გამოხამდა მთვარეო,
კარზე მოდგა ზამთარი,
აერევა ბარეორს
დავთარი...

შაშვი ჩათბა სუროში,
სევდით და სანუხარით,
მო ჩავინთოთ სულელებში
ბუხარი...

მწარე სინამდვილე

სიყვარული თუ არ იცის კაცმა,
ყოველი დღე არის მცირე ჯვარცმა!..

თუ არ იცის რამინი და ვისი,
არაფერი არ გინდოდეს მისი;

რომეოს და ჯულიეტას მითი,
თუ ჰგონია სალოკავი თითი;

თუ დანტეს და ბეატრიჩეს ქროლვას,
ურჩევნია მუცლის ამოყორვა;

ვით აგავსებს, ბრიყვი ბედოვლათი,
ეგრე ძალლიც, ძალლობს, როგორც ხვადი...

და დალლილი, ჯანსაღსა თუ სნეულს,
ლუკმასავით გადაუგდებ სხეულს...

რადგან გქვია ქალი ანუ ცოლი,
დასჯილი ხარ უარაფრო წოლით...

სიყვარული თუ არ იცის კაცმა,
ყოველი დღე არის მცირე ჯვარცმა!..

როგორ მომესურვილები

მთებო ოქროცურვილებო,
შემოდგომავე ასფერო,
როგორ მომესურვილები,
ჩემო ტკბილო ნასპერო.

ჩემო რაჩხავ, შე გიჟმაჟო,
ჰგავხარ გრძნეულ დირიჟორს,
ნიბლია და ჩიტი ლაჟო,
შენ გნატრულობს ღვირიშო.

მუხა ყვითელ ფოთლებს გეჩუქნის
და ნისლებთან მზე ჩხუბობს,
მომანათე შენი შუქი,
მშობლიური ლეჩხუმო!..

ჩემთვის, შენ ხარ დედამინის,
სიცისფრე და ცხრა სფერო,
შენი ტრფობით გული ინვის,
ჩემო ტკბილო ნასპერო!..

სურვილი

მინდოდა: ლექსი მენერა,
გამოხამებულ დავთარში,
ზაფხულში — მზე მომენველა, —
ზარმაცი მთვარე — ზამთარში...

მინდოდა: ბალი მეხილა, —
ხეები რტოგაშლილები,
სამშობლოს გულზე ხეხილად,
დამერგო ბევრი შვილები...

მინდოდა, როგორ მინდოდა,
იმ სიყვარულზე მენერა,
შეგფეთებოდა მინდორთან,
შენ გეცნო ჩემი ხელნერა...

უმთავრესი...

შენ ისეთი ფაქიზი ხარ,
შენ ისეთი სათუთი ხარ,
ია ხარ და ნარგიზი ხარ,
უმთავრესი საბუთი ხარ...

მოკვდავების იმედო და მშვენებავე,
ციდან მეცხრედ ჩამორეკეს ზარებმა,
არაფერი ტკივილს არ ეშველება,
თუკი გული ერთხელ გაიბზარება...

შენ ისეთი ფაქიზი ხარ,
შენ ისეთი სათუთი ხარ,
ია ხარ და ნარგიზი ხარ,
უმთავრესი საბუთი ხარ,
გულო!..





ლანა მანველი

პირობა

სტრასსურბელეები

Madeleine et Adrien

მადლენი, ცალ ყავარჯენზე დაყრდნობილი, სვენებ-სვენებით ჩაუყვავა კიბის საფეხურებს. რამდენჯერმე შეჩერდა და დაძარღვულ-დაბერებული ხელით მოეჭიდა მოაჯირს. ილიმებოდა. უცნაური იყო ეს ღიმილი.

ხეებიდან ჩამოცვივნილ ფოთლებს გადაეცსოთ ეზო.

– ჯიუტი ბიჭი! – მოხუცი გულში შვილს უბრაზდებოდა, უფრო კი, დარდობდა. ოქტომბრის ცივ დღეებს მზე ვეღარ ათბობდა. მან კი დაიჟინა:

– ცოტა მოვძლიერდე, ავდგები, ვიბანავებ და თბილი საბანი მამინ დამაფარეო!..

სიჯიუტეში დედას დამსგავსებოდა. განა მადლენი არ იყო ფეხმოტეხილი ექიმთან რომ არ წავიდა, შინაურულად იმკურნალა, ძვლები ცუდად შეუხორცდა და კიდურიც დაუმოკლდა?!

სინანულის მაგვარმა გაჰკრა და ყავარჯენით ფოთლების მოგროვება დაიწყო.

– ეს დღეები სულ ვეღარ დგება... გონებით ისევ ადრიანთან იყო. წელან ძლივს შეაჭამა წვნიანში დამბალი ბაგეტის ყუა. ბოლო ლუკმა თითქოს პირში დარჩა გადაუყლაპავი. გამხდარ სხეულზე თხელი პლედი გულმოდგინედ ამოუკეცა და თავისებურად, უხმოდ მიეფერა შვილს, რომელსაც მთელი ცხოვრება „ბიჭს“ ეძახდა.

– თებერვალში 66-ის გახდება... გახდება კი? – შიშით გააჟრჟოლა და უსიამოვნო ფიქრების გაქრობას შეეცადა.

ადრიანს თვალები მიელულა. სუსტად სუნთქავდა. ასევე სუსტად ისმოდა ოთახიდან გამოსული მადლენის ჯოხის კაკუნიც...

მოიხარა, შეგროვებული ფოთლებიდან ერთი გამოარჩია, ხელისგულზე დაიდო, მიეფერა და წინსაფრის ჯიბეში ჩაიდო. მერე ფეხები ფოთლების გორაში შეაცურა, ყავარჯენს ორივე ხელით დაეყრდნო და ზედ დალეული ნიკაპი ჩამოდო. ტუჩები ბებრულად მოენკურა და აჩურჩულდა: – ჯერ მე, ჯერ მე... ტირილი უნდოდა, მაგრამ ვერ შეძლო. კვნესის მაგვარი ხმა ამოუვარდა მკერდიდან. ისევ უცნაური ღიმი-

ლი... დაილალა. ქვის გალავანთან მიჩოჩდა და ზურგი მიაყრდნო. გაბრუებული იდგა ერთხანს. მზის სხივებით განათებულმა წითელ-ყვითელმა ფოთლებმა თვალები აუჭრელა. უცებ ნაბარბაცდა. მისი მჩატე სხეული უხმაუროდ დაეფინა ფოთლებზე...

ელზასურმა შემოდგომამ ჩაიხუტა მადლენი...

სანახევროდ დარაბებდახურულ, თამბაქოს სუნით გაჯერებულ ოთახში კვდებოდა ადრიანიც...

Nicole

ნიკოლმა დილიდანვე სად არ ეძება პატარა, ლამაზი გოგრა. ჯერ უბნის „კარფურში“ შეიარა. იქ, ერთი ც ვერ ნახა. „ნორმაშიც“ ალარ დარჩენილიყო. იძულებული გახდა ბაზრობაზე მოექებნა, სადაც დიდად არ უყვარდა სიარული. ხალხმრავლობას ერიდებოდა. ბავშვობიდანვე ასე მიეჩვია. მის გარემოცვაში იშვიათად ტრიალებდა ორ ადამიანზე მეტი. თავიდან ეს არ იყო მისი არჩევანი, მაგრამ შემდეგ... დილაუთენია ადგომაც როგორ არ უყვარდა...

თურქების დახლებს სწრაფად ჩაუარა, ისინი მოზრდილ გოგრებს ყიდიდნენ. რამდენიმე დახლზე, ნაჭრებად დაჭრილებსაც მოჰკრა თვალი. როგორც იქნა ბოსტნეულის მოზრდილ კალათებს შორის მიაგნო. შეფუთვის გარეშე წამოიღო. ცდილობდა ბაზრიდან რაც შეიძლება მალე გამოსულიყო.

კარის გაღებამდე ცალი ბოტასი გაიძრო და გოგრა ასკინკილით მიიტანა მოლბერტთან. იქვე, დაუსრულებელ ნამუშევარს შეავლო თვალი და მზრუნველი ტონით გაესაუბრა: „Ma Chérie – ძვირფასო ვივიენ, ცოტაც დამელოდე, ჯერ უნდა წავუძინო!“ ასე ხტუნვა-ხტუნვით გაიძრო ჯემპრი, მერე ცალ ფეხზე შერჩენილი ბოტასიც მოისროლა. ხელები დაიბანა. სახე, ნასვლამდე დალეული, უმაქრო გვირგვინის ნაყენის ნარჩენში დასველებული ზამბით გაინმინდა და აულაგებელ ლოგინში შეწვა. თავი საბანში ჩამალა, მოხრილ მუხლებს გაყინული ხელები შემოაჭდო და დაძინება სცადა. ძილ-ღვიძილში გაიარა ორმა საათმა და მობილურმაც ადგომის დრო ამცნო. ლოგინი გაანიავა, გაასწორა და „ვივიენტან“



მივიდა. ნითურ ხშირ თმაზე, შავი ვარდი მიახატა. შავ, სალამოს კაბის გულზე ჯვარედინად გადაუტარა ბრეტელები. ტუჩებზე ხასხასა წითელი საღებავი წაუსვა. ტუჩის ზევით კი, პატარა შავი წერტილი, ისეთივე, როგორც თავად ჰქონდა. ხერხემალი დაელაღა, გაიჭიმა და მექბუქი ჩართო.

– ნიკოლ, როგორც იქნა გიპოვე, ელზა ვარ. კარგად მინდა რომ იყო... მეშინია მარტოობის, არავინ მკითხულობს... მკვდარს ვინ წამიკითხავს ფსალმუნს გავიგებ??? მენატრებით.

ახლად მოსული შეტყობინება რამდენჯერმე წამიკითხა. წერილს დეიდამისი სწერდა, ლიონიდან. მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრებაში მხოლოდ ორჯერ ჰყავდა ნანახი, მაშინვე მიხვდა ვინც იყო. გაუკვირდა და ეტკინა. ის წლები გაახსენდა, სკოლიდან მომავალი სულმეგობრული რომ არბოდა სახლის კიბეზე, იქნებ კარში მდგომმა დედამ, დეიდის ჩამოსვლა მახაროსო. პირველად რომ ნახა, მაშინ ხუთიოდე წლის იქნებოდა ნიკოლი. ერთ ზაფხულს მათთან ჩამოვიდა სტუმრად. მთელი დღე ბრუნოს ეთამაშებოდა. მისთვის ზედაც არ შეუხედავს. გოგონა ჯერ აღფრთოვანებული ადევნებდა თვალს მათ მხიარულებას, ელოდა როდის ჩართავდნენ თამაშში. უშედეგოდ. ბოლოს თავი დაანება და დედის მოლოდინში, მოწყენილი დაჯდა ფანჯარასთან. ძმის მხიარულება და დეიდის სიცილი გულზე ტკივილებს უჩენდა. ფიქრებში გართული ელზას შეხებამ გამოაფხიზლა, რომელმაც ტუჩებზე წითელი, ხასხასა პომადა წაუსვა, თვალბეჭე კი შავი კონტურები მიახატა. ნიკოლს თვალეები აუნწყლიანდა და უხმოდ მიტრიალდა ფანჯრისკენ. დეიდამ ისევე ბრუნოსთან განაგრძო თამაში.

მეორედ უკვე ლიონში შეხვდა, დედასთან ერთად პაპის გარდაცვალების გამო რომ ჩავიდა. ნიკოლს, უნივერსიტეტი ახალი დამთავრებული ჰქონდა. ელზას არც მაშინ მიუტყვევია მისთვის ყურადღება, მხოლოდ ლოცვანი ჩამოართვა და კითხვა გააგრძელა. ეს იყო და ეს...

ნიკოლი დასევდიანდა. მოიბუზა. ენის ქვეშ დამამშვიდებელი წამლის ბურთულები ჩაიყარა და თვალბეჭე მომდგარ ცრემლებს გაუძალიანდა. მწვანეთვალე ვივიენიც მოწყენილი ჩანდა. ადგა და თავისი ცრემლები მას მიახატა, ლოყებზე შავ ხაზებად გადმოდენილი. მხრებში ოდნავ მოხრილს, ნიკაპი ერთმანეთზე გადაჭდობილ თითებზე ჩამოეყრდნო და გაბუტული უყურებდა ნიკოლს. ახალგაზრდა ქალმა საღებავიანი ხელი მიუახლოვა და ნითურ თმაზე შეუხებლად მოეფერა...

დიდხანს იჯდა გარინდებული. შებნელებულზე კი, შავი კაბა ჩაიცვა, ტუჩები წითლად შეიღება, ნითურ თმაზე შავი, წვეტიანი ქუდი დაიხურა, თვალეები ვივიენის მსგავსად მოიხატა, კათედრალის კუთხეში მჯდომი ნაცნობი მათხოვრისთვის გოგრა წაიღო და ღამის სტრასბურგში ჰალოვინისთვის გამონყობილ ათასგვარ ნიღბიანს შეერია.

Odile

ოდელმა მანქანის კარი მთელი ძალით მიაჯახუნა და ცრემლით დაბინდული თვალეებით პირველივე შემხვედრ ავტობუსში ავიდა. ხელეები უკანკალეებდა. სამგზავრო ბარათის ამოღება ვერ მოახერხა და ჩან-

თა რამდენჯერმე მიაღო ელექტრო ეკრანს იმ მხრიდან, სადაც საბუთი ეგულეობდა. მესამე ცდაზე გადახდა დაფიქსირდა. ირგვლივ ხალვათობა იგრძნობოდა. დაჯდა. მის გულს ბაგაბუგი გაუდიოდა. სახე უხურდა.

– მორჩა! აღარასოდეს შევხვდები გიომს! – ფანჯრისკენ მიტრიალდა და თვალეები დახუჭა. გონს მაშინ მოეგო, როდესაც Schiltigheim¹-ში ამოჰყო თავი. ავტობუსიდან ჩამოსული, გზის მოპირდაპირე მხარეს გადავიდა და სტრასბურგში დასაბრუნებელ ტრანსპორტს დაელოდა.

lace des Halles²-თან ჩამოვიდა. სავაჭრო ცენტრის უკანა მხარის გრძელი კიბეები სწრაფად აირბინა. ერთმანეთის გვერდიგვერდ ჩამწკრივებული მაღაზიების ვიტრინებს თვალი ზერელედ შეავლო და კაფეში შევიდა. ტორტის მოზრდილი ნაჭერი შეუკვეთა. დიდხანს ედო ხელმეუხებლად. გონებაში უწყვეტად იმეორებდა: უნდა შევეჩვიო უშენობას, უნდა შევეჩვიო უშენობას, უნდა შევეჩვიო უშენობას...

– გიყვარს ნამცხვრები? – პატარა გოგონას დაუხინებულ მზერას დაბნეული ღიმილი შეაგება.

– დამეჩვიე! – ოდილმა თეფში მიუწია.

– ვინმემ გაგაბრაზა? – არ ეშვებოდა ბავშვი. მისმა საოცრად ლურჯმა თვალეებმა თითქოს მონუსხა, ერთიანად მოეშვა და ნიკაპი აუკანკალდა. – არ იტირო! – დაუყვავა პატარა მისანმა. – შენ რა, სიმღერებს არ უსმენ?

– სიმღერებს?

– ჰო, რას მღერიან გოგოები, არ იცი?

– რას მღერიან?

– „Je suis seul, je suis fort...“³

– მილენ! – გოგონას, დედა უხმობდა.

– არ დაივინყო, დაიხსომე, კარგი? – იღუმალიხმით უთხრა მილენმა და თავის მაგიდასთან დაბრუნდა. ოდილმა ღიმილით მოინმინდა შეკავებული ცრემლი, ნელში გაიმართა და ტორტის ნაჭერს მიუბრუნდა.

Theo

რეგისტრატურაში ჯერ კიდევ ტრიალებდა მდივნის სუნამოს ოდნავ შესაგრძნობი სურნელი. თეოს გაახსენდა, როგორ საქმიანად ისწორებდა ქალი ფირუზის თვლიან ბეჭედს, რომელიც სიდიდის გამო მუდამ თითის ქვედა მხარეს უტრიალდებოდა და გაელიმა. თმასაც წლებია სულ ყვითლად იღებავდა. სოფის ბუნებრივი ქერა თმა დაუდგა თვალწინ...

მოსაცდელი მოათვალიერა და კარი გამოაღო: „ოფთალმოლოგი“ თეოდორ-ნე. აბრაზე ასოები ოქროსფრად ბზინავდნენ. რუმინული წარმოშობის გვარს ხელი გადაუსვა და თავისი გამოსახულება იქვე, ფანჯრის მინაზე დალანდა. გარეთ შებნელებულიყო. სიბნელის და სინათლის გადაკვეთაზე კარგად ირეკლებოდა მისი სილუეტი – ხმელ-ხმელი და ოდნავ მხრებში მოხრილი. სათვალით და თხელი უღვამით.

¹ პატარა ქალაქი სტრასბურგთან ახლოს.

² სავაჭრო ცენტრი სტრასბურგში.

³ „მარტო ვარ, მე ძლიერი ვარ“ (ფრანგ.).





მასზე ამბობდნენ, რომ სიტყვაძუნნი და მკაცრი ხასიათის იყო. გაჭალარავებულ თავზე ხელი გადაისვა და ისევ მდივნის თმა დაუდგა თვალწინ: „დალახვროს ეშმაკმა, რას გადაეკიდა ეს ქალი ყვითელს?“

უკან შებრუნდა, კაბინეტში. თაროდან ჩარჩოში ჩასმული ფოტო აიღო. სახესთან ახლოს მიიტანა და სოფის ჩვეულებისამებრ თვალეში ჩახედა. დღეს ბოლო პაციენტი გოგონას დედა დაინტერესდა სურათით. ზურგიდანვე იგრძნო და დაიძაბა. არ მოსწონდა მის ნივთებს რომ ეხებოდნენ, მით უფრო ამ ფოტოს. ქალს სასწრაფოდ შეკითხვები დაუსვა და შვილის გვერდით ყოფნაზე მიუთითა.

...სოფის თვალეში ისევ ვერ დაინახა ის, რასაც ეძებდა. ფოტო ჩიკაგოს ყველაზე მაღალი ცათამბჯენის ბოლო სართულზე, გარეთ გაკიდულ შუშის აივანზე იყო გადაღებული. სოფის ძალიან ეშინოდა იქ დადგომის, მაგრამ მან ძალა დაატანა და ფოტოაპარატიც ჩააჩხაკუნა...

ხუთი წლის წინ, სოფიმ მხოლოდ ეს ფოტო დაუტოვა საწერ მაგიდაზე. სხვა ყველაფერი წაეღო. პირწმინდად მოესუფთავებინა კარადები, თაროები... მისი საყვარელი ბედფორდელი მუსიკოსების კომპაქტ-დისკებიც კი წაეღო.

ოფთალმოლოგების საერთაშორისო კონფერენციიდან დაბრუნებულს, სახლი სოფის გარეშე რომ დაუხვდა, თვეები ვერ გამოვიდა ემოციური შოკიდან. მის ადგილსამყოფელს ვერსად მიაგნო. გამოსამშვიდობებელი ბარათიც ამაოდ ეძება...

თეო, კარგა ხანს იდგა გარინდებული სურათით ხელში და ჩურჩულებდა: „სოფი... ს-ო-ფი-ი...“ მერე ფოტო ჩარჩოდან ამოიღო, გაკეცა, შარვლის უკანა ჯიბეში ჩაიღო, სიგნალიზაცია ჩართო და კარი ფრთხილად გაიხურა...

Sylvia

გადასასვლელთან შედგა და შუქნიშანზე მწვანე ფერს დაელოდა. ქარმა წამოუქროლა. ვერ იტანდა ქარს, თხელი თმა წამში აუჩქრა და ხასიათიც გაუფუჭა. მანქანების ნაკადი არ წყდებოდა. გვერდით ველოსიპედისტები გაჩერდნენ. თავი სასხვათაშორისოდ მიატრიალა და... დემიენი უყურებდა ღვარძლიანი სახით. სილვიას მზერა გაუმკაცრდა და ნიკაპი ასწია. მანქანები შეჩერდნენ. ველოებმა გზა განაგრძეს.

– ღმერთო ჩემო! ნუთუ მე გავაჩინე ეს კაცი?! – ირიბად გახელილი თვალეებით გადაიარა ზებრა ხაზები და ტრამვაის გაჩერებაზე სარეკლამო ბანერს მიეყრდნო. სკამზე ასაკიანი არაბი იჯდა და სიგარეტს ეწეოდა. გამონაბოლქვით შეწუხებული რამდენიმე ადამიანი მოსაცდელის გარეთ იდგა. საჩვენებელი თითი ჰორიზონტალურად მიიფარა ცხვირზე და სუნთქვა შეაჩერა.

ვაგონში პირველი შევიდა. ქალს ბარგი აალებინა, რომელიც თავისუფალ სკამზე დაედო და დაჯდა. მოპირდაპირე მხარეს ხუთიოდე წლის ბავშვი ფეხებს აქანავებდა. მუხლები მოარიდა და დედამისს შეხედა, ის კი სულ სხვა მხარეს იყურებოდა. უკმაყოფილოდ ამოსუნთქა და მგზავრები მოათვალა. თვალეები გადაშლილ წიგნზე შეეყინა – მისი ქალიშვილის ნოველებს კითხულობდა ვიღაც. წელან ამოსუნთქული ჰაერი ხელმეორედ შეისუნთქა და სახე ისევ გაუმ-

კაცრდა.

– იმედია, წარსულის ამბებს არ ჰყვება! – გაიფიქრა და სახლის გაჩერებამდე წიგნის სათაური იმეორა: „სულზე ფრთები მაქვს“... სულზე ფრთები მაქვს...

ირონიული ღიმილით კარს გასაღები მოარგო და მის კუთვნილ ბინაში ამაყად შეაბიჯა.

ჩაი მოიდულა. დემიენის და ჟიზელის ბავშვობის დროინდელი შავ-თეთრი ფოტო კედლიდან მოხსნა და წინ დაიდო. ბიჭს ხის საბავშვო მანქანის ნახევრად ღია კაბინიდან გამოეყო თავი, გოგო კი საბარგულზე წამოსკუპებულიყო შუბლზე ჩამონეული კუბოკრული კეპით და ხელში იასამნებით.

ჩარჩოს ხელი გადაუსვა და ჩაიურჩულა:

– თქვენ სად ნახვედით ნეტა...

ერთხანს ასე გარინდებული იჯდა, ხელში გაციებული ჩაის ფინჯნით და გონებაში იმეორებდა – ის ბავშვები, ის პატარა ბავშვები, სად გაქრნენ, სად? სიცივემ აიტანა, გარეთ ქარი ძლიერდებოდა...

Benoit et agnes

შობიდან ორი დღე გასულიყო. აგნესამ პირველი სართულის ძველ, ნაცნობ კარზე ზარი დარეკა. მანამდე, მცირე ხანს, სულშეგუბებული იდგა და იმ სევდის გაქარვებას ცდილობდა სახლის დანესტილმა კედლებმა რომ გაუჩინეს.

ბენუა მშვიდი ღიმილით შეეგება და სველი ქოლგა ჩამოართვა.

– ნემის! შობას გილოცავ! აქამდე მოსვლა ვერ შევძელი, ხომ იცი... ერთმანეთს ლოყაზე აკოცეს. კაცმა თვალეები დახუჭა და წამებში შეისუნთქა მისი თმის სურნელი. აგნესამ არ შეიმჩნია, ელზასური ტკბილეული მაგიდაზე დადო და იქვე ჩამოჯდა.

– როგორ ხარ? – ბენუა ისევ უღიმიოდა.

– იზაბელი, კურსელებთან ერთად, ერთი კვირით, პარიზში წავიდა. პატრიკი მამამისთან ერთადაა ქალაქში გასული. – სწრაფად წარმოთქვა ქალმა.

– შენ? შენ როგორ ხარ?

აგნესამ გაიღიმა: – შენთან კარგად ვარ, მაპატიე... მაპატიე, კარგი?

უცრად ტირილი აუვარდა და დასამშვიდებლად სულმოუთქმელად გამოცალა „Cheval Noir“-ით სავსე სასმისი.

– ისევ ბორდოული ღვინო გიყვია! აგნესას უადგილო პრეტენზიულ ტონზე ორივეს გაეცინა.

ბენუამ მის წინ, იატაკზე ჩაიმუხლა და ხელეებზე მოეფერა.

– როდის მიდიხარ? – ქალი ისევ დასვედიანდა.

– ორ დღეში გენშტაბში უნდა ვიყო.

– ბენუა...

– აგნეს...

– მთელი სიცოცხლე გავიდა...

– მე მაინც მჯერა, რომ ერთად ვიქნებით!

– გჯერა?

– ჰო, მჯერა...

– სასაფლაოც კი არ გვექნება ერთი! ფილიპი თავის საგვარეულო თაროზე შემომდებს. აგნესას ისტერიული სიცილი აუტყდა, ბენუამ წამოაყენა და ძლიერად მიიკრა გულზე...

სტრასბურგში წვიმდა, ზამთარს კი თოვლი მოუხდებოდა.



Adeline

მოაჯირი ზუსტად ისეთივე ძველი და მორყეული იყო. ხის ფიცრებმაც ნაცნობი წრიალით შეუქანეს გული. მას შემდეგ დიდი დრო გასულიყო...

დედა, არდადეგებზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში უშვებდა სოფელში ქმართან ნაჩხუბი თუ არ იყო. ბებიასთან ყოველთვის სიმშვიდე ხვდებოდა. ზედმეტი სიმშვიდეც კი...

იმ დღეს, სანახევროდ შეღებულ შუშებიანი კარიდან უყურა როგორ ბანდა მისი ბებია ხის პატარა სკამზე მჯდომ ქმრის დას მოგრძო ვარცლში. მათი სახლები გვერდი-გვერდ იდგა. ქმრის სიცოცხლეში ეს ორი ოჯახი ერთმანეთს არ ელაპარაკებოდა. ახლა კი ხშირად ეძახდნენ ბებიას დასახმარებლად. მორიდებით იდგა ზღურბლზე და მოხუცი ქალის დაჭმუჭნილ, ჩამონელილ მკერდს აკვირდებოდა. შუაზე გაყოფილ თხელ, ლერებად გადმოფენილ თმას უთვალერებდა, რომელიც ბოლოებისკენ საგრძნობლად მცირდებოდა... ამ ოჯახში ადლინს არ ამჩნევდნენ, არც ელაპარაკებოდნენ. ისიც წარმოიდგენდა ხოლმე, რომ ვითომ უჩინმაჩინის მოსახსამში იყო გახვეული. ასე უკეთ გრძნობდა თავს. მათთან ყოფნის დროს ბებია მისი უცხოვდებოდა მისთვის...

ადლინმა ხელმეორედ შეიგრძნო ის დღე. მხურვალე მზე და ყელში გაჩხერილი ბრეცელის ცრემლებით დასველებული ლუქმის გემოც...

ბებია მულის დაბანას რომ მორჩა, სახლში დაბრუნდნენ. ადლინი ეზოში დარჩა. ალუბლები მნიფდნენ. ყველაზე მუქ მარცვლებს ეძებდა. ბებია ფანჯრიდან ბრეცელი მოაწოდა. მზე აცხუნებდა. ეზოს წიშკარი აჭრიალდა – მამამისი ჩემოდნებით ხელში შემოვიდა. გოგონა მისკენ გაიქცა. კაცმა გვერდი აუქცია და სახლში შევიდა... ადლინი გაქვავდა, ერთიანად გადაუცივდა ხელ-ფეხი. ცრემლებმა დაუბინდეს მზერა. მერე, მდინარისკენ ძალაგამოლეული გაიქცა. მორყეულ მოაჯირს, რომელიც ყოველთვის ამინებდა, მძლავრად ჩაეჭიდა და გაირინდა...

შებინდებულზე დაბრუნდა სახლის სიახლოვეს. მალევე ქარი ამოვარდა, წამოწვიმა კიდეც. ბებია დასველებული და გასაცოდავებული ძლივს დაითანხმა სახლში შესვლაზე. მამამისი კარისკენ ზურგით იჯდა და ტელევიზორს უყურებდა. ცარიელი ჩემოდნები აივანზე ენყო.

ადლინი მაშინ შვიდი წლის იყო... ახლა, ორმოცდაშვიდის...

სოფლის სასაფლაოზე დიდხანს ეძება საფლავები... მერე კი, მერე ჩამავალ მზეს გაჰყვა სტრასბურგისკენ...

Anita

რეჟისორმა, სათვალე მინებზე ორი თითის მიწოლით გაისწორა და პირველი სამაგიდო რეპეტიცია დაიწყო. ანიტა და კლოდი ერთმანეთს თვალს არიდებდნენ.

– როგორ მომნატრებიხარ! – ენის ბორძიკით ამოიკითხა კლოდმა.

– როგორ მიხვდი? – ანიტამაც როლში თავჩარგულმა დაუბრუნა რეპლიკა.

კლოდი: სულ როგორ გლვიძავს?

ანიტა: შენც.

კლოდი: მე ახლა გამაღვიძა შენზე ფიქრმა, დარდმაც.

ანიტა: ფიქრიც მე მეკუთვნის და დარდიც? – ირონიულად გაეღიმა.

კლოდი: ...და გულიც ჩემი.

ანიტა: მაგ გულს, სხვაც ბევრი ბინადარი ჰყავს.

კლოდი: შენ არავისნაირი ხარ, არც ვინმეა შენნაირი. ფოტო გამომიგზავნე. აი, ახლა როგორიც ხარ, ისეთი მინდა გნახო.

ანიტა აღელვებული წამოდგება: რად გინდა ფოტო? განა არ გახსოვს ქალი ვისაც ისე ძალიან უყვარდი, რომ უნებურად განირა ყველა, დალენა წლებით ნაშენი ბუდე და დარჩა მარტო – უსუსური და უარაფრო?!

კლოდი შეიშმუნა და ჩაიბუტბუტა:

– ასე მგონია შექსპირს ვკითხულობთ! ხმამალლა კი, – არასოდეს დაგკარგავ იცოდეს! უსაზღვროდ ნიჭიერი და ლამაზი ხარ!

ანიტა: შენ გრძნობებს დასდევ, – უმისამართოს!

კლოდი: ვნებებს რომ გეთქვა, დაფვიქრდები... გრძნობა სულ სხვაა...

ანიტა: შეყვარებული ადამიანისთვის, განა არსებობს ერთმანეთის გარეშე ვნება და გრძნობა?

კლოდი: ჭკვიანი გოგო ხარ, ამიტომ გამოგარჩი ყველასგან.

ანიტა: ხშირად ვიჯერებთ იმას, რისი დაჯერებაც გვინდა.

კლოდი: შენ იცი, რომ ეს ასეა.

ანიტა: ასე იყო! შემდეგ კი...

კლოდი: არავინ მყოლია შენს მერე შენსავით და ვერც სამომავლოდ წარმოვიდგენ ვინმეს.

ანიტა: უამრავ ადამიანში შეხვდე შენიანს ძლიერ რთულია და თუ გაუშვებ, მერე ბოლომდე სინანულია, რადგანაც „ერთნაირებში“ ველარ იპოვი უკვე განცდილ უტკბილეს გრძნობას, როცა უყვარდით.

კლოდი: შენი სიყვარულისთვის ფილოსოფია არ მჭირდება. აი, ეს გული ძვერს!

– *Menteur, je ne peux plus supporter!*¹ – მოულოდნელად დაიყვირა ანიტამ და ტირილი დაიწყო.

რეჟისორი პიესას მისწვდა, ტექსტს ჩახედა და ნაიკითხა:

„სასიამოვნოა ეს ყველაფერი, გრძნობა, რომელიც ჩემში დარჩა ბოლომდე მეყოფა და გადამარჩენს“.

– ვერ გადამარჩენს!!! – გულამოსკენილი ტიროდა ანიტა, – „ხშირად ვიჯერებთ იმას, რისი დაჯერებაც გვინდა!“

მხრებანურული კლოდი ნერვიულად აწვალებდა სიგარეტის კოლოფს. ანიტა სარეპეტიციოდან გავარდა.

რეჟისორმა დაორთქილი სათვალე მოიხსნა და 15 წუთიანი პაუზა გამოაცხადა.



¹ მატყუარა, მეტს ველარ ვუძღვებ! (ფრანგ).





თინათინ მრელაშვილი



გადაგვარჩინოს...

ერთობის ძალას – სიბრძნის მალამოდ,
დასაბამიდან ველტვით და ვლამობთ,
მამულის მზეო, ჩვენო ალამო,
გადაგვარჩინოს რწმენის ძალამო...

ვიბედნიეროთ სვე, – იმით:
ვიდრე, – ზეცაზე მზე ივლის, –
სიცოცხლეს ჰქონდეს ზეიმი,
სიყვარულს ჰქონდეს ზეიმი...

სიყვარულის ჰქონდეს ზეიმი...

გვაბრწყინებს წელი, – ახალი,
რწმენით ანთე იმედო,
გვახალისებდეს გზა ხვალის,
ლამაზ სურვილებს მივენდოთ...

სურათი

ქარი მძვინვარებს, ფრთებს არწევს,
კვეთს, ატორტმანებს, ტყეს და ხევს...
მზე – უვარაყებს მთებს კალთებს,
კაკვასიონზე ცეცხლს ანთებს...

ვლოცოთ მშვიდობის სიმკვეთრით,
ცის ნათელიც და გრილოცა,
ახალ წელს, ყველას სიკეთით,
გილოცავთ, გულით გილოცავთ...

უკვდავება მგონია...

ეს მზე, ზღვა და თოლია,
საოცრების ტოლია,
ლურჯი მთები – ფონია,
უკვდავება მგონია...

რწმენით, იმედით, განცდით, ზეგრძნობით...

წარსულ დღეებზე ფიქრი მამხნევეს,
მომავალს – ვუმღერ, ვერტფი, ვენდობი,
მზე სიყვარულის – გულს ხსნის, აღელვებს, –
რწმენით, იმედით, განცდით, ზეგრძნობით...

რა უჩინრად მიჰქრიან...

დროის რაშნი, ზესწრაფნი, რა უჩინრად მიჰქრიან,
დრო – რაშს ჰგავს და მგონია – ზოგჯერ, რაში ფიქრია,
ხან, – თუ, შვლის ნუკრს მაგონებს, ხან, – თავნება ჯიქია,
მე, ორივე ხიბლსა მგვრის, მე, ორივე მიქია...



აღბათ...

გულში წვიმს და... თანაც ფიქრის ქარი ქრის...
შენი ფიქრი, ჩემთვის, წამით არ იცლის,
მოალერსე, აღბათ, სხვისთვის გამხდარხარ,
შენს ქებნაში, დრო გადის და... არ ჩანხარ...

გაუსაძლისია...

გაუსაძლისია, როცა, ტრფობის ცეცხლი გულზე გენტება,
გაუსაძლისია, როცა, ჭმუნვის ალი ფიქრებს ეწვეება,
გაუსაძლისია, მუდამ, მოლოდინის მწველი შეგრძნება,
გაუსაძლისია, როცა, გიყვარს, მაგრამ, იგი, ვერ ხვდება...

გავაქრავი – ვერსად...

ორი თეთრი ყვავილია, – მინდვრად ბედმა თესა,..
მათი ხვევნა და ალერსი, ქარს სცოდნია წესად,
ნეტავი, ჩვენც ჩაგვახუტა აბედად და კვესად,..
ვიცი, კარგო, შენს სიყვარულს, გავექცევი – ვერსად...

მომენატრე...

სიმღერა

ალუბლები – რომ აფეთქდნენ, მომენატრე,
გამაოცა – მათი მზერის სინაზემ,
გინატრე და ოცნებებში ჩავიკარგე,
მეც დამათრო სიყვარულის თბილმა მზემ...

მომენატრე, მწყურვალვით მომენატრე,
შენზე ნატვრით – ჩემი ფიქრი ზღვას ერთვის,
სიყვარული სჯობნებია ზოგჯერ ადრე,
დრო არ იცდის არ სცალია, მას ჩვენთვის...

მოვეფეროთ მომღიმარე ალუბლებს და...
დავეშუროთ სიყვარულის სიმაღლეს,
უშენობას გული როგორ გაუძლებდა,
უშენობით გული როგორ ილაღებს?..

ალუბლები რომ აფეთქდნენ, მომენატრე,
გამაოცა – მათი მზერის სინაზემ,
გინატრე და... ოცნებებში ჩავიკარგე,
მეც დამათრო სიყვარულის თბილმა მზემ...

ასე მგონია...

თოვდა და... რძისფერ ფიფქთა ხიბლს ვგრძნობდით,
თოვლივით თეთრი ქუდი მესურა,
სახეზე – ფიფქებს კოცნით მიღლობდი,
არ შეგცივდესო, – ჩემო ბელურა...





გახსოვს? – ხის ტოტზე, თოვლის საფარქვეშ,
ორი ბელურა შემომფედარიყო, –
გვიმზერდნენ, თვალებს ნაზად ნაბავდნენ,
ჩანს, – ტრფობა, მათთვის უცხო არ იყო...

კვლავაც ვესტუმროთ, შატილს, იკორთას,
კვლავ, – შევწვდეთ მწვერვალს – განცდით და რწმენით,
ასე მგონია: გუშინ იყო და...
დრო, კი, გასულა, თურმე, რამდენი...

ფიქრებში თოვს...

შენ გნატრობ ყოველ წამს, ფიქრებში თოვს,
ფიქრები, კი, შენთან შეხვედრას მთხოვს,
სიზმარშიც შენ გხედავ, – ახლოს, თუ, შორს,
ზენა ბედს გვთავაზობს, ჩვენ, ერთად, ორს...

ვით, – სითბოს აღმურში გახვეულ მზეს,
შენ გეტრფი, მზესავით ალერსით მწველს,
და... გიცდი, მე, ყოველ, ცისმარე დღეს,
ეგ სითბო, ვარდისფერ ღრუბლებში მხვევს...

და... გული, კვლავ, შენთან შეხვედრას მთხოვს,..
ზენა ბედს გვთავაზობს, ჩვენ, ერთად, – ორს...

დაგლოჯავთ...

მიყვარხართ და დაგლოჯავთ, გულმართალო ხევსურნო,
ვაჟკაცობის, სიბრძნისა და სიკეთის მეგზურნო,
ამართლებდეთ მსურს, მუდამ, – წინაპართა დანაბარს, –
და... მტერთაგან იცავდეთ, თქვენს მშობლიურ მთა და ბარს...

ქარიშხალი...

ქარი ღმუოდა, არ ცხრებოდა და... თარეშობდა,
სულ იავარქმნა, ყოველივე, ირგვლივ რაც ნახა,
შემდეგ მოღლიღმა, მოღუშულმა და ნირშეცვლილმა,
ინყო უღონოდ ხეტიალი, ვითარცა – გლახამ...

ქარო! გრიგალო! რა სიავის ქარს ატრიალებ,
რას ბობოქრობ და, – ირგვლივ, ყველას რად აწრიალებ?...
ნერგთა რტოები, ტკივილისგან ცრემლით ღვიარებს,
მზე, კი, უამებს, შენგან ვნებულთ, – მათ, – ამ, იარებს...

გაზაფხული – სიწოცხლეა...

შერჩევამი შევდიოდ: ნელინადის – რა დრო სჯობდა, –
ხან, ერთი ვთქვი, ხან, მეორე, მივმართავდი ასგზის ბჭობას,..
თვალისმჭრელი სიდიადით, ჩანდა: ყველა დამათრობდა,
მაგრამ... მივხვდი: გაზაფხული – პირველობას არ დათმობდა...

გაზაფხულზე, ლამაზ მდელოს, – სიო უმღერს ტყიდან – ველად,
ენაზება, ზეცას ხატავს, შვიდსარტყელა ცისარტყელაც,
ჯადოსნური მაქმანებით ინასკვება კვირტი ნელა,
მზეც სხივებით ანებივრებს, ახალისებს ირგვლივ ყველას...



აღმის ყვავილს თავი მოაქვს, იგი, მართლაც – პირველია,
თუმცა, ბრონეულს მეტად ვეტრფი, პირმშვენსა და პირფერიანს,
ის, ხომ, ათას მარცვალ-ძონით, უამრავი მზისფერია,
მიყვარს, მისი ყვავილები – ცეცხლისღვრით, რომ მიმღერიან...

გაზაფხული სისპეტაკით, მე, მაგონებს ჩვილ ყრმას, – ნეტარს,
გულს რომ ალხენს, რომ ალალებს და სიცოცხლის ანვდის ნექტარს,
ვტკბები, მისი შემხედვარე, განცდით ვუსმენ გულთა ფეთქვას,
გაზაფხული რაა?! – ვამბობ, შენ – სიცოცხლე უნდა გერქვას...

წუთისოფელია, მართლაც...

ცაში, ქალიშვილის პირმსგავსი ღრუბელი,
მკერდით მიაპობდა სივრცეს,
მხრებზე დაფენილი ქერა კულულებით –
მზით იელვარებდა, ის, ფერს...
თეთრად მოქათქათე ღრუბლისკენ ილტვოდა,
კაბას უქარგავდა თვით ცა,
ეს, – ორი ღრუბელი, ცის ლურჯ კაბადონზე,
შენყვილდა, ღრუბლის ფრთად იქცა...
ცოტა ხნის შემდეგ, რომ გაეხედე, ამ ადგილს,
არ ჩანდა მსგავსი რამ სულაც,
სხვა სახე შეექმნა, ცაზე, ღრუბელთა წყვილს,
ხატავდა, ის, სულ, სხვა სურათს...

ასეა, – ოდიდან, ცხოვრებაც ჩვეული,
ერთფერი, დიდხანს არ გასტანს,
დღეს – თვე სცვლის და, იმ თვეს, კვლავ წელი რჩეული,
წუთისოფელია, მართლაც...

ჩვენც უნდა მივდიოთ წუთისოფლის ფეთქვას,
სიცოცხლით სიცოცხლე შევქმნათ,
დაე, ჩვენც გვტკიოდეს ტკივილი მამულის,
სიყვარულს ვუმღეროთ სვე-მნათს...
თორემ, დრო – მუხთალი, ისე მიგვაქროლებს,
ვერ დავემალებით ვერსად,
მოვასწროთ, ვეფეროთ ამ ლამაზ მთა-გორებს
ქართული მზე-ხოტბის მთესად...

სენტენციები...

* * *

შვილი, რადგან მშობელსა ჰგავს, ვერ იქნება მსგავსი სხვისო,
ამიტომაც უთქვამთ ასე: „კვიცი, მუდამ გვარზე ხტისო“...

* * *

ვერ იგუებს წესად სხვის წესს, ყველა ხარობს წესით თვისით,
„არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი“...

* * *

საქმე, მუდამ განჭვრეტით სჯობს, არა ჩხუბით, დავითაო,
„რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“...

* * *

საქმე, – სჯობია: ფიქრით ნაჯერი,
„ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი“...





მაია ღიაკონიძე

აღამიანების გეგმოდით, აღამიანებო!

ნკაპ, ნკუპ,... ნკაპ, ნკუპ,... წვიმის წვეთების ნკაპანკუპი ისმის, საიდან ვერ ხვდება, მაგრამ გული კი უწვრილდება. დარდი შეზრდია მის გულს და სევდა კიდევ უფრო მატულობს წვიმის გაძლიერებასთან ერთად. ერთადერთი ცოცხალი არსება მის გვერდზე ძალია, კავკასიური ნაგაზი, ერთმა მეცხვარემ აჩუქა, დილოში ცხვარს ყიდდა, ლეკვები თან წამოეყვანა, ყველა გაეყიდა. ერთილა დარჩენოდა, შეეხვეწა, რანაირად აც შეეძლო, კისერი გამოუნია, მე მომეციო, აბა, ფული სად ჰქონდა, რომ ეყიდა?! მეცხვარემ ახედ-დახედა, კეთილი კაცი ჩანხარო და მისცა. გახარებულმა გულში ჩაიხუტა. სახლამდე ფეხით იარა, უფრო სწორად თავის ქოხამდე, კიდევ უფრო სწორად თავის ქოხმასამდე – მშობლებისგან დარჩენოდა. მუხიანის აგარაკებზე ცხოვრობდა, ადრე მცხეთას ეკუთვნოდა ეს მიწა, ახლა ამბობენ თბილისიაო, მაგრამ ტალახს თავი ვერ დააღწია, ფეხსაცმლის ლანჩებზე სქელი ფენა მოსდებოდა. პარმალზე გაიხადა მისი გულივით დამძიმებული ფეხსაცმელები, იქვე, კარებთან მიყარა და ოთახში შევიდა. ეს ოთახია მისი მშველელი, ის იხსნის ხოლმე დაცინვებისგან, გულსატკეპნი სიტყვებისგან. ადრე დედა იცავდა, მამაც, ახლა დამცველი არავინ ჰყავს, სრულიად არავინ, მაგრამ ამიერიდან ძალი ეყოლება... მშვენიერი, თეთრი, ქუნქულა, მოენონა, გაიღიმა, უფრო სწორად გაიკრიჭა, რადგან სხვანაირი გაღიმება არ იცოდა იროდიონმა, – ხომ ვაჯობე ყველას ჭკუით, – აბა ვინმე მომეკაროს, აბა ვინმემ მანყენინოს, – ფიქრობდა და ხელისგულებს იზღვდა. სულ ერთი ოთახი ჰქონდა იროდიონს, აივანით. ოთახი თორმეტი კვადრატული იქნებოდა, მას ყოფნიდა. აივანზე ჯდომა უყვარდა. სახლის სახურავიდან ჩამომავალი წვიმის ნაკადები ბავშვობას ასხენებდა, დედ-მამასაც. ოთახის კედლებს შეხედა, არ მოენონა, ვარდისფრად იყო შეღებილი. აღარ ახსოვდა, რომ მამამ შეღება, სანამ იროდიონს საავადმყოფოდან გამოწერდნენ. ოცი წელია ამ ფერისაა კედლები, ახლალა შეამჩნია, ვარდისფერიც გამუქებულა აქა-იქ, ზოგან გათეთრებულა. ზემოთ, ჭერთან ახლოს, ოთახის კუთხეებში ობობებს დაუბუდებია, ქსელები გამავეებულა, მაგრამ იროდიონი ვერ ამჩნევს, თორემ აუცილებლად განმუნდა. არ უყვარს ჭუჭყი იროდიონს, მაგრამ ყველაფერს ვერ გასწვდება, ვერ გააკეთებს. ახლა ძალი იქნება

მისი დამხმარე, ეტყვის მოიტანეო და მოიტანს, თორემ აქამდე მხოლოდ მას ავალებდნენ: – იროდიონ, ტვირთი წამომალებინე ბაზრიდან! – იროდიონ, ნაგავი გადაყარე! იროდიონიც მორჩილად მიჰყვებოდა მეზობლებს ბაზარში, მიჰქონდა ნაგვის ტომრები ხრამში გადასაყრელად, იქნებ ერთი-ორი ლუკმა ეჭმიათ. ზოგიერთი ამჟავებულ საჭმელს დაუსხამს, თან ამაღლის, ამის ფასი რა გააკეთეო. მეორე დღეს იროდიონი ეზოდან ველარ გამოდის, იქაურობას მიეჯაჭვება ხოლმე. ტუალეტის მაგივრად ეზოში შავი ფიცრების გროვა უდგას, სიძველისგან კარები აღარ იკეტება. ხანდახან კარგი კლიენტებიც გამოუჩნდებიან, მინას დააბარინებენ, ბალახს გაათიბინებენ. იროდიონს საქმე არ ელევა. დალილ-დაქანცულს არაყს დააღვინებენ, ცეცხლთან გაათბობენ, ერთ-ორ ნაჭერ მწვადსაც გადაუგდებენ და ჯიბეში ხუთ-ათ ლარს ჩაუდებენ. კაცები რატომღაც უფრო კეთილები არიან – ფიქრობს იროდიონი, როცა არყით შებუჭბუჭებული ბუქნაობს და ცეკვავს ცეცხლის პირას, თანაც იკრიჭება, იმიტომ რომ სხვანაირი სიცილი არ იცის, – პარეზი გაქვსო, – ეუბნებოდა დედა, – მენინგიტის მერე დაგრჩაო, – მაგრამ იროდიონმა არ იცის რა არის პარეზი ან მენინგიტი, უხარია და ცეკვავს, ტრიალებს, ბზრიანებს, – ასა, ასა, – იძახიან კაცები და ტაშს უკრავენ. სიხარულისგან თვალები უბრწყინავს, ცეცხლი მის სახეს ანათებს და კეთილშობილ იერს აძლევს. ვინ იცის, ვისი შთამომავალია უბედური იროდიონი, ბედნიერად მოცეკვავე და სახეანითლებული. ამას წინათ ცეცხლში ლამის ჩავარდა, – კარგი, კარგო, – დაუძახეს, ძლივს გააჩერეს შეზარხოშებული. დევივით კია, მაგრამ ბავშვის ჭკუა აქვს. მეზობელ ნიასთან როცა შედის, ის გვერდზე მოისვამს, ფანქრებს მისცემს და ხატავენ. ნია უკეთესად ხატავს, ვიდრე იროდიონი, იმიტომ რომ ის ლამაზია, პეპელასავით ლამაზი, აი, გარეთ ლამაზ-ლამაზი პეპლები რომ დაფრინავენ, – ფიქრობს იროდიონი. კარგად ვერ ხატავს, მაგრამ ნია ასწავლის ხატვას, ის სკოლაში ათოსანია. ხანდახან იროდიონი თვალს მაგიდაზე ჩამომდგარი ბროლის ვაზისკენ გააპარებს, სადაც ფოჩიანი კამფეტები ალაგია. ნია მიუხვდება ხოლმე, რა უნდა და ვაზას აწვდის, – რამდენიც გინდა ჭამეო. დარცხვენით იკრიჭება იროდიონი და კამფეტს პირში იტენის, რამდენიმეს ნია ჯიბეში უდებს, აქედან



რომ ნახვალ, მერე ჭამეო. ახსენდება, გარეთ ძალი ელოდება, ძალს ნიასთან სახლში არ უშვებენ, მაგრამ თეფშით საქმელს კი დაუდგამენ ხოლმე. ამიტომ უყვარს აქ მოსვლა. სახლში სითბო და სისუფთავა. უხარია იროდიონს, როცა ზოგჯერ ბავშვის ყარაულად ტოვებენ, ის სახლს შიგნიდან იცავს, ძალი – გარედან. ნიას დედა, ქალბატონი მაიკო, აფრთხილებს, ოთახში არაფერს მოჰკიდო ხელიო. არადა, რა ლამაზი ნივთებია?! ერთი სურათი მოსწონს, ოქროსფერ ჩარჩოშია, მონადირე მთის ბილიკით დაბლა ეშვება, ერთ მხარზე ნანადირევი გადაუკიდებია, მეორეზე – თოფი. ძალიან უნდა თოფი ჰქონდეს, ნამდვილი თოფი, ისეთი სურათზე რომ არის დახატული, მაგრამ ასეთს ვინ მისცემს, ხელში ვინ დააჭერინებს?! ერთ კედელზე თოფინები ჰკიდია, ფაიფურის, ლამაზი სახეები აქვთ. ერთი ბიჭი თოფინაცაა, დიდი, დევეს ჰგავს, ზუსტად იროდიონისივით იკრიჭება, პატარა რქებიც აქვს, ხუჭუჭა თმებში ჩამალული. იქვე, მეორეც ჰკიდია, პატარა, გამხდარი, ისიც ქოჩორა, თავზე კახური ქუდი, კოპლებიანი პერანგით. პერანგი თეთრია, განკრიალებული, იმიტომ რომ ქალბატონი მაიკო ხშირად აბანავებს თოფინებს, ტანსაცმელს ურეცხავს, იროდიონსაც ურეცხავს ხოლმე, ექიმია, ბაცილების ემინია. მეზობლის ქალები ეუბნებიან, – მაგ სულელს ბავშვს როგორ ანდობო, – ესმის და სწყინს იროდიონს, მაგრამ ხმას არ იღებს, იმიტომ რომ ლაპარაკი არ იცის, რამდენიმე ბგერას წაიღმუვლებს და მაშინვე აჩუმებენ, მისი მოსმენა არავის უნდა. მარტო თავის ქოხში ყვირის, თავის ენაზე, რომელიც ძალის გარდა არავის ესმის. ქალბატონი მაიკო არავის არაფერს პასუხობს, მხოლოდ იცინის, თეთრი კბილები მოუჩანს. ნიას მამა – უშანგი მხატვარია, ნადირობაც უყვარს, ანტიკვარული ზანდუკიდან ძველ, მამაპაპურ თოფს ამოიღებს და წმენდს, იროდიონი თან ხატავს, თან თოფს უყურებს, ძალიან მოსწონს თოფი. ნიას ძმაც ჰყავს, სტუდენტი, უჭირს მუხიანის აგარაკებიდან ინსტიტუტში სიარული, ფეხით ჩადის დუმბაძის ბოლომდე, მერე ტრანსპორტში ჯდება. სამარშრუტო ტაქსი დადის დასახლებაში, ოღონდ ცუდ ამინდში – არა, ამ ოღროზოლო გზებზე სიარულში მანქანა ფუჭდება. ნიას ძმაც მეგობრობს იროდიონთან, ხანდახან ლიმონათს მოუტანს ქალაქიდან.

როცა იროდიონს საქმე არა აქვს, ეს ძირითადად ზამთრობით ხდება, დანებება თავის ძველისძველ ზამბარებიან სანოლზე და ხან ალუმინის რიკულებს შესცქერის, ხანაც ჭერს. სახლის სახურავზე ოფოფები ცხოვრობენ, რაც თავი ახსოვს, სულ იქ არიან, ხმაურობენ, ჭყიპინებენ, სანამ შვილებს წამოზრდიან, მაგრამ იროდიონს არ აწუხებს მათი ხმაური, მათგან სითბოს გრძნობს, მისი არც ფრინველებს ემინიათ, ლამისაა თავზე დასახდნენ. როცა იროდიონი ეზოში სადილობს პურს ოფოფებს გადაულოცავს, ბარტყებს აჭამეთო, თვითონ მშიერი რჩება, მერე კი შიმშილისგან აწრიალებული თავის ოთახში ღმუის. თუ ნამეტანი მოუვა და მის ყვირილს ნიას დედა გაიგონებს, უფრო სწორად, ღმუილს, თავის გამომცხვარ პურს მიუტანს და აივანზე დადებს. მერე კარზე დაუკაკუნებს, შესძახებს, პური მოგიტანეო და გაუჩინარდება. იროდიონს ყურადღება ახარებს.

ნია წამოიზარდა, დაქალიშვილდა, ერთად აღარ ხატავენ. იროდიონს ახლა სხვა დავალება მისცეს, სკოლამდე უნდა მიაცილოს გოგონა და მერე სკოლი-

დან წამოიყვანოს. უხარია იროდიონს ნიასთან ყოფნა, თვითონ ხმას არ იღებს, არ უნდა გოგონა შეაშინოს. ის და ძალი ჩუმად მიუყვებიან სკოლისკენ მიმავალ გზას, მხოლოდ ნია ტიტინებს, უყვება იროდიონს იმ მთისას და ამ ბარისას, ზოგჯერ მასწავლებლებზე ბრაზობს, ზოგჯერ მშობლებზე. ყველაფერი იცის იროდიონმა, რა აწუხებს ნიას, რა უყვარს, რა არ უყვარს. იცის რომ ნიას გვირილები უყვარს. ერთხელ, სკოლის ეზოში გვირილებით დახვდა. გოგონას გახარება უნდოდა. სხვანაირად გაიგეს. ბიჭები ჯოხებით გამოეკიდნენ საცემრად. ძალიან არ მიუშვა. ჭორები ააგორეს, ნიას მშობლებმა გოგონასთან მიახლოებაც კი აუკრძალეს. დაილია გოლიათი დარდისგან. თვითონ რომ ვერაფერი დაუშავეს, ძალი მოუწამლეს. ავად გახდა ნაგაზი. ერთხელ შინ დაბრუნებულს მკვდარი დაუხვდა, ეზოში დაგდებულს ყვავები გულ-ღვიძლს უკორტინდნენ. ყვავები შეძულდა, იფიქრა, ამათ მოკლეს ჩემი ერთგულიო. მეორე დილას თოფის ხმამ გააღვიძა დასახლება. იმ ღამით იროდიონს თოფი მოეპარა ნიას სახლიდან და ტყვიებს გამეტებით უშენდა ყვავებს, თვალებიდან ცრემლი სდიოდა. ნიას მამამ და ძმამ ძლივს გამოჰგლიჯეს ნაგოლიათეფს თოფი. დასახლება აფორიაქებულიყო, ემანდ ჩვენც არ დაგვზოცოსო. თოფი რომ აღარ ჰქონდა, ქვები დაუშინა ყვავებს, ამათმა მომიღესო ბოლო, ამათმა გამთვალესო. მას მერე სახლიდან იშვიათად თუ გამოიხედავდა, შეკრთა სოფელი, ინანეს თავისი საქციელი, ხანდახან თეფშით და პურით კარს რომელიმე მეზობელი მიადგებოდა, საქმელს აივანზე დატოვებდა, ოთახში შესვლას ვერავინ ბედავდა. დაუძახებდნენ, ისიც ღმუილით პასუხობდა. ერთ დღეს ოფოფები ახმაურდნენ, იქაურობა გადააჭრელეს, ბევრნი იყვნენ. მეზობლებს უკვირდათ, რა ხდებაო იროდიონის სახლში. ჩუმ-ჩუმად მიიპარნენ, ფრინველების ეშინოდათ, არ დაგვკორტნონო. ჭირისუფლებივით ჩამომსხდარიყვნენ ოფოფები იროდიონის მამის დარგულ ხეებზე. შეიხედეს ოთახში, ფანჯრებიდან შემავალ მზის შუქს იქაურობა გაენათებინა, იროდიონის სპეტაკ სახეს ნათელი მოჰფენოდა, ხელში ნიას ნაჩუქარი ფანქრები ჩაბლუჯა, ძირს დავარდნილ ფურცელზე გოგონა ეხატა, გვირილებით ხელში, გვერდზე – გოლიათი და ძალი. შეაგროვეს ფული და დაასაფლავეს იროდიონი. მას მერე ქოხში შესვლას ნიას გარდა ვერავინ ბედავდა. ნიაც იროდიონის ჩამოჯდებოდა აივანზე და თვალს არ აშორებდა სახურავიდან წამოსულ წვიმის ნაკადებს. გოგონამ იცოდა, რომ წვიმის წვეთები ისეთივე სუფთა იყო, როგორც იროდიონის გული. მიუხედავად იმისა, რომ ოფოფებს პურს აღარავინ აჭმევდა, ფრინველები არსად წასულან. ვინ იცის, იროდიონის ქოხის სახურავზე, მათთვის მყუდრო და თბილ ბინაში მერამდენე თაობა დებს კვერცხებს... მხოლოდ ხანდახან გადაუვლიან ხოლმე ოფოფები ქვეყანას ძახილით, – ადამიანების გეშინოდეთ, ადამიანებო!





ნუნუ კამუკაშვილი



საქართველოს

საოცნებო, საქართველო,
სანატრელო – მთა და ბარო,
მინდა – ჩემი ერთგულება, –
სიყვარული ჩაგაბარო.

სიხალისით რომ აშენოს
მერცხალმაც კი თავის ბუდე,
ყველას გულში, მაშინ, მართლაც,
სიხარული დაიბუდებს.

შუქსა გვფენდეს მზე და მთვარე,
ციმციმებდეს ცისარტყელა...
სულ, – მშვიდობით თენდებოდეს, –
ბრწყინვალედეს დილა – ყველა.

შემოდგომა

სექტემბერმა სავსე გულით
გამოფინა – გამოფენა,
ვაშლი, მსხალი და ატამი
თავს ინონებს ნაირფერად...

მზე კი ცაზე დასეირნობს
და სხივებს ჰფენს ფენა-ფენა...
ბაღჩა, ბალი, ვენახები
ქარვისფერად დაიფერა.

ჩურჩხელებიც გაივლო და...
ჯაგნად ვკინძავთ ტკბილ-ტკბილ ყურძენს,
ბებო ბავშვებს ასაჩუქრებს,
ყველას გული ტკბილად უძგერს.

სადაც არის, – ნელინადი
გზას დაუთმობს, – უკვე, ახალს...
საჩუქრებით დამშვენებულს
თოვლის პაპას მალე ვნახავთ.

კეთილი მზე

პაპამა თქვა: მზე მთვარესაც
უნაწილებს თავის შუქსო,
მთვარე, კიდეც, ვარსკვლავებსა
მოოქროვილ სამოსს უქსოვს.

რა კეთილი ყოფილა მზე, –
ამას, უკეთ, მივხვდით, პაპა,
მზეზე, მთვარე – ვარსკვლავებზე,
ხომ გვიამბობ, ლამაზ ზღაპარს.

როგორ არა, მომისმინეთ,
ჩემთან მოდით, აბა, ყველა,
ცა და მიწა დაამშვენა –
ნაირფერმა ცისარტყელამ.

წისარტყელა

ცაზე თავს ინონებს ცისარტყელა,
ნახეთ, რა ლამაზი ვარო!
წვიმამ წყალი ასვა მთას და მდელოს:
მთელი საბალნარე ხარობს.

ნიკა, – უკვე, ხატავს ცისარტყელას,
და... სთხოვს: ჯერ, არ გაქრე ცასო...
კარგი, დამხატე და დრო არ იცდის,
უნდა გზა დაუთმო დარსო.

ცხრათვალა მზე გამობრწყინდა, – მოალერსე,
ცისარტყელა, უკვე, არ ჩანს;
შვიდი ფერის, ნაზი ცისარტყელა
ნიკას ნახატებში დარჩა.

ფიფქები

რას გვალოდინებთ, ფიფქებო,
ჩვენ, რა ხანია, გელითო;
გეწვევით და გაგახარებთ –
მალე, ახალი წელითო.





ბატი და მურა

ბატი ჭკვას არიგებს მურას,
გიცნობ, ჭკვიანი ხარ, ვითომ,
ერთი, რამ, დაიხსომე, მხოლოდ,
იარე – მეტი სიფრთხილითო.

ნეტავი, სად გეჩქარება, მურა? –
გზას რომ გადაირბენ – ჩქარა...
ბატები უკან ვიხვეთ, ვფრთხილობთ,
არ მივუახლოვდეთ მანქანას.

ბატო, დარიგებისთვის მადლობა
სიფრთხილეს არ სტკივა თავი,
მოდით, დავარიგოთ ფისუნაც,
დრო აღარ არისო, – დავის...

მამლაყინა და თოვლი

არ ჩამოდის – ჩვენი, კობტა,
მამლაყინა, – ქანდარიდან,
მე, ის ეზო მირჩვენია,
ისევ, მწვანე ეზო მინდა!

რად შეშინდი? – ქოჩორამ თქვა:
ფიფქი მოდის მაღლა, ციდან,
ფიფქმა როგორ შეგაშინა?! –
ფიფქებია, – ერთი ციდა.

ერთი წლისაც რომ არა ხარ,
არ გინახავს ჯერაც – თოვლი,
შემოდგომას გაჰყოლია –
მწვანისანი ეზო-მოლი.

ჩამო დაბლა, ნუ შეშინდი,
რა უყავი სიგულადე?!...
თუ, შეგაკრთო რამემ, წამსვე,
შენს მეგობრად მიგულადე.

და... ქოჩორას დარიგება
გაიგონა ყინნამ, – იმ წამს,
გაგულადდა, ჩამოფრინდა
ქანდარიდან – მამლაყინა.

წვიმა კოკისპირული

უცებ, წვიმა წამოვიდა,
მართლაც, – კოკისპირული,
ბებოს რომ აქვს დიდი კოკა,
წყალს ინახავს, – ყინულის.

ან, სკოლაში როგორ წავალთ?! –
ჩვეული, – სიხარულით...
ცას შევთხოვოთ, იქნებ, წვიმდეს,
მხოლოდ, – დოქისპირულით.

დროა – თოვლში თამაშის...

შორით მოჩანს ფიფქები,
ფარავენ ცის კაბადონს,
ზეცამ – თეთრი ფიფქები
გადაიცვა კაბადო.

უჰ, რამდენი ფიფქია, –
ბრილიანტის საბადო,
დროა, – თოვლში თამაშის, –
ქალაქად თუ დაბადო.



პოეტის ეხთი ღეჟი


მარიამ კობანიშვილი

* * *

ეს ოქტომბერიც ილევა უკვე...
მერამდენა... ვის ახსოვს ნეტავ?...
მზე არის საღვთო კრავივით მშვიდი...
მიდამო მაჭრის სურნელით ფეთქავს...
ვილაცა დადის ქუჩებში ღამით
და ფანტავს ფერებს უფლის სკივრიდან...
მახსოვს, ვიყავი სიზმარში ავად
და ვილაც, როგორც დედა, მივილიდა...
მერე შენც მოხველ... სულ არსაიდან...

ხო, სწორედ ისე, როგორც ზღაპარში...
ოღონდ არ ჩანდა რაში – ზღაპრული,
ელვაჩანული, მზისფერ ფაფარში...
იყო ჰაერი გოლეულივით
და გამჭვირვალე, როგორც საფირი...
და ფანჯარასთან ოქტომბრის ნაცვლად,
ილიმებოდა ჩვილი აპრილი...
და აჰა, ამყვა სიტუბო სიზმრიდან...
და შემოდგომის ბილიკს მივყვები...
ო, ღმერთო ჩემო, მზეა ისეთი,
ვერ შენიშნავენ მხოლოდ ბრიყვები...
ეს ოქტომბერიც ილევა უკვე...
მაღე თეთრ კარავს გაშლის ზამთარი...
გადაუნახავს აპრილს ნობათად,
ჩემს ბავშვურ სიზმარს, დროის დავთარი.





80 წელი გასულა, – პოეტის დაბადებიდან.
ამ წლებმა სამშობლოს – საქართველოს სიყვარულში გაიარა...

წინ დიდი მწვერვალები აქვს დასალაშქრი პოეტს, იგი, ხომ სამშობლოს მკერდზე ანთია.

ერთი, უბრალო, კაცი ვარ,
სულით და ხორციტ ქართველი,
სამშობლოს მკერდზე ვანთივარ,
როგორც – საყდარში სანთელი.

მისი ლექსები – მისი გულის, სულის ნაყურია,
თემატიკა მრავალფეროვანი, მაგრამ, მაინც მისი
ლექსთა კრებულების ლეიტმოტივი სამშობლოს სიყვარულია.

ეს ზეცა ქუდად მიმაჩნია,
მინა – ქალამნად,
სამშობლო – დროსთან შერკინებულ
ჯავშან-გალავნად.

მიუყვება პოეტი ჭეშმარიტების, სიმართლის,
სიკეთის, სიყვარულის გზა-ბილიკებს. მან კარგად
იცის, რომ წუთისოფელი, ხან, სიურპრიზებს
გვთავაზობს, ხან, სევდიან ამბებს...

ლექსში იღვრება ჩემი სული, თანდათანობით,
ვცარიელდები, როგორც პაპის ძველი ხელადა,
მე ნეტარება მეუფლება, – მუზის წყალობით,
გული ნათდება და ბრწყინდება, უცბად, ხელადა.

ჯემბეხი უთრუთაშვილი ოთხი წიგნის ავტორია:
„მამის ცრემლები“, „ზედაშე“, „ამაღლება“ და „გოლგოთა“.

მთელი სიცოცხლე ენატრობ და ვცდილობ,
საკუთარ თავთან ვიყო მართალი,
მაგრამ არ ვიცი, რით მოვიცილო,
კაცი მოშურნე, ცრუ და ავთვალის.
იგი უმღერის რთვლობას, მის პოეზიასაც რთვლობის ჟამი უდგას.

აჰა, დადგა რთვლობის ჟამი

მზე მტევენებში ჩაღვენთილა,
წითლად ღუის რქანთიელი,
ეფერება ვაზებს, ვით შვილს,
მეზვრე, – დაკოჟრილი ხელით.
აჰა, დადგა – რთვლობის ჟამი,
ჟამი – ვაზის ქორწილისა...
და... მარნებში მოჩუხჩუხებს –
მადლი ქართულ მინა-წყლისა.

პოეტმა კარგად იცის, რომ ვაზი საქართველოს სიძლიერეა.

გულითადად ვულოცავთ ბატონ ჯემბეხის საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ახალ-ახალ გამარჯვებებს პოეზიის დიდ გზაზე.

**მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთი“**



წერილი – საქართველოზე შეყვარებულ ადამიანებს!

ღმერთმა, რომ ერთი სურვილი ამისრულოს, ყოველგვარი დაფიქრების გარეშე, ვისურვებდი, რომ ყველა ქართველის გულში გადარჩენილი საქართველო ცოცხლობდეს. დღეს, ჩვენს ქვეყანაში, სამწუხაროდ, პირად, თუ საზოგადოებრივ პრობლემებზე საუბარი ბევრად უფრო სასიროცხვილოა, ვიდრე უზნეობა, უღირსობა, უსულობა, უგულობა, უღმერთობა, უმადურობა და სხვა მრავალი არაადამიანური ქმედებები. პირად პრობლემებზე საუბარი კიდევაც გვეუხერხებულება იმიტომ, რომ ჩვენს გარშემო უთვალავ ადამიანს ჩვენზე ბევრად უჭირს. წარმოვიდგინოთ, რას ჰგავს დღეს დაჩეხილ-დაქუცმაცებული ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო. იმის მაგივრად, რომ კარგად დაფიქრდეთ, ვინ ვართ, ვისი გორისანი ვართ, რას ვაკეთებთ, ან ჩვენი ცხოვრებით და საქმიანობით ვის წისკვილზე ვასხამთ წყალს, ქვეყნისა, თუ ქიქლებივით შემოსეულ შინაურ და გარეშე მტრებისა, საკითხავია...

„სიტყვა სწყურია-ო ქვეყანას“, ზარის ხმასავით ისმოდა სულმნათი ვაჟა-ფშაველას გოდება. მუხლებზე მდგარი და ხელაპყრობილი უფალს რომ შესთხოვდა: „ღმერთო, შეაყვარე ქართველებს – საქართველო-ო“.

საქართველოს ყველაზე დიდი ჭირისუფალი და გულშემატკივარი, მისი სულიერი მამა, დიდი ილია ჭავჭავაძე ფაქტიურად სანთლად იყო ქცეული. მისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე, მუდმივად ანათებდა და იწვოდა, მაგრამ ვინ დააცალა ბოლომდე დახარჯულიყო?!

თორმეტი წელია კახეთში ვცხოვრობ. ბუნებრივია, უზომოდ მიყვარს ყველა კახელი, თუში, ფშაველი, ხევსური და ყველა კუთხის ქართველი, თუ არაქართველი. თუ ვინმე მკითხავს: ვინ ხარ და როგორ ცხოვრობ? ჩემი პასუხი იქნება ასეთი: ერთი, ყველაზე პატარა კაცი ვარ, – ზვიადი სვანეთის შვილი. ისე ვცხოვრობ, როგორც ჩვენი საქართველო. მთელი ღამე შამფურივით ვტრიალებ, ძილი არ მეკარება გულდარდიანს, რადგანაც, ალბათ, მეც არ გადამქცევია გული ყინულად და სამშობლოს სიყვარულის ფასს მეც ვგრძნობ სულით, გულით, თუ სისხლით. მანუხებს ჩვენი მრავალათასწლოვანი ტრადიციების ბედი.

ბევრჯერ, – ჭირის, თუ ლხინის სუფრიდანაც მშიერი და მწყურვალი გამოვდივარ – დანა პირს არ მიხსნის, – ყოველგვარი გაზვიადების გარეშე. ერის დაკნინებით გამოწვეული სულიერი და ფიზიკური ტკივილები მეც, ისევე მანუხებს, როგორც ბევრ თქვენგანს.

ქართული სუფრა აკადემიააო. მართალია, მაგრამ... დღევანდელ დროში, სამწუხაროდ, აქაც იგრძნობა უზნეობის სიჭარბე, ღირებულებებისა და ფასეულობების გაუფასურება, ტრადიციების

დაკნინება. ქართული სუფრის სამი უმშვენიერესი ფასეულობის – სადღეგრძელოს, ლექსის, სიმღერის (ცხადია ვგულისხმობ ქართულ მრავალხმიან სიმღერას) გარეშე სუფრიდან ღირსება და მაღლი იდეენება და ქართული სუფრა ემსგავსება ღრეობას. ნამდვილი ქართველი სუფრაზე ისე უნდა იქცეოდეს, როგორც ეკლესიაში. ჩვენი დიდი წინაპრები იმხელა მორწმუნენი იყვნენ, რომ შეეძლოთ უფლისთვის სული თვისი შეეწირათ და ლოცვა კანდელად აენთოთ. დღეს, ბევრი ქართველისთვის, საკუთარი სულის გაყიდვაც არ წარმოადგენს ტრაგედიას. აი – ეს არის: ჩვენი ქვეყნისათვის უდიდესი ტრაგედია. ასიათასი მონამის, ექვსი ათასი ბერის, წმინდა ქეთევან მონამე დედოფლის სამშობლოში ამგვარი დაცემა ვის დააყენებს ნორმალურ გუნებაზე?! ეს, ხომ, ჩვენი დაუძინებელი მტრების მიზანია? ნუთუ, ქართული ოჯახის სიბოროს მაღლი, სულგაყიდულებს, ცხოვრებაში საერთოდ არ უგრძნობიათ?!

თელავი საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული კოლორიტული ქალაქია და, რაც მთავარია, პოეტების ქალაქია. ვინ იცის, რამდენჯერ მინატრია აქ პოეზიისა და ფოლკლორის საღამოებზე დასწრება, როგორც პოეზიისა და ფოლკლორის მოყვარულსა და გულშემატკივარს. ბავშვობიდან, არც ერთი პროფესიის ადამიანი ისე არ შემეყვარებია, როგორც – ქართული ლექსის დიდოსტატი პოეტები და ჰამლეტ გონაშვილის სიმღერები. ლექსი ხომ სულიდან მოდის, მისი ნაყოფია, მისი სიმღერაა. როდესაც საქართველოზე ფიქრი მომეძალება ორი წამალი მამშვიდებს: პირველი – ლექსი, ხოლო მეორე – სიმღერა. ღამე უპირატესობას ლექსს ვანიჭებ, დღისით კი სიმღერას.

ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს „თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასაო“. ეროვნული სურნელით გაჟღენთილი, უაღრესად საინტერესო ლიტერატურულ ჟურნალ „ოლეს“ არსებობის შესახებ საუბარს რამდენიმე წლის წინ მოვკარი ყური. ამის შემდეგ, შემთხვევით (ალბათ, უფლის ნებით) გავიცანი უდიდესი შემოქმედი, დიდებული მახვში, გენიალური პოეტი და დიდი საზოგადო მოღვაწე ბატონი ფარნა რაინა. მასთან, სულ მცირე დროის განმავლობაში, საუბრისას ვიგრძენი, რომ ჩემს წინ იდგა ის კაცი, ვისაც მე მთელი ცხოვრება ვეძებდი. საბედნიეროდ, საქართველოში ბრძენ კაცს რა გამოლევს. წლების წინ მქონდა ბედნიერება ახლოს მცნობოდა და საქართველოს შესახებ მესაუბრა ბუმბერაზ ადამიანებთან: გურამ შარაძესთან, ლევან სანიკიძესთან, აკაკი ბაქრაძესთან, ვახუშტი კოტეტიშვილთან და სხვებთან. მათმა ამქვეყნიდან წასვლამ უდიდესი სევდა დაგვიტოვა, რადგანაც მათნიერთა მხრებზე დგას საქართველო. მჯეროდა, რომ





ბედი კვლავ შემახვედრებდა ასეთ ადამიანებს და აჰა, გამოჩნდა თეთნულდით თეთრი და სპეტაკი კაცი ფარნა რაინა. ერთ დღეს, მასთან და მის მეგობრებთან შესახვედრად, საგანგებოდ წავედი თელავში. ამ თბილი გულის ქალაქში ცხოვრობენ ყურადღებიანი ადამიანები. ქალაქის სკვერში, გრძელ სკამზე ოთხი ასაკოვანი მამაკაცი ისხდა. მათ მივესალმე და ვკითხე: სად მდებარეობდა ჟურნალ „ოლე“ რედაქცია. ერთი მამაკაცი ფეხზე წამოდგა და მითხრა: წამოზრდით, მე მიგიყვანთო. საკმაოდ შორ მანძილზე ვიარეთ, მერე ერთ-ერთი შენობის მესამე სართულზე ამიყვანა და რედაქციაში შემიძღვა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ახლოს გავიცანი ბატონი ფარნა რაინა და ასევე ღვანლმოსილი პოეტები, ქალბატონები: ნუნუ ძამუკაშვილი (მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ ახალგაზრდა მწერალთა სექციის ხელმძღვანელი) და თინათინ მრელაშვილი (მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარის მოადგილე). უცნობ მამაკაცს დიდი მადლობა მოვახსენე ესოდენი ყურადღებისა და შენუხებისათვის. მალე, იგი რედაქციიდან გავიდა. მოგვიანებით გავიგე, რომ ეს ღვთიური ქართველი ყოფილა კბილის ექიმი, ბატონი სულხან სულხანიშვილი.

ახლა რაც შეეხება ბატონ ფარნასა და მისი მეგობრების მოღვაწეობას. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც მადლიანი კალმით იბრძვიან ქართული ღირებულებებისა და ფასეულობების გადასარჩენად. ჟურნალი „ოლე“ და მისი სარედაქციო კოლექტივი, მთავარ რედაქტორ აკაკი დაუშვილთან ერთად, ისევე საჭიროა კახეთის

რეგიონისთვის და, არა მხოლოდ კახეთის რეგიონისთვის, როგორც ჰაერი, მზის სხივები და საკვები. ჟურნალი „ოლე“, ერთი მხრივ, სამრეკლოს დედოზარს წარმოადგენს, – საქართველოზე შენუხებული ადამიანებისათვის, და, მეორე მხრივ, იგი შემდეგებელი დვრიტაა ნიჭიერ შემოქმედთა ღვანლის წარმოჩინების საქმეში. „ოლე“ ადამიანთა გულებში ეროვნულ გრძობებს ადუღაბებს. „ოლე“ სარკის ფუნქციასაც ასრულებს, რომ ადამიანებმა საკუთარი თავი კარგად დაინახონ. ძალზე დიდი მნიშვნელობა აკისრია ამ სახელოვან ჟურნალს საზოგადოების გამთლიანების ეროვნულ საქმეში და ამიტომაც, ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს, რადგანაც მე ვიპოვე ის, რასაც და ვისაც ვეძებდი „ოლეს“ სახით.

მინდა ქართული სიტყვის ერთ-ერთი ალამდარის ძვირფას შემოქმედებით კოლექტივს ახალ-ახალი წარმატებები ვუსურვო და ვუთხრა:

„თქვენთან სიცოცხლე, თქვენთან სიკვდილი, თქვენთან ყოფნა და თქვენთან დარჩენა!“

(რა თქმა უნდა, თუკი, ან მიძმობთ და, ან მიყმობთ).

უბატონო კუთხის შვილს, სიტყვა ყმობაზე საშინელი რეაქცია მაქვს, – მავანთან და მავანთან დაკავშირებით, მაგრამ „ოლეს“ ყმობას, საქართველოს უღელს და მონობას არასოდეს ვითაკილებდი.

რომიო ფირცხელანი

სვანური ტრადიციების აღდგენის კოორდინატორი, სახალხო მთქმელი, შვიდი ვაჟიშვილისა და ერთი ქალიშვილის მამა



თოჯინები,
ავტორი ნუნუ ბერია





დოროთი პარკერი



რესპუბლიკის ჯარისკაცები¹

იმ კვირა დღეს, შვედ გოგონასთან ერთად, ვალენსიის ერთ-ერთ კაფეში ყინულის ნატეხებით სავსე ვეება ჭიქებით ვერმუტს ვსვამდით. მიმტანი ნაცრისფერ ყინულის ბურთულებს მაგიდებს შორის სიამაყითა და ხალისით დააქროლებდა.

ოთახი გამაყრუებელი შეძახილებისგან გუგუნებდა. მიმტანს ხმამალა უხმობდნენ, ხელითაც ანიშნებდნენ, მაგრამ ოფიციანტს თავის უკან მიბრუნებისას დაკუნთული ზორბა მხრები კედელივით ეფარებოდა და მოთმინებადაკარგულ კლიენტთა გალიზიანებულ მოძრაობებს ხშირად ვერც კი ამჩნევდა.

ქუჩებში ლამპიონებს არ ანთებდნენ და სწრაფად ჩამოხვდნენ. გვიანი დროის მიუხედავად კაფეში ბავშვებიც ისხდნენ, რომლებიც ასაკისათვის შეუფერებლად, ცელქობისა და ხმაურის გარეშე, სერიოზული სახეებით ათვალეირებდნენ იქაურობას.

გვერდით მაგიდასთან ექვსიოდე თვის გოგონა მამის მუხლებზე წამოსკუპებულიყო. სუსტი აღნაგობის კაცს ფართო უნიფორმა ეცვა. მას ახალგაზრდა, გამხდარი, ფეხმძიმე მეუღლე ახლდა, რომელსაც გახუნებული ნაჭრის კაბიდან დიდი მუცელი მოუჩანდა და ალტაცებით შეჰყურებდა ქმარს, თითქოს კვლავაც მის მოხიბვლას ცდილობსო. მათი ყავა კი ცივდებოდა.

ბამბის ქულასავით ქათქათა გოგონასთვის კაბა მოხდენილად განეახლებინათ და ქსოვილზე განსხვავებული შეფერილობის საკერებლები თვალში ერთბაშად არ გხვდებოდა. ლურჯი ბაფთით თმა ისე გულდასმით შეეკრათ, რომ ერთი ჩამოშლილი კუთხულიც არ მოუჩანდა. ისე კი, ასეთ თხელ თმაზე დიდი ბაფთა არ უნდა შეებათ.

– კაი რა! – ვუსაყვედურე საკუთარ თავს, – რა ჩემი საქმეა ლურჯი ბაფთა. ანდა დედა, რომელიც ზის და არაფერს მიირთმევს, თუმცა, მშვენივრად კი გამოიყურება. საერთოდ, რატომ ვფიქრობ ამაზე?

დიდი, დაბინდული ოთახი ხალხით გადაჭედ-ილიყო და ყურისწამლები ხმაური იდგა. დილით ქა-

ლაქი თვითმფრინავებმა დაბომბეს, არადა კაფეში მყოფთაგან სასონარკვეთილება არავის ეტყობოდა, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე ისხდნენ. ზოგი ყავას წრუპავდა, ზოგიც გამაგრებულ სასმელს მიირთმევდა, თითქოსდა ერთი ჩვეულებრივი, რიგითი კვირა დღე ყოფილიყო.

ოთახში განსხვავებული ფორმიანი ჯარისკაცები ირეოდნენ, გეგონებოდა ერთდროულად ოცი არმიის უნიფორმა ჩაუცვამთო. დაჭრილებიც იყვნენ, აქა-იქ ყავარჯნებითაც დაჩლახუნობდნენ. სამოქალაქო ტანსაცმლიანებსაც ბლომად მოეყარათ თავი – ზოგი ჯარისკაცი შინ შვებულებით ჩამოსულიყო, სახელმწიფო მოხელეებიც მოსულიყვნენ, ზოგსაც სტუმარი ახლდა. რამდენიმეს ენერგიული, ახალგაზრდა მეუღლე უმშვენებდა გვერდს. უამრავი ლამაზი ქალიშვილიც იწონებდა თავს, რომელთაც საკმაოდ მოკრძალებული სამოსი ეცვათ.

– საოცარია, – ვუთხარი შვედ გოგონას, – არც ერთი არ გამოირჩევა მოხდენილი ჩაცმულობით. მგონი, ეს არც კი შეგინიშნავს, არა?

– ნურც შენ მიაქცევ ყურადღებას, – მიპასუხა მან. თითქმის არავის ეხურა ქუდი, გარდა რამოდენიმე ჯარისკაცისა. ქუდზე ერთი ამბავი გამახსენდა. ვალენსიაში ახალჩამოსული ძალიან განვიცდიდი, როდესაც ჩემს ქუჩაზე ყველა დამცინოდა. დაცინვის მიზეზი ის კი არ იყო, რომ ნიუ-იორკიდან ვიყავი და რაღაცნაირად ეს სახეზეც კი მეტყობოდა, პირიქით, ვალენსიაში ამერიკელები უყვარდათ და პატივს სცემდნენ. ზოგი ექიმი იყო, რომელთაც საკუთარი საქმე მიატოვეს და დასახმარებლად ჩამოვიდნენ. იყვნენ ახალგაზრდა სათნო ექთნები და ინტერნაციონალურ ბრიგადებში² გაერთიანებული მამაკაცები. აი, სიცილს კი ჩემი ქუდის ფორმა ინვევდა. თითს ქუდისკენ იშვებდნენ და მხიარულად ყვიროდნენ – „Ole!“

² ინტერნაციონალური ბრიგადები – შეიარაღებული ქვედანაყოფები, შედგენილი უცხოელი მოხალისეებისაგან (ფრანგები, ამერიკელები, პოლონელები, იტალიელები, ინგლისელები, ავსტრიელები, გერმანელები და ა.შ.), რომლებიც მონაწილეობდნენ ესპანეთის სამოქალაქო ომში ესპანეთის რესპუბლიკის მხარდასაჭერად.

¹ რესპუბლიკის ჯარისკაცები – ესპანეთის სამოქალაქო ომში (1936 – 1939) ესპანეთის რესპუბლიკის მთავრობის მომხრე ჯარისკაცები.





ერთი წყვილი აუღელვებლად იჯდა, ერთმანეთ- ისთვის მორიდებით ჩაეკიდათ ხელი და იმდენად გულწრფელი სიყვარული გამოსჭვიოდა მათგან, რომ რეალობისთვის შეუფერებლადაც კი გამოი- ყურებოდნენ.

ქუდი ახლაც მეხურა, მაგრამ აღარავის დავუცინივარ, რადგან ეს იმ სასაცილო ქუდთაგანი არ იყო.

წამოვდექი და ნაცნობთან გამოსალაპარაკებ- ლად მოპირდაპირე მხარეს გავემართე. უკან მო- ბრუნებულს მაგიდასთან ექვსი ჯარისკაცი დამხვდა და სკამამდე გაჭირვებით მივალწიე.

არაქათამოცლილ ჯარისკაცებს მზერა ჩაჭქრო- ბოდათ და უსუფთაოდ ეცვათ. მათი დაკუნთული კისრების შემხედვარემ თავი უსუსურად ვიგრძენი.

ექვსივე შვედ გოგონას ემუსაიფებოდა. გოგო- ნამ ესპანურიც იცოდა, ფრანგულიც, გერმანულიც, სკანდინავიურიც, იტალიურიც და ინგლისურიც. იგი ძალიან წუხდა, რომ ჰოლანდიურად ველარ ლაპარა- კობდა, მხოლოდ კითხულობდა. რუმინულიც დავი- ნებებოდა.

შვედმა გოგონამ მითარგმნა, რომ ჯარისკაცები სიგარეტს ნატრულობდნენ. 48 საათიანი შვებულების ვადა სადაცაა ამოწურებოდათ და სანგრებში უნდა დაბრუნებულიყვნენ. სიგარეტისთვის ფული შეა- გროვეს, მაგრამ ერთი ლერიც ვერ იშოვეს. ხელჩა- ნთაში ამერიკული სიგარეტის გაუხსნელი კოლოფი მეგულებოდა. ახლა მათთვის სიგარეტი ძვირფას თვლებზე მეტად ფასობდა. კოლოფი ამოვიღე, თავი თავაზიანად დავუკარი და გაფულდიმე. თავდაპირვე- ლად განზრახვას ვერ მიმიხვდნენ, მერე კი კოლოფს დასწვდნენ და სიგარეტს ყვითელფითილიანი სანთე- ბელათი მოუკიდეს. აღმოდებულ ფითილს მძაფრი, უსიამო სუნი ავარდა. ჯარისკაცებს შეკვეთილი ყავა მოუტანეს.

შვედი გოგონას დახმარებით ვსაუბრობდით. ჯარისკაცები სიტყვებს საკმაოდ გამოკვეთილად წარმოთქვამდნენ. როცა რალაცას მოყვებოდნენ, ისე გადმოგვხედავდნენ, თითქოს დარწმუნებულ- ნი იყვნენ, რომ ნათქვამი სიტყვასიტყვით გავიგეთ. ჩვენც გვეხატებოდა და თავს ისე ვაჩვენებდით, თითქოსდა სიტყვა არ გამოგვრჩენოდეს.

შვედმა გოგონამ გვითხრა, რომ ისინი ყველანი ფერმერები და ფერმერების შვილები იყვნენ იმდე- ნად ლარიბი რეგიონიდან, რომ მსგავს სიღარიბეს ძნელად თუ წარმოიდგენდა ადამიანი. მათ სოფელში კორიდა იმართებოდა და სანახაობაზე დასასწრე- ბად უამრავ ხალხს მოეყარა თავი, ბავშვებიც მრავ- ლად იყვნენ. სწორედ ამ დროს ცაზე გამოჩენილმა თვითმფრინავებმა იქაურობა დაბომბეს. ორასზე მეტი ადამიანი დაიხოცა.

ერთი წელია ექვსივენი ომობენ და უმეტეს დროს სანგარებში ატარებენ. ოთხი მათგანი დაოჯახებუ- ლი ყოფილა. ერთს – ერთი შვილი ჰყოლია, ორს – სამ-სამი, ერთს კი ხუთი. რაც ფრონტზე წავიდნენ მათზე სიტყვაც არ სმენიათ. წერა სანგარში, თა- ნამებრძოლისგან ისწავლეს, მაგრამ შინ წერილის გაგზავნას ვერ ბედავდნენ, რადგან რესპუბლიკე-

ლთა მხარეს იბრძოდნენ. სოფელი კი, სადაც მათი ოჯახები ცხოვრობდნენ, მეამბოხებმა იგდეს ხელთ და რესპუბლიკელთა ბანაკიდან წერილის მიმღები შესაძლოა სიკვდილით დაესაჯათ.

ისინი ჯარისკაცები იყვნენ და ნებისმიერ დროს მზად უნდა ყოფილიყვნენ თავგანწირვისთვის. წელი- წადზე მეტია ოჯახებიდან ცნობა არ მიუღიათ, საყ- ვარელი ადამიანებისთვის თვალიც არ მოუქრავთ. არ წუნუნებდნენ, უბრალოდ საკუთარი გულისტ- კივილი გაანდეს გოგონებს.

მთელი წელი ომობ, ცხოვრობ სანგარში, არაფერი იცი საკუთარ შვილებზე, ცოლზე. შინაურებმა ისიც კი არ იციან ცოცხალი ხარ თუ მკვდარი, ან იქნებ დაბრმავდი? შემთხვევით თუ გადააწყდებოდი ადა- მინს, რომლისგანაც ოჯახზე ერთ-ორ სიტყვას გაიგებდი.

ექვსიოდე თვის წინ, ერთ-ერთ მათგანს, ფრანგი ცოლისძმისგან შეუტყვია მეუღლესა და სამ შვილზე. ყველანი ცოცხლები ყოფილან, თუმცა უკიდურეს გაჭირვებაში უხდებოდათ არსებობა – ყოველდღი- ურად ლობიოთი იკვებებოდნენ. მისი მეუღლე საჭ- მელზე არ წუნუნებდა, მხოლოდ იმაზე წუხდა, რომ ძაფი არ ჰქონდა ბავშვების დაძინილი ტანსაცმლის დასაკემსად. ამან ჯარისკაცი ძალიან დაამწუხრა და გააღიზიანა.

– ღმერთო ჩემო, ჩემს ცოლს ძაფის ნაგლეჯიც კი არა აქვს ტანსაცმლის დასაკერებლად, – გვეუბ- ნებოდა აღელვებული, – ძაფიც კი, წარმოგიდგენი- ათ?!

ვისხედით და შვედ გოგონას ვუსმენდით, რომელ- მაც უამრავი საინტერესო რამ გვიამბო ჯარისკაცე- ბის მონათხრობიდან. უცებ ერთ-ერთმა მათგანმა კედლის საათს გახედა. ჯარისკაცებს აღელვება დაეტყოთ. სასწრაფოდ წამოიშალნენ, მიმტანს დაუ- ძახეს, რალაც უთხრეს. მერე თითოეულმა მათგანმა გამოსამშვიდობებლად ხელი ჩამოგვართვა. სახეებ- ზე ამოვიკითხე თუ როგორ ეწადათ დარჩენილი სიგ- არეტის წაღება – თოთხმეტი ლერი ექვსი ჯარისკა- ცისთვის. ცხადია, სიგარეტი მათ დავუთმე. კვლავ ხელი ჩამოგვართვეს და გასამხნეველად ყველამ ერთხმად რამდენჯერმე შევძახეთ – „სალუდ!“ ისი- ნი კაფედან გავიდნენ – ექვსი ჯარისკაცი გაჭუჭყ- იანებული სამოსით და უზომოდ დაღლილები.

ახლა მხოლოდ შვედი გოგონა საუბრობდა, რო- მელიც ესპანეთში ომის დაწყებისთანავე ჩამოვიდა. ის დაჭრილებს უვლიდა და სანგრებში საკუთარი ხე- ლით დაჭრებდა საკაცე. ჯარისკაცებთან საუბრისას საშინელი ამბები გაახსენდა და ჩუმად, უემოციოდ ველარ იჯდებოდა.

აი, ჩვენი წასვლის დროც დადგა. შვედმა გოგო- ნამ ხელები თავზემით შემართა და ოფიცია- ტის მოსახმობად ტაში ორჯერ შემოჰკრა. მიმტანი მოგვიახლოვდა, უარის ნიშნად თავი და ხელები ენ- ერგიულად გააქნია და უკან გაბრუნდა.

ჩვენი დანახარჯი ჯარისკაცებს გადაეხადათ.

ინგლისურიდან თარგმნა
სოფიკო დაუშვილა



ერთი სოფლის სამი მუზეუმი

განა ბევრია სოფელი სადაც სამი მუზეუმი? არა, რა თქმა უნდა. აი, ასეთი გამორჩეული სოფელია ვაქირი, რომელიც ქიზიყში, სიღნაღის მუნიციპალიტეტში მდებარეობს.

1983 წელს ვაქირში გაიხსნა მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილო მოსაშვილის სახლ-მუზეუმი. ილო მოსაშვილი (1896-1957) მრავალმხრივ მოღვაწეობდა სამწერლო ასპარეზზე – იყო პოეტი, თარგმა უკრაინელი და რუსი პოეტების ნაწარმოებები, ამაგი დასდო საბავშვო მწერლობასაც. ილო მოსაშვილიმა ქართულ დრამატურგიაშიც დატოვა თავისი კვალი – შექმნა პიესები და სცენარები ფილმებისთვის.



ვაქირი. ალექსანდრე გზირიშვილის სახლ-მუზეუმი

ილო მოსაშვილის სახლ-მუზეუმი 1980 წელს აგებულ შენობაშია განთავსებული. მუზეუმში დაცულია ილო მოსაშვილის მემორიალური ნივთები, მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ფოტო და დოკუმენტური მასალა.

ილო მოსაშვილის სახლ-მუზეუმიდან გზას ქვემოთ რომ გაუყვები, ვაქირის საჯარო სკოლის (რომელიც ილო მოსაშვილის სახელობისაა) მოპირდაპირე მხარეს, გზის პირას, სოფლის საცხოვრებელი სახლებისგან სრულიად განსხვავებული შენობა შემოგვხვდება, რომელსაც მშვენიერი ეზო აქვს. ჭიშკარი ღიაა და ალბათ არც არასდროს იკეტება, რადგან ეზოს ღობე არ აქვს. სიმწვანეში ჩაფლული შენობა, ქართველი მსახიობის, ვასო გოძიაშვილის სახლ-მუზეუმი. მუზეუმი განადგურების პირასაა მისული.

გულდანყვეტილი არა, უფრო უცნაურად დაფიქრებული გზას გააგრძელებ გზირიშვილების უბნისკენ და უკეთესი მდგომარეობა არც იქ დაგხვდება.

ალექსანდრე გზირიშვილის სახლ-მუზეუმი 1983 წელს გაიხსნა. ალექსანდრე გზირიშვილი (1902-1972) ქართველი ექიმი-მეცნიერი. მან შემოიღო უროლოგიაში კვლევის ელექტრო

ფიზიოლოგიური მეთოდი, თირკმლის ფუნქციის შესასწავლად გამოიყენა იზოტოპები, სრულყოზოგიერთი უროლოგიური ქირურგიული ოპერაცია. იგი არის ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მისი შრომები ეძღვნება თირკმლის კენჭოვანი დაავადების, საშარდე გზების ტუბერკულოზის, თირკმლის გადანერგვისა და სხვა საკითხებს.

ილო მოსაშვილის სახლ-მუზეუმში დაცულია ერთი საინტერესო სურათი. სურათზე აღბეჭდილია რევოლუციონერი ძმების – ჩოდრიშვილების მუზეუმი სოფ. ვაქირში (ჩოდრიშვილებზე ზაქარია ჭიჭინაძემ ნიგნიც კი დაწერა). ვაქირელებს მეოთხე მუზეუმიც ჰქონიათ, რომელიც ხანძარს შეუწირავს. რა დროს მოხდა ეს ხანძარი, აღარ მიკითხავს. იქნება და ვიღაცამ შეგნებულადაც გააჩინა. იყო დრო, კომუნისტების პერიოდში დაგროვებულ ბოლმას ძეგლებსა და მონუმენტებზე ანთხევდნენ. კარგი, ერთი-ორი ძეგლი მთავარი ქალაქების მთავარ მოედნებზე ჩამოვადეთ სადემონსტრაციოდ, გნებავთ გულის მოსაფხანად, მერე რა ვუყავით ამ ძეგლებს? ჯართად ჩავაბარეთ ანუ ცნობიერებით ისევ იქ ვიყავით და აქეთ ველარ გამოვედით, სხვანაირად ვერ შევხედეთ ამ ამბავს, ცნობიერებაში ვერ დავამხეთ ძეგლები. ძეგლები რას დაგვიშავებდა? თითქოს ჩვენ არ ვიყავით კომუნისტური საქართველოს შემოქმედები, თითქოს კომუნისტური საქართველოს ისტორია ჩვენი ქვეყნის ისტორიის ნაწილი არ იყოს. სწორედაც რომ ისტორიის ნაწილია, მისი ადგილი ნიგნებსა და მუზეუმებშია და არა საჯართზე. ისიც ნუ დაგვაგინწყდება, რომ საბჭოთა დროს, იმ ძეგლებს ის ქართველი ხელოვანები ქმნიდნენ, რომელთა შემოქმედებაც ასე გვიყვარს და ასე ვამაყობთ.

ვაქირის სამივე მუზეუმი მძიმე მდგომარეობაშია. ილო მოსაშვილის სახლ-მუზეუმში წვიმის დროს სახურავიდან წყალი ჩამოდის და კედლებს აფუჭებს. ვასო გოძიაშვილის სახლ-მუზეუმზე ზემოთ დაწინე. ალექსანდრე გზირიშვილის სახლ-მუზეუმიც არ არის კარგ დღეში.

უყურადღებოდ დატოვებული მუზეუმები ნადგურდება. ვაქირის მსგავსი ვითარებაა მთელ ქვეყანაში, დედაქალაქშიც კი. სახელმწიფოს, როგორც ჩანს, არ აქვს პოლიტიკა – თუ გვჭირდება მუზეუმები – რატომ და თუ არ გვჭირდება – რატომ. პასუხები არ გვაქვს. ერთი რამ აუცილებლად უნდა ითქვას – არ შეიძლება ასე უმონყალოდ ნადგურდებოდეს კულტურული მემკვიდრეობა და ჩვენ ხან ფინანსების არ ქონას ვჩიოდეთ და ხან სამუზეუმო პოლიტიკის არ არსებობას.



ნუნუ ბებიას თოჯინების ზღაპარი



ნუნუ ბერია დაიბადა ზესტაფონში. ვინაიდან, მისი მამა სამხედრო იყო, ცხოვრება ბათუმში მოუწიათ და იქვე დაამთავრა პირველი საშუალო სკოლა.

შემდეგ, – სწავლა გააგრძელა თბილისის მე-2 სამედიცინო ტექნიკუმში, რომლის დამთავრების მერე მუშაობა დაიწყო თბილისის ჩაჩავას სახელობის საავადმყოფოში, – ჩვილ ბავშვთა განყოფილებაში.

ნუნუს მეუღლე თელაველია და 56 წელია ნუნუს თელავში ცხოვრობს. 35 წელი თელავის რაიონულ პოლიკლინიკაში, – მოზარდთა კაბინეტის მედდად იმუშავა.

ჰყავს ორი ვაჟი.

პატარა ნუკა, – უფროსი ვაჟის გოგონაა – და, როგორც თვითონ იხსენებს, – მისმა დაბადებამ შთააგონა მივიწყებული ოცნების განხორციელება და ბავშვს პირველი თოჯინა შეუკერა. წლები გავიდ თოჯინებზე ოცნებებით და აი, 77 წლის იყო, როცა ახალი ფრთები შეესხა მის ნანატრ სურვილს – დაიწყო თოჯინების კერვა...

იგი ბავშვობას იგონებს: „ბავშვობისას, ალბათ, ბევრ ჩვენგანს შეუკერავს თოჯინები, უბრალო და სადა. სახედ – ღილს ვიყენებდით, რომელსაც მიტკალს გადავახვევდით და თვალებს, წარბებს, ცხვირს, პირს ვუქარგავდით. ხელეზად, ფეხებად, ტანად, – შინდის ორკაპა ჯოხი იყო, – ნაჭერში მოხვეული. თოჯინების შეკერვაში დედა ან ბებია გვეხმარებოდა. შემდეგ, ლოგინს ვუმზადებდით და გადიოდა დრო...

არ იყო კინო, ტელევიზია, წვიმაში ფეხშიშველები დავრბოდით, ხეებზე დავცოცავდით, ვეხმარებოდით ბებიას, ბაბუს.

თვეში ერთხელ სოფელში მოძრავი კინოდანადგარი მოჰქონდათ, სადაც ახალგაზრდები იყრიდნენ

თავს და აჩვენებდნენ რაიმე ფილმს.

ეს მე და ჩემს დას არ გვაკმაყოფილებდა, ჩვენ უფრო თოჯინები გვინტერესებდა.

ერთ დღეს, ყანაში თამაშის დროს, სიმინდის ლერო გადავტყეხე და შიგ თეთრი ღრუბელი დავინახე. გამიჩნდა იდეა, ჩამოვაცალე გვერდი, ორივე მხრიდან ჯოხი გავუყარე და ნახშირით თვალები, ცხვირი და პირი გამოვუსახე. ბებოს მუთაქიდან ამოვქექე ჭრელი ნაჭრები, შემოვახვიე თოჯინას, გავუკეთე აკვანი, ჩავანვინე და იავნანას ვუმღეროდი.

გავიდა წლები და მე ისინი დამავიწყა სწავლამ, ოჯახმა.

და... ხანშიშესულმა გავიხსენე ბავშვობა. გოგო არ მყავდა და, ალბათ, მისი მონატრებით დავინწყე თოჯინების „ქერნვა“. ძალიან ლამაზებია ჩემი თოჯინები, მაგრამ ახალი თოჯინა წინაზე უფრო ლამაზია. როცა, ღამით ყველა იძინებს, მე მაშინ ვკერავ; საფიქრალი ბევრია, რა ჩავაცვა თოჯინას, რა უფრო მოუხდება, რომ სხვებსაც მოეწონოთ და კამაყოფილები დარჩნენ. სიამაყის გრძობით ვივსებ, როცა შეკერილი თოჯინა ხელში მიჭირავს. ზოგს ვჩუქნი, ზოგს ვყიდი.

ცხოვრება ხან ღვინია, ხან სევდაა და, ამიტომ, სანამ ჯანი და ღონე მოგვდევს, უნდა გამოვიყენოთ ნიჭი, გამოცდილება.

ფეისბუქიც გამიხსნა ჩემმა შვილიშვილმა, რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

ჩემი თოჯინებით რამდენიმე ტელევიზია დაინტერესდა და მათ მიერ მომზადებული სიუჟეტები ეთერში გავიდა“.

ადა ბახტურიძემ „ქალები საქართველოდან“ – გამოსცა წიგნი, სადაც ნუნუ ბერია 120 ქალთან ერთად არის წარმოდგენილი თავისი თოჯინებით.

ნუნუს შეკერილი აქვს 500-ზე მეტი თოჯინა და კერვას დღემდე აგრძელებს.

ნუნუ კამუკაშვილი



ფარნა რაინას შემოქმედებითი საღამო

15 ოქტომბერს, თბილისის მწერალთა სახლში, გაიმართა ფარნა რაინას შემოქმედებითი საღამო. გამომსვლელებმა, ძირითადად, ყურადღება გაამახვილეს ფარნა რაინას კატრენებზე და ხაზი გაუსვეს იმ ვერსიფიკაციულ სიახლეებს, რომლებიც ასე თვალშისაცემია ფარნა რაინას პოეზიაში.

საღამო მიჰყავდა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს **თემურ ჩალაბაშვილს**. შესავალი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარემ **რევაზ მიშველაძემ**, რომელმაც უმაღლესი შეფასება მისცა ფარნა რაინას პოეზიას. ბატონ ფარნას პოეზიის დიდ მნიშვნელობაზე ისაუბრეს საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარეებმა: **მაყვალა გონაშვილმა** და **ბალათერ არაბულმა**, რომელმაც წაიკითხა ფარნა რაინასადმი ექსპრომტად მიძღვნილი ლექსი. მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს: ცნობილმა მწერლებმა: **ვანო ჩხიკვაძემ**, **ბადრი ქუთათელაძემ**, **ბიეტა აბშილაძემ**, **მაია დიაკონიძემ**; ლიტერატურულ აღმანახ „ამერიკის“ დამფუძნებელმა და მთავარმა რედაქტორმა **ვაჟა ჩორდელმა**. ფარნა რაინას კატრენებზე დაწერილი ნაშრომები წაიკითხეს პროფესორებმა: **ნანა რჩულიშვილმა** და **რამაზ მეფარიშვილმა**, ასევე **ნინო ლაჩაშვილმა** და **ნუნუ ძამუკაშვილმა**. შემოქმედებითი საღამო ერთგვარად შეაჯამა საქართველოს მწერალთა კავშირის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა **ზაალ ბოტკოველმა**, რომელმაც ფარნა რაინას კატრენების ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას გაუსვა ხაზი, შემოქმედებით საღამოს კი შესანიშნავი და დასამახსოვრებელი უწოდა.

დამსწრეთა თხოვნით ბატონმა ფარნა რაინამ წაიკითხა საკუთარი კატრენები.

სიამაყით აღვნიშნავთ, რომ ბატონ ფარნა რაინას მრავალრიცხოვან პრემიებს შეემატა მეტად საპატიო ჯილდო – „ღვანულმოსილის ნოდება“, რომლის დამადასტურებელი დიპლომი პოეტს თემურ ჩალაბაშვილმა გადასცა.

„ოლეს“ წინამდებარე ნომერში გთავაზობთ ფარნა რაინას გამოსვლის ტექსტს და ბალათერ არაბულის ექსპრომტს.

პოეტური სიტყვა – XXI საუკუნის კარიბჭესთან...

უსაზღვრო სიყვარულითა და უმზურვალესი გულით მოგესალმებით ჩემო, ძვირფასო კოლეგებო, თანამოკალმენო, სიტყვის ოსტატებო და დიდოსტატებო!..

თქვენი უდიდესი და ფასდაუდებელი დამსახურებაა, რომ დღეს, ჩემს შემოქმედებით საღამოზე, ხელცარიელი არ მოვსულვარ, წლების წინ, ჩემი შემოქმედების ესოდენმა დაფასებამ და მონიჭებამ – უმაღლესი, ლიტერატურული პრემიებისა: გიორგი ლეონიძის, ტერენტი გრანელის, ვაჟა-ფშაველასი, ილია ჭავჭავაძისა და ქართული კულტურის ამადარის მედლის, უდიდესი შთაგონება და სტიმული მომცა, – მაღლიერების გამოსახატავად, უამრავი ღამე გამათენებინა და თქვენს წინაშე წარვდექი – ახალი ნობათით, მკითხველთაგან, საქვეყნოდ აღიარებული კატრენებით დახუნძლული, – ფარნაოზ რაინაული – ფარნა რაინად.

ვეცდები – ჩემი, ვრცელი სათქმელი, რაც შეიძლება, მოკლედ ჩამოვაგვირისტო – უაღრესად შრომატევადი და, უაღრესად საინტერესო, სკილა-ქარიბდას შორის, განვლილი გზა...

ბანარტაბა ჩემი მკითხველისადმი...

ჩემო, – ბრძენო და ძვირფასო მკითხველო, წლების მანძილზე რაზეც ვფიქრობდი, მინდა გული გადაგიშალო. ჩვენი გვარის ბერძენების გადმოცემით, კავკასიონის საარწივეთში, სადაც, ამჟამად, ერთ-ერთი, 30 კომლიანი, რაინაულების საგვარეულო სოფელი ვესტმოა გაშენებული, სათავე დაუდვია ხევსურეთიდან გადმოსულ ათაპაპას – რაინას.



ფარნა რაინა, რევაზ მიშველაძე

სკოლიდანვე, უმეტესობა, სახელსა და გვარს შემოკლებით მეძახდა (ქვემო აღვანში, თუშეთში, – ომალოში და რუსთავში, სადაც ვსწავლობდი): ფარნაოზის მაგივრად – ფარნას, ხოლო, რაინაულის მაგივრად – რაინას.

ზუბირი კანონმდებელი, ხომ, ხალხია და ფასეული





ფარნა რაინა, თემურ ჩალაბაშვილი, მაყვალა გონაშვილი

ტრადიციაც ხალხიდან მოდის.

გარკვეული ფიქრის შემდეგ, მეც, უპირატესობა ხალხის არჩევანს მივანიჭე და, რაკი, ხალხმა ფარნაოზ რაინაული მომნათლა – ფარნა რაინად, იქნებ, ეს, საკრალური და ღვთაებრივი მინიშნება იყო...

ბრძნული, გენიალური, ხალხური სენტენციაა: „ხმა – ერისა, ხალხისა და, ხმა – ღვთისაო“...

ამდენად, ჩემი ათაპაპის სახელის – რაინას ასხივოსნება, ჩვენი გვარის წყაროს სათავისათვის, ჩემგან, თავისებური მადლიერების გამოხატვად და პატივის მიგებად მიმაჩნია.

ამიერიდან, ჩემი წიგნებისა და პუბლიკაციების ავტორი იქნება ფარნა რაინა.

კატრენების წინათქმა

Multum in parvo (ლათ.)

ბევრია – ცოტაში...

„XX საუკუნე, – ეს, აღმოჩენების საუკუნეა; იგი ხასიათდება მეცნიერული წინსვლით. ამ პერიოდში დიდი ნაბიჯები გადაიდგა წინ, მეცნიერებასა და ტექნიკაში, თუმცა, ამასთან, უკან წავიდა ზნეობა“, – ასე წერდა, გასულ საუკუნეში, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი – ილია II.

იდენტურია XXI საუკუნეც...

კაცობრიობა, დღევანდელი, ზნეობითა და მორალით, დაღუპვისაკენ მიექანება... თითქოს, აღარაა ის დრო, მკითხველს გულისნადები რომ უთხრა: ვრცელი რომანებითა და ვრცელი ეპოსით, ჭაპანით გაუწელო საჩქარო სათქმელი. ბოლო, — სავალალო, შედეგამდე კი, დრო ძალიან მცირეა, ხოლო, თქმა — სასიცოცხლოდ საჭირო... ახლა, პარმენ ლორიას „შვილებს“, ივანე გონჩაროვის „ობლომოვსა“ და მისთანებს, აგრეთვე, ტრილოგიებს, ალბათ იშვიათნი, იშვიათად კითხულობენ, რადგან, ან, — დრო არ აქვთ, ან — სურვილი.

რაც გამოქვაბულიდან გამოვედით, სისხლითა და ცრემლით მოირწყა ქვეყნიერების ჯვარცმული გზა... ყოფნა-არყოფნის რისკით გამოვიარეთ — პალეოლითი, ნეოლითი... ჩვენი პლანეტა — მარხილიდან, კოსმოსურ ხომალდზე გადაჯდა და... უვრცესი გალაქტიკა — გვინვეს, გვეძახის, უცნობი პატარძალივით, ემზადება დედამიწელი მაყრიონის მისაღებად.

გასული XX საუკუნე, თავისი ატომით, დამოკლეს მახვილივით დაეკიდა ჩვენი პლანეტის თავზე და... მისი სიკეთე, თუ სიავე — იქსად, და იგრეკად გვექცა.

მეორე ათეული წელი იწურება, რაც დადგა XXI-ც...

XXI საუკუნეში, რალაც, მაგიური აღმოჩენების კარიბჭესთან ვიმყოფებით, ალბათ, — ახალ-ახალი, ეპოქალური სასწაულებისათვის, მაგრამ... რამდენადაც პროგრესულია მეცნიერება და ტექნიკა, თითქოს, უკუპროპორციული, რეგრესულია და... თანდათან, ღარიბდება ადამიანის სულის საუნჯე...

თითქოს, — მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ, სადღაც, კუნჭულში მიაგდო მორალის დინამიკა... უკვე, საოცნებო კულტად აქცია: ძველი, სულიერი სინამინდეები...

წუთუ, — პატიოსნება, სიალაღე, სინრფეღე, სიმართლე, სიქველე და, საერთოდ, ღირსება ზედმეტია?!..

მეც არ ვიცი... ჩემთვის, ამოუხსნელმა, უხილავმა, ბობოქარმა ძალამ დამსვა ამ წიგნების (ტრილოგიის) „კატრენების“ დასაწერად.

თავდაპირველად, ვფიქრობდი: ტრილოგიისთვის „სტროფულები“ დამერქმია. ჩემი 75 წლისთავისადმი, საიუბილეოდ, მიძღვნილ ჟურნალ „ოლე“ (№2, 2011 წ.) სპეციალურ ნომერში ერთი ციკლიც კი დაბეჭდა „სტროფულების“ სახელწოდებით, მაგრამ... კვლავ, ინტენსიური ფიქრის შემდეგ, იმ დასკვნამდე მივედი, რომ „კატრენი“, უფრო, კარგად საზღვრავდა სათქმელს.

„სტროფიცა“ და „კატრენიც“ უცხოური სიტყვებია, — პირველი ბერძნულია და ასე განიმარტება: „ლექსის ნაწილი — ორი ან მეტი, გართიმული სტრიქონი, რომლებიც გაერთიანებულია შინაარსობრივად; მეორე — ანუ, „კატრენი“, ფრანგულია; იგი, — მხოლოდ, ერთი სტროფია, — მთლიანი ლექსი, რომელიც დასრულებულ აზრს შეიცავს.

მიუხედავად, თემატური, მრავალფეროვნებისა, ჩემს წიგნებში: სახელწოდებით, — „კატრენები“, — ძირითადი არსი და ლეიტმოტივი — ზნეობა და მორალია, რადგან — იგია კაცობრიობის ღირსებისა და გადარჩენის ერთ-ერთი, მაგრამ უპირველესი გზა...

ადამიანთა გაადამიანებისათვის, ფასდაუდებელი ამაგი დაგვდეს პლანეტის სწავლულებმა, რომლებიც თავისი ჯვარცმის ფასად, ოფლით, სისხლითა და ცრემლით წერდნენ ჩვენს ზნეობრივ და მორალურ კოდექსს...

დიდი უმადურობა იქნებოდა ბრძენთაბრძენ წინამორბედთა შეუფასებლობა და დაუფასებლობა...

ჩემი წინამორბედნი რომ არ ყოფილიყვნენ, ამ გზას ისე ვერ გამოვივლიდი, როგორც გამოვიარე. მე გზად და ხიდად გამოვიყენე მათი უმდიდრესი გამოცდილება და ჩემი წარმატება მათი უდიდესი დამსახურებაც არის.

სანამ წინ წავალთ, უკან უნდა მოვიხედოთ, თვალნი



გადავავლოთ კაცობრიობის განვლილ გზას და, ერთხელ, კიდევ, მთელი სიგრძე-სიგანით, გავიაზროთ: რას გვირჩევდნენ აზრისა და სიტყვის ქურუმნი, გენიალური მოძღვარნი და დამრიგებელნი, წინასწარმეტყველნი, — სამომავლოდ, — სიცოცხლის, სიკეთისა და ბედნიერებისათვის...

უპრიანი იქნება, ერთხელ კიდევ მოვუსმინოთ მათ: არისტოტელე: „ვინც წინ მიდის სწავლაში მაგრამ... უკან რჩება ზნეობაში, ის, უფრო, უკან მიდის, ვიდრე — წინ“...

ჰორაციუსი: „ვერცხლი ოქროზე იაფია, ხოლო, ოქრო — ზნეობრივ ღირებულებებზე“...

შეიშ მოსლექ ოდინ საადი: „უმაღლესი ქმნილება ადამიანია, და უმაღლესი კი — ძალლი, მაგრამ, ბრძენთა საერთო აზრით, განვრთნილი ძალლი, უფრო, მაღლა დგას, ვიდრე — ზნედაცემული ადამიანი“...

მიგელ დე სერვანტეს საავედრა: „სათნობას მოკლებული სწავლა-განათლება იგივეა, რაც მარგალიტი — ნეხვის გროვაში“...

ჟან ჟაკ რუსო: „ზნეობრიობის, მხოლოდ, ერთი გაკვეთილი გამოდგება, როგორც მოზარდებისთვის, ასევე, ყველა ასაკის ადამიანისათვის: არასოდეს, არავის, ბოროტება არ გაუკეთო“...

იოჰან ვოლფგანგ გოეთე: „ზნეობრიობის ძირითადი საფუძველი — კეთილი ნებაა“...

ნიკოლაი გოგოლი: „ზნეობრიობის გავლენის ძალა, ყველა ძალაზე, მაღლა დგას“...

ჰაინრიხ ჰაინე: „ზნეობრიობა — გულის გონებაა“...

ვიქტორ მარი ჰიუგო: „უზენაესი სამსჯავრო — სინდისის სამსჯავროა“...

ჰენრი ტომას ბოკლი: „პროგრესი შესაძლოა, მხოლოდ, მაშინ, როდესაც — ზნეობა და გონება თავის განვითარებაში მოძრაობენ — მწყობრად და, რაც, უფრო, მჭიდროა მათი კავშირი, მით, უფრო, მეტი გავლენა აქვთ კაცობრიობის წინსვლაზე“...

ლევ ტოლსტოი: „იმისათვის, რომ ვიცოდეთ — რა არის ზნეობრივი, უნდა ვიცოდეთ, რაც არაზნეობრივია, — იმიტომ, რომ ვიცოდეთ: რისი გაკეთება შეიძლება და, — რისი არა“...

ილია ჭავჭავაძე: „გრძნობა ადამიანობისა, ქრისტიანობისა, მაღალზნეობისა... სასწაულს აქნევენებს, ხოლმე, ადამიანს, რომლის საოცარი მაგალითები, ძლევა მოსილესისა, არა ერთი და ორია, — ისტორიაში“...

გერმანული ანდაზა: „ვისაც პატიოსნება დაუკარგავს, მას ყველაფერი დაუკარგავს“...

ლუციუს აპულეუსი: „უზნეობა საკუთარი თავის უარყოფაა“...

ემილ დიურკეიმი: „ზნეობრიობა... ეს არის: პური — არსობისა, ურომლისოდაც, საზოგადოებას, სიცოცხლე არ შეუძლია“...

ალბერტ აინშტაინი: „ადამიანის ფასეულობების ძირითადი საწყისი, საბოლოო ჯამში, ზნეობას ემსახურება“...

მოჰანდას კარამჩანდ განდი: „გადაცვეთილი გზით სიარული — კი არ არის ზნეობრივი მოქმედება, არამედ, ის, რომ — თვითონ შეგვეძლოს მრავალი გზის პოვნა და უშიშრად მივყვეთ მას“...

აკაკი ბაქრაძე: „მორალურად დაცემულსა

და დაქვეითებულს, უფრო, ხშირად, შეხვედებით — მდიდრებში, ვიდრე — ღარიბებში“...

მე კი, — სიბრძნის კორიფეთა გამოცდილებითა და სხივმოსილებით, ექსპრესიული მუხტისათვის, — სხარტი, ლაკონური და ლაპიდარული ფორმა: „კატრენები“ ავირჩიე.

„გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო“, — გენიალური რუსთაველისა არ იყოს და... იქნებ, ოთარ შალამბერიძის „ორძალებისა“ და ფრიდონ ხალვაშის ამზევებულ-ასხივოსნებულ, ლაპიდარული „სამყურების“ მიზანიც ეგ იყო...

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ფრიად საჭირო, სასიცოცხლო წამალივით, სათქმელი, რამდენიმე სტრიქონში — ჩავჭუჭკე, ჩავამზევე და „კატრენები“ დავარქვი. რაიც შემეძლო, ზენაარისა და გულის კარნახით, უსაზღვრო სურვილითა და თეთრი ღამეებით, ვეცადე — კატრენების ტრილოგია ყოფილიყო სიბრძნისა და პოეტური ხელოვნების გვირგვინი.

რადგან პლანეტა და XXI საუკუნე გამოუცნობი რეალობის წინაშე დგას, და... დროის დეფიციტიც, ისე საგრძნობი არ ყოფილა, როგორც — ბოლო საუკუნეებში, ეს არის ჩემი პოეტური ჯვარცმის — „ანიცა“ და „ჰოეც“, არსიცა და მიზანიც: ადამიანი — ადამიანად რომ დარჩეს და ტექნიკის დანამატად არ იქცეს, რაც კატასტროფის წინაშე დააყენებს კაცობრიობას.

ასეთად მესახება ახალი დროის დევიზი: „გადავარჩინოთ ადამიანი ზნეობრივად და ფიზიკურად“... ამიტომ, თანამედროვეობის ქვემარტი მწერალი კაცობრიობის გადარჩენის უპირველესი ქომაგი და თაოსანი უნდა იყოს, — ეს არის ჩემი უახლოესი და უახლესი მიზანი.

და... ბოლოს, უდიდესი და უღრმესი მადლობა — ყურადღებისა და დღევანდელი, სამახსოვრო დღისათვის, ჩემი შემოქმედების ესოდენი დაფასებისათვის, — საქართველოს მწერალთა კავშირმა, მრავალ ჯილდოთა შორის, ახალი, უაღრესად საპატიო ჯილდო, — „ღვანლმოსილის ნოდება“, რომ მომანიჭა, — ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის. ეს, — ჯილდო, ჩემთვის, განსაკუთრებული და უდიდესი პატივიც არის, ასევე უდიდესი ვალიც, — ერის, ხალხის, ქვეყნისა და ქვეყნიერების წინაშე.

კიდევ, ერთხელ — უდიდესი და უზენაესი მადლობა!!!

**ექსპრომტად —
პოეტ ფარნა რაინას,
იგივე — ფარნაო რაინაშლს**

რა ხმა, რა რითმა, რა ენა,
მის ლექსებს გვერდს ვერ აუვლი,
ფარად გვყავს ფარნა რაინა,
იგივე — რაინაშლი.

მაგ შენი ღვანლის მოსავლით
არ აერევი სხვაში ერს,
ღმერთი გფარავდეს, მგოსანო,
თუშ-ხევსურ-კახთა ნაშიერს!..





17 ოქტომბერს, თელავის კულტურის ცენტრში, ლიტერატურული საღამო – „ცოცხალი წიგნები“ გაიმართა. ადგილობრივ მკითხველს შეხვდნენ და საკუთარი შემოქმედება გააცნეს თანამედროვე მწერლებმა: **გივი ჩიღვინაძემ, შაკო ბაკურაძემ, ნუკრი ბერეთელმა, ვასო გულეურმა და ბექა ახალაიამ.** მსმენელის წინაშე თელავში მოღვაწე ქართველი პოეტებიც წარსდგნენ, – ლექსები წაიკითხეს **მარიამ კოზმანიშვილმა, ნუნუ ძამუკაშვილმა, ფიქრია ყუშიტაშვილმა** და დედოფლისწყაროს ლიტერატურულ ალმანახ – „ბორნაბუჯი“-ს რედაქტორმა **გიორგი ნატროშვილმა.**



ლიტერატურული საღამო თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა. პროექტი „ცოცხალი წიგნები“ მიზნად ისახავს, რომ მოსახლეობამ თავი მიმდინარე ლიტერატურული პროცესების თანამონაწილედ იგრძნოს.

ლიტერატურულ ალმანახ „ამერიმერის“ წარდგინება

31 ოქტომბერს, თელავის ნიკო სულხანიშვილის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელში, გაიმართა დამოუკიდებელი ლიტერატურული ალმანახის „ამერიმერის“ 2018 წლის გაერთიანებული 1-2 ნომრის წარდგინება. „ამერიმერის“ აღნიშნულ ნომერში გამოქვეყნებულია კახეთში მოღვაწე ქართველი მწერლების ნაწარმოებები.



ალმანახის შექმნის ისტორიის შესახებ ისაუბრა „ამერიმერის“ დამფუძნებელმა, პროექტის ავტორმა, გამომცემელმა და მთავარმა რედაქტორმა **ვაჟა ჩორდელმა.** ღონისძიება მიჰყავდათ თელავის მერიის კულტურის სამსახურის უფროსს **ფიქრია ყუშიტაშვილს** და საქართველოს მწერალთა კავშირის საორგანიზაციო განყოფილების უფროსს **ზაალ ბოტკოველს.** დარბაზში შეკრებილი აუდიტორიის წინაშე წარსდგნენ: **ფარნა რაინა, როინ ჭიკაძე, ნანა რჩეულიშვილი, ნინო ლაჩაშვილი, ჯემალ დავლიანიძე, მარიამ კოზმანიშვილი, ანა ერისთავი, ზურაბ ლორია, მარია ძამუკაშვილი, გიორგი ნატროშვილი, ჯემალ ჭელიძე, ზურაბ თორია, ლელა მეტრეველი, ნანა გოგუაძე-ლობილო, ელგუჯა მგელაძე, ლეილა ლეგაშვილი, ნუნუ ძამუკაშვილი, თინათინ მრელაშვილი, გვანცა ქეშიკაშვილი, თინათინ ყავერელიშვილი, ცისანა თვალთაშვილი, კარლო ქართველიშვილი.**

„ამერიმერის“ წარდგინებამ საზეიმო ვითარებაში ჩაიარა.



ეხეცეობა - 2018

7 ნოემბერს, თელავში, მეფე ერეკლე მეორის 298-ე იუბილე აღინიშნა. „საპატიო თელაველის“ წოდება მიენიჭათ: მერაბ მერაბიშვილს (მოქანდაკე, ერეკლე მეორის ძეგლის ავტორი), ელენე ლუხუტაშვილს (თვითნასწაველი ხელოვანი), ლევან სეფაშვილს (ხელოვანი), ლევან კირვალიძეს (ექიმი), ზურაბ არსენიშვილს (საზოგადო მოღვაწე).



მერაბ მერაბიშვილი



არჩილ თხლავიძე, ელენე ლუხუტაშვილი, ზვიპრია ყუშიტაშვილი, შოთა ნარაქლიშვილი



ზურაბ არსენიშვილი, შოთა ნარაქლიშვილი



ლევან სეფაშვილი



ლევან კირვალიძე

